გაზეთი ბეჭდავს, „ვერსია“ ეხმიანება

ვერსია

№47 (803) 26 - 28 აპრილი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი 40 თეთრი

პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენცია კერძო პირზე გადააფორმეს?

გვ. 3

რა სკანდალურ ინფორმაციას მიაკვლია „ვერსიამ“ და რატომაა პრეზიდენტის სასახლის მფლობელის ვინაობა სახელმწიფო საიდუმლო?

ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲨᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲡ ᲓᲐᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲔᲜ

რას ნიშნავს ნეოვანი გაანგარიშების საწარმოები და რატომ გადმოაქვთ ქალთა დაწესებულება რუსთავიდან თბილისში გვ. 6

ᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲨᲘᲜᲔᲑᲡ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲐᲕᲓᲒᲘᲠᲘᲫᲔ: „ხელისუფლებამ უნდა დაამთავროს პოლიტიკურ-კოჰაბიტაციური თამაში ნაციონალურ მოძრაობასთან და შეიარაღებული ძალების ანყობას მიხედოს!“ გვ. 7

„ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲕᲘᲫᲘᲔᲑ ᲓᲐ ᲐᲦᲛᲝᲕᲐᲩᲘᲜᲔ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲜᲐᲐ!“

ვაჟა ოთარაშვილის სკანდალური ინტერვიუ გვ. 8

ᲒᲐᲣᲤᲘᲚᲢᲠᲐᲕᲘ ᲚᲣᲓᲘ — ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲘ ᲚᲣᲓᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ!

მადის გამაძღიერებელი საუკეთესო სასმელი, რომელიც სადილის წინ უნდა მიირთვათ გვ. 9

EMEA Finance-ᲛᲐ ᲗᲘᲑᲘᲡᲘ ᲑᲐᲜᲙᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲑᲐᲜᲙᲐᲓ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲐ

თიბისი ბანკი
TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

გვ. 3

„ᲐᲠᲪᲔᲠᲗᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲚᲔᲠᲘᲐ, ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲩᲔᲛ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲕᲣᲛᲚᲔᲠᲝᲓᲘ“



თემურ ნიკლაურის შესახებ ბიოგრაფიულ ფილმს ილებენ გვ. 12

ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲗᲕᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ ᲐᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ?!

რაზე ესაუბრა დაშა ცულუში დავით უსუფაშვილს და როდის განადგურდება უკანონო ჩანაწერების არქივი გვ. 10

„ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲐ ᲐᲦᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲛᲐᲠᲬᲝ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲔᲠᲒᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲕᲘᲦᲐᲪᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲐ“

რა შემთხვევაში წავა პოლიტიკიდან საქართველოს პატრიოტთა ალიანსის პოლიტიკური მდივანი სოსო მანჯავიძე გვ. 9

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲝᲒᲑᲐᲘᲫᲔ:

„ᲕᲐᲘ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ, ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲝ, ᲗᲣ ᲒᲒᲝᲜᲘᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲗ!“

გვ. 4

ილია მეორე: „პარტიები იმდენად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რომ დაავიწყდათ საქართველო“

სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებები დასაშვებია, მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს უკან ჩვენი ერი, ჩვენი სამშობლოა, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა , უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ ყოვლადწმინდა სამების ახალგაზრდულ ცენტრში, ახალგაზრდული პარლამენტის წევრებთან შეხვედრისას განაცხადა.

უწმინდესმა ახალგაზრდები დალოცა და მათ ქადაგებით მიმართა.

„ნამდვილად ისტორიული დღეა, რომ ახალგაზრდა ადამიანების მიერ დაარსდა პარლამენტი“, — აღნიშნა პატრიარქმა და მიმართა მათ, რომ ეს მათთვის არა მარტო დიდი პატივი, არამედ დიდი პასუხისმგებლობაც არის ღვთისა და ერის წინაშე: **„ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ყველაფერი დამოკიდებულია ღვთის წყალობაზე, ღვთის ნებაზე. ამიტომ ჩვენი ენერგია უნდა დავუახლოვოთ ღვთის მადლს, ენერგიას, უნდა მოხდეს სინერგია. თუ ჩვენი ენერგია ღვთის ენერგიას დაშორდება, ჩვენ სიკეთეს კი არა, ბოროტებას მოვუტანთ ჩვენს ქვეყანას, ამიტომ ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. ერთი დიდი მეცნიერი ამბობს, ჩვენ აღარ გვყავს ფილოსოფოსები, მხოლოდ კრიტიკოსები დარჩნენ. ადვილია კრიტიკა, მით უმეტეს, სხვა ადამიანების. მე მინდა გითხრათ, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება თქვენს მოღვაწეობას, თუ თქვენ გექნებათ კავშირი უფროს თაობასთან“.**

პატრიარქმა ბრძანა, რომ ჩვენ დღეს ძალიან რთულ დროში ვცხოვრობთ, როდესაც ჩვენ მივედით თითქმის უფსკრულთან და ამ უფსკრულიდან გამოგვაცილა უფალმა, ამით მოგვცა იმედი კეთილისმყოფელობის.

პატრიარქმა მიმართა ახალგაზრდა პარლამენტარებს, რომ უნდა ისწავლონ ერთმანეთის მოსმენა, რადგან ყველაზე დიდი ნაკლი, რაც ქართველებს გვაქვს, არის ის, რომ ჩვენი ნათქვამი ერთადერთ ჭეშმარიტებად მიგვაჩნია და სხვებს არ ვუსმენთ. **„ჩვენ უნდა მოვუსმინოთ სხვებს და ვაკეთოთ ისე, როგორც ჩვენ მიგვაჩნია საჭიროდ. ამიტომ კიდევ ერთხელ მინდა შეგახსენოთ, იქონიეთ კავშირი უფროს თაობასთან“,** — ბრძანა უწმინდესმა და ისიც განაცხადა, რომ ახალგაზრდა თაობა ხშირად აკრიტიკებს მშობლებს, ახლობლებს, ხელისუფლებას, მაგრამ როდესაც თვითონ იწყებს ცხოვრებას, ამ რთული გზის გავლას, თვითონვე ხდება ისეთი, როგორც მისი მშობლები და უფროსი თაობა იყო, თავად ხდება მედროვე. უწმინდესმა მიანიშნა ახალგაზრდებს, რომ ამასთან დაკავშირებით ფრთხილად უნდა იყვნენ: **„ბოლო დროს წინა პლანზე წამოიჭრა პოლიტიკური პარტიების როლი. იმდენად დაუპირისპირდნენ ეს პარტიები ერთმანეთს, რომ დაავიწყდათ საქართველო. სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულება დასაშვებია და ასეც უნდა იყოს, მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენს უკან ჩვენი ერი, ჩვენი სამშობლოა. მე მიმაჩნია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ბრძენია და უფრო ღრმად შეხედავს ამ პრობლემას, რომლის წინაშეც ვდგავართ. ხშირი შემთხვევაა, რომ ადამიანი, სახელმწიფო ხშირად გადადგამს უკან ნაბიჯს, მაგრამ სულ უკან სვლა დაუშვებელია. ჩვენ უნდა ვიაროთ წინ, ეს არის ღვთის ნება. მაცხოვარი ჩვენი ამბობს: „იყავით სრულყოფილი, ვითარცა მამა თქვენი სრულყოფილ არს“. ეს არის მითითება, რომ სრულყოფა დაუსრულებელია. ადამიანი ვერასდროს გახდება ისეთი, როგორც მამაზეციერია, მაგრამ სრულყოფა დაუსრულებელია ორთავ სოფელსა შინა. მე გისურვებთ, რომ გქონდეთ თქვენ მტკიცე სარწმუნოება, მართლმადიდებელი“.**

უწმინდესმა უსურვა ახალგაზრდებს მშვიდობა, სიყვარული, სიხარული და თავმდაბლობა, რადგანაც, პატრიარქის თქმით, უფალი თავმდაბალთ მიანიჭებს მადლს. პატრიარქმა ახალგაზრდა პარლამენტარებს საჩუქრად მაცხოვრის ხატი და ღვთისმშობლის გამოსახულებიანი მედალიონები გადასცა.

2013 წლის მოწვევის საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის ოფიციალური გახსნა და პირველი სხდომა 2 მაისს ქუთაისის პარლამენტში გაიმართება. მას პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი უმასპინძლებს.

„ინტერპრესნიუსი“

პირველად ისტორიაში შუალედური არჩევნების წინ ჩვიდმეტმა მედიასაშუალებამ დამოუკიდებელი გამოკითხვა ჩაატარა

ნინო კომახიძე
599-95-33-16

პირველად, ქართული არჩევნების ისტორიაში, 2013 წლის 24 აპრილს, ჩვიდმეტმა ქართულმა მედიასაშუალებამ, შუალედური არჩევნების წინ, ერთობლივი გამოკითხვა ჩაატარა. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, მედიასაშუალებებმა ნაძალადევის რაიონში ადგილობრივი, საარჩევნო ასაკის მოქალაქეები გამოკითხეს და მათ სასურველი კანდიდატის დასახელება სთხოვეს. კვლევა ჯგუფებადდაყოფილი ჟურნალისტების მიერ, მთელი დღის განმავლობაში, ნაძალადევის რაიონის მეტროსადგურებთან და მასობრივი თავშეყრის სხვა ადგილებში მიმდინარეობდა და ყველა საკვანძო უბანი მოიცვა.

სულ გამოიკითხა 2 575 ადამიანი. აქედან: არჩევნებში არ მონაწილეობს 530 რესპოდენტი, რაც გამოკითხულთა 21%-ს შეადგენს. კახა კუკავამ 372 ხმა დააგროვა, ნაციონალების კანდიდატმა მირზა დავითაიამ — 156, ხვიჩა ასანიძემ — 3, ზაზა მეზვრიშვილმა — 2, გიორგი ლილუაშვილმა — 3, გია ნემსაძემ — 5, „ლეიბორისტმა“ გიორგი გუგავამ — 96, „ოცნების“ რჩეულმა თამარ კორძაიამ — 582, საქართველოს პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელმა სოსო მანჯავიძემ — 669, ზვიად ჩიტიშვილმა — 158. გამოკითხვაში მონაწილე მედიასაშუალებათა ჩამონათვალი კი ასეთია: გაზეთები „ვერსია“, „რეზონანსი“, „ქართული სიტყვა“, „აჭარა პ.ს“, „საერთო გაზეთი“, „საქართველო და მსოფლიო“, „სვობოდნაია გრუზია“, „პრაიმტაიმი“, „კახი“, სააგენტოები: „პირველი“, „ექსპრესნიუსი“, „საქინფორმი“, „პრაიმერი“, „ღია ბოქლომი“, „სკანდალი.გე“, „ფრონტლაინნიუსი“ და ბათუმის 25-ე არხი.

შედეგების პრეზენტაცია 25 აპრილს, სპეციალურ პრეს-კონფერენციაზე გაიმართა. აღსანიშნავია, რომ მედიასაშუალებათა პირველი ასეთი თანამშრომლობა წარმატებული აღმოჩნდა, შესაბამისად, გამორიცხული არაა, 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს, მედიაკოალიციამ უფრო მასშტაბური სახე მიიღოს და არა მხოლოდ საარჩევნო პროცესის დამკვირვებლის ფუნქცია შეითავსოს, არამედ სხვადასხვა ტიპის კვლევებიც აწარმოოს. გამოკითხვის შედეგები ნაძალადევის რაიონის დეპუტატობის კანდიდატებს, დაინტერესებულ პირებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს პრეზენტაციისთანავე დაეგზავნა. ყველა მედიასაშუალება პასუხს გამოკითხვის მხოლოდ საკუთარ შედეგებზე აგებს.

გამოკითხვისას, შეინიშნებოდა რამდენიმე გამოკვეთილი ტენდენციაც: 1. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან მოყოლებული, 2013 წლის 24 აპრილის ჩათვლით ამომრჩევლის ფსიქოლოგია, ფაქტობრივად, არ შეცვლილა — საკუთარ პოლიტიკურ სიმპათიებზე ღიად საუბარი მოქალაქეებს კვლავინდებურად აფრთხობს. 2. მედიასაშუალებებმა გამოკითხულთა რაოდენობაზე ორჯერ უფრო მეტ მოქალაქესთან სცადეს გასაუბრება, თუმცა უმეტესობამ შიშის ფაქტორის, იმედგაცრუებისა და სხვადასხვა მიზეზების გამო, გამოკითხვაში მონაწილეობა საერთოდ არ ისურვა. 3. 2013 წლის შუალედურ არჩევნებზე მოსახლეობის აქტივობა, სავარაუდოდ, ძალიან დაბალი იქნება.

ვერსიანიუსი

ივნისში თბილისის საკრებულოს შუალედური არჩევნები აღარ ჩატარდება

„საარჩევნო კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტი, რომლითაც მთლიანად იცვლება საკრებულოებში გამოკლებული მაჟორიტარი დეპუტატის ადგილმონაცვლის არჩევის წესი, საკითხის ერთ-ერთ ავტორსა და ინიციატორს, ირინა იმერლიშვილს უკან გააქვს. შესაბამისად, დღის წესრიგიდან იხსნება ივნისში, ექვს თვითმმართველ ერთეულში — მათ შორის, თბილისში საკრებულოს შუალედური არჩევნების ჩატარების საკითხი.

როგორც დეპუტატი ამბობს, რადგან გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და თავად ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, ტექნიკური ხასიათის პრობლემების წარმოქმნის შესახებ, გადაწყდა, რომ მას პარლამენტი ამ ეტაპზე, აღარ მიიღებს.

„ინტერპრესნიუსი“

ლოპოტას სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილთა ცხედრებს ექსჰუმაცია ჩაუტარდება

ლოპოტას სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი ახალგაზრდების ცხედრებს ექსჰუმაცია ახალი გამოძიების პირობებში ჩაუტარდება. ამ ინფორმაციას გარდაცვლილების ოჯახის წევრები ადასტურებენ.

ბაჰაუდინ ბაღაკაშვილის მამა გურამ ბაღაკაშვილი, რომელიც სოფელ დუისში ამ საკითხთან დაკავშირებით, სპეციალურად, ავსტრიიდან ჩამოვიდა, აცხადებს, რომ მათი ტრადიციის მიუხედავად, გვამებისთვის ექსპერტიზის ჩატარებას ყველა გარდაცვლილის ოჯახი თანხმდება.

გარდაცვლილის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ ისინი კონტრდაზვერვის წარმომადგენლებმა უკვე დაკითხეს. როდის იგეგმება ექსპერტიზის ჩატარება, ჯერჯერობით უცნობია.

„ინტერპრესნიუსი“

შსს ცხინვალის დეფაქტო ხელისუფლების მიერ მოქალაქეების გათავისუფლების შესახებ განცხადებას ავრცელებს

განცხადებაში აღნიშნულია რომ, მოქალაქეების გათავისუფლება შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტისა და შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს მიერ, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დეფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ინტენსიური მოლაპარაკების შედეგად მოხერხდა: **„19 აპრილს რუსმა სამხედროებმა, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის „უკანონო კვეთის“ ბრალდებით, მწყემსები: 1957 წელს დაბადებული არსენ ლაფაჩი და 1957 წელს დაბადებული გაიოზ ელიკაშვილი სოფელ ქერეში, ხოლო 1937 წელს დაბადებული დიმიტრი გინტური სოფელ მეჯვრისხევში დააკავეს. ოსური მილიციის თანამშრომლებმა ისინი ჯერ ღრომში გადაიყვანეს, ხოლო შემდეგ ცხინვალის იზოლატორში მოათავსეს. ინტენსიური მოლაპარაკებების შედეგად, უკანონოდ დაკავებული სამივე მოქალაქე ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დეფაქტო წარმომადგენლებმა გაათავისუფლეს“.**

„ინტერპრესნიუსი“

პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენცია კერძო პირზე გადააფორმეს?

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

განცხადების რეგისტრაციის ნომერი: B12136196
განცხადების რეგისტრაციის დრო: 24/12/2012 10:24
ინფორმაციის მომზადების დრო: 24/12/2012 12:27

ინფორმაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურს 2012 წლის 24 დეკემბერს ვაჟა კვირიკაშვილის მიერ წარედგინა განცხადება № B12136196.

განცხადებით მოთხოვნილია ინფორმაცია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სახელმწიფო უზრუნველყოფა "- ს (ს/კ 205037574) რეორგანიზაცია/ლიკვიდაციის შესახებ.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის მონაცემებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სახელმწიფო უზრუნველყოფა"-ის (ს/კ 205037574) რეგისტრაცია გაუქმებულია. საფუძველი: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 15 ოქტომბერის გადაწყვეტილება № B12114830/3; სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 10 ოქტომბრის ბრძანება № 1/1-81).

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ::: მისამართი: ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ. #2 ::: www.reestri.gov.ge

რა სკანდალურ ინფორმაციას მიაკვლია „ვერსიამ“ და რაზომაა პრეზიდენტის სასახლის მფლობელის ვინაობა სახელმწიფო საიდუმლო?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტის სასახლეს ანუ ავლაბრის რეზიდენციასა და რაბათის ციხეს კერძო მფლობელი ჰყავს! როგორც გვითხრეს, ეს ორი ობიექტი, ნაციონალურმა ხელისუფლებამ 1 ოქტომბრის არჩევნების წინ გადააფორმა კონკრეტულ პიროვნებაზე. ცხადია, „ვერსიამ“ ამ სკანდალური ინფორმაციის გადამოწმება დაიწყო. რაბათის ციხესთან დაკავშირებით, წყაროს ინფორმაცია არ დადასტურდა, რადგან ისტორიული შენობა ახალციხის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება. რაც შეეხება პრეზიდენტის სასახლის მფლობელს, ორი დღის უშედეგო მცდელობის მიუხედავად, მისი ვინაობა ვერ გავარკვიეთ. როგორც გვითხრეს, ეს ინფორმაცია დახურულია. მიუხედავად ამისა, სპეციალისტების განმარტებით, ამ ტიპის ინფორმაციის გარკვეული ნაწილი საჯაროა და შესაბამისად, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ცხადია, სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებას არ ვითხოვთ, მაგრამ წესით, უნდა ვიცოდეთ, კონკრეტულად, რომელი უწყების ბალანსზე ირიცხება ავლაბრის რეზიდენცია, ან ირიცხება თუ არა საერთოდ. „ვერსია“ ორი დღის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა ოფიციალური ინფორმაციის მოპოვებას, რამაც ჩვენი ეჭვი, რომ შესაძლოა, პრეზიდენტის სასახლეს კერძო მფლობელი ჰყავდეს, კიდევ უფრო გაამყარა.

ავლაბრის რეზიდენცია ანუ ავლაბრის სახელმწიფო მართვის ადმინისტრაციის კომპლექსი საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური რეზიდენციაა, რომელიც თბილისში, ისტორიულ ავლაბარში, მ. აბდუშელიშვილის ქუჩა №1-ში მდებარეობს. სასახლე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით, 2004-2009 წლებში აშენდა და მასზე რამდენიმე არქიტექტორი მუშაობდა. პროექტის ავტორია არქიტექტორი გიორგი ბათიაშვილი, თუმცა საბოლოო სახე, იტალიელმა მიკელე დე ლუკიმ შესძინა, რომელსაც ასევე ეკუთვნის საქართველოს შსს-ს ახალი შენობა ისანი-სამგორის რაიონში და მშვიდობის ხიდი. პრეზიდენტის რეზიდენცია ოფიციალურად 2009 წლის 12 ივლისს გაიხსნა, რომელიც ერთ კვარტალში გაერთიანებულ, განსხვავებული არქიტექტურის შენობათა კომპლექსს წარმოადგენს, რაც შიდაეზოს ირგვლივ ერთიანდება. სასახლის კომპოზიცია კლასიკურია — ესაა სამპორტიკიანი ჰორიზონტალური შენობა, რომელიც ცენტრში გუმბათით სრულდება. კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მარტივი მოცულობის, გეგმაში Г-ს ფორმის შენობა დგას, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის ანუ კანცელარიისთვისაა განკუთვნილი და პრეზიდენტის სასახლეს სპეციალური გადასასვლელით უკავშირდება. მთელი კომპლექსი, დაახლოებით, 22 000 კვმ ფართობზეა განთავსებული, აქედან 1 500 კვმ — პრეზიდენტის სასახლე, ხოლო 1 500 კვმ ფართობზე პრეზიდენტის კანცელარიის კორპუსია განთავსებული.

მას შემდეგ, რაც „ვერსიას“ კარგად ინფორმირებული წყარო დაუკავშირდა და აცნობა, რომ ავლაბრის რეზიდენციას კერძო მფლობელი ჰყავს (?!), აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება საკუთარი ძალებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის საიტზე ვცადეთ, მაგრამ ვერანაირ ინფორმაციას ვერ მივაკვლიეთ. ამის შემდეგ „ვერსია“ საჯარო რეესტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის უფროსს, ეკა ერგემლიძეს დაუკავშირდა და ავლაბრის სახელმწიფო მართვის ადმინისტრაციის კომპლექსის მფლობელის ვინაობის დადგენა ოფიციალურად მოითხოვა. რეესტრში დაგვპირდნენ, რომ ინფორმაციას გადაამოწმებდნენ და ამისთვის ერთი დღე გვთხოვეს.

პარალელურად, „ვერსია“ საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთ ლიდერს, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელსა და იუსტიციის სახლის ავტორს, გიორგი ვაშაძესაც დაუკავშირდა. მისი თქმით, ინფორმაციას, თუ კონკრეტულად რომელი უწყების ბალანსზე ირიცხება პრეზიდენტის ადმინისტრაცია, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შევიტყობდით, რადგან სახელმწიფო ქონებას სწორედ ეს სამინისტრო მართავს. რა თქმა უნდა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსაც სწორედ ამ ერთადერთი კითხვით მივმართეთ, საიდანაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსთან, ანდრო ბარნოვთან გადაგვამისამართეს, რომელიც დაგვპირდა, რომ ერთ საათში გვიპასუხებდა, მაგრამ უშედეგოდ. ერთი საათის შემდეგ, ანდრო ბარნოვი „ვერსიის“ ზარს აღარ პასუხობდა. სინამდვილეში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არაფერ შუაშია, რადგან ნებისმიერი სახელმწიფო ქონება ამ უწყების ბალანსზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ხვდება, როდესაც სახელმწიფო მისი კუთვნილი ქონების გაყიდვას გადაწყვეტს.

პარალელურად, საჯარო რეესტრის საიტზე ინფორმაციის ძიება ავლაბრის რეზიდენციის ოფიციალური მისამართით — მ. აბდუშელიშვილის ქ.№1-ით დავიწყეთ, მაგრამ მაინც ვერაფერს მივაკვლიეთ. მხოლოდ საჯარო რეესტრის რუკის მიხედვით, მ. აბდუშელიშვის ქ.№1 ბ-ში განთავსებული შენობა-ნაგებობები ვიპოვეთ, მაგრამ იქვე მითითებულია, რომ ეს არის 961 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი, რომელიც შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფის“ ბალანსზე ირიცხება. ამავე რუკაზე, პრეზიდენტის სასახლის შენობის კოდი — 01.17.01.038.020 ვიპოვეთ, მაგრამ სამწუხაროდ, ამ კოდის მიხედვით, არანაირი ინფორმაცია არ იძებნება!

რატომაა ავლაბრის რეზიდენციის მფლობელის ვინაობა გასაიდუმლოებული და რატომ არ არის ამ ტიპის ინფორმაცია საჯარო? სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით, „ვერსია“ ექსპერტ-იურისტს, **ლევან ალაფიშვილს** დაუკავშირდა.

— საიდუმლოებისა და სახელმწიფო დაცვის კანონმდებლობის მიხედვით განსაზღვრულია, რომ ინფორმაცია იმ ობიექტების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებულ დაცვით, ეგრეთ წოდებულ, სარეჟიმო ობიექტებს განეკუთვნება, როგორც კონსტრუქციული და არქიტექტურული ნაწილი, ასევე სარეგისტრაციო ნაწილი, შესაძლებელია საიდუმლო იყოს. ასე რომ, აქ კანონდარღვევა ან შეუსაბამობა არ არის. შესაბამისად, პრეზიდენტის ადმინისტრაციის, მთავრობის კანცელარიის ან პარლამენტის შენობის შესახებ ინფორმაცია, შესაძლოა, საჯარო რეესტრში ვერ იპოვოთ. სხვათა შორის, ამ ტიპის ინფორმაცია, ყველა ქვეყანაში სახელმწიფო საიდუმლოს წარმოადგენს. მეტიც, როგორც წესი, ამ ტიპის ინფორმაციაზე საჯარო რეესტრის თანამშრომლებსაც კი არ მიუწვდებათ ხელი. მიუხედავად ამისა, საჯარო რეესტრში ამგვარი ინფორმაციის გარკვეული ნაწილი ღია და საჯაროა, მაგრამ არის დაფარული ინფორმაციაც, რომელზეც თანამშრომლებს წვდომა არ აქვთ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სპეცსამსახურებისთვის ეს ინფორმაცია დაფარულია.

დასასრული მე-4 გვერდზე

EMEA Finance-მა თიბისი ბანკი საქართველოში 2012 წლის საუკეთესო ბანკად დაასახელა

ჟურნალმა EMEA Finance თიბისი ბანკს 2012 წლის საუკეთესო ბანკის სტატუსი მიანიჭა. აღსანიშნავია, რომ EMEA Finance-მა პირველად 2011 წელს დაიწყო ქართული ბანკების შეფასება და იმავე წელს თიბისი ბანკმა გაიმარჯვა ამ ნომინაციაში.

„ჩვენ ძალიან გვეამაყება, რომ მივიღეთ 2012 წლის საუკეთესო ბანკის წოდება ჟურნალისგან, EMEA Finance. ეს პრესტიჟული ჯილდო არის არა მხოლოდ ბანკის ძლიერი ფინანსური შედეგების, არამედ 2012 წლის განმავლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტების აღიარებაც“, — განაცხადა ვახტანგ ბუცხრიკიძემ.

„საქართველო იმსახურებს ბანკს, რომელიც შეძლებს სწრაფი ზრდის ტემპის შენარჩუნებას. თიბისი ბანკი კი ამ კონტექსტში უდავოდ, საუკეთესოა“, — აცხადებს კრისტოფერ მური, EMEA Finance-ის გამომცემელი და გენერალური დირექტორი. **„ბანკების მაღალი ზრდის ტემპს ხშირ შემთხვევაში მოყვება გარკვეული გართულება, რის გამოც, თიბისი ბანკი მნიშვნელოვან აქცენტებს აკეთებს კაპიტალის ზრდისა და რისკების მენეჯმენტის პროცედურების მუდმივ გაუმჯობესებასა და სრულყოფაზე. ამჟამად, ბანკის უმოქმედო სესხების კოეფიციენტი მხოლოდ 1%-ს შეადგენს, რაც საქართველოში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. შესაბამისად, თიბისი ბანკი დამსახურებული გამარჯვებულია ქვეყნის საუკეთესო ბანკის ნომინაციაში“,** — აცხადებს ჟურნალის გამომცემელი.

EMEA Finance არის ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც ფოკუსირებულია ევროპის, შუა აზიისა და აფრიკის ფინანსურ ბაზრებზე. 2008 წელს პირველად გამოიცა EMEA Finance, რის შემდეგაც ფინანსურ წრეში წამყვან პოზიციებზე მყოფი აუდიენციისათვის ინფორმაციის ძირითად წყაროდ იქცა.



ეროსუდან შელია
557-100-768

შალვა ოგბაიძე: „ვაი, თქვენ პატრონს, ნაციონალებო, თუ გგონიათ, რომ ძირითად ოპოზიციურ ძალას წარმოადგენთ!“

პრეზიდენტის პარტია რებრენდინგის პროცესშია და ახალ ეროვნულ მოძრაობას იწყებს, პრემიერი კი ევროპარლამენტის სხდომაზე საპარლამენტო უმცირესობასთან მიმართებაში კოჰაბიტაციისა და სამართლიანობის აღდგენის ერთმანეთისგან გამიჯვნაზე საუბრობს. რატომ ფიქრობს, რომ ნაციონალური მოძრაობა საქართველოს წარსულია და რა პრეტენზიები აქვს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან — „ვერსიას“ პარტია „დემოკრატიული მოძრობა-ერთიანი საქართველოს“ წევრი შალვა ოგბაიძე ესაუბრება.

— როგორც იატაკის ჯოხისგან სალამური ვერ გამოითლება, ისე ნაცმოძრაობისგან არაფერი გამოვა! სასაცილოა დამნაშავე ადამიანებისგან ახალ ეროვნულ მოძრაობაზე საუბარი. როცა მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია ეროვნული მოძრაობის სიმბოლოა, ვანო მერაბიშვილი და მიხეილ სააკაშვილიც ახალი ეროვნული მოძრაობის ლიდერებად უნდა ჩავთვალოთ? 19 აპრილს, აქციაზე ხალხს მიმართავდნენ სახელმწიფო დონის დამნაშავეები! სხვათა შორის, სააკაშვილმა მუსოლინი გამახსენა. ფაქტია, განადგურებული ადამიანების აჩრდილები ვნახეთ, რომლებიც ყოველდღე სასამართლოსგან უწყების მიღებას ელოდებიან.

— ისიც ფაქტია, რომ ნაცმოძრაობის პოლიტიკური გარდაცვალების შესახებ ხმების გაქარწყლება ერთი აქციით მოახერხეს და დღეს საუბრობენ, რომ მათი დამარცხება დროებითია. მოტივირებულმა ნაციონალებმა, შესაძლოა, ძალაუფლება დაიბრუნონ?

— რუსთაველზე შეკრებილი მხარდამჭერების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ორჯერ მეტი ადამიანი რუსთავში ავტორბოლაზე გროვდება. ეს გუნდი პოლიტიკურ ასპარეზზე ამოტივტივებას ვერასოდეს მოახერხებს. ნაცმოძრაობა პოლიტიკური ძალა კი არა, დამნაშავე ორგანიზაციაა, რომელმაც ქუჩაში უამრავი ადამიანი ჩაცხრილა და მოსახლეობას ქონებას უკანონოდ ართმევდა. ამბობენ, კრიმინალური ავტორიტეტების ქვეყანა ჩავიბარეთო. საზოგადოებისთვის რა მნიშვნელობა აქვს, ქურდი დაატერორებს თუ მუნდირში გამოწყობილი ჩინოვნიკი? ასე რომ, სააკაშვილო, რაც გინახავს, ვეღარ ნახავ! შენი გუნდი ხელისუფლებაში ვერასოდეს დაბრუნდება.

— რებრენდინგის პროცესში ნაცმოძრაობის რამდენიმე ჯგუფად დაშლასაც პროგნოზირებენ, რასაც მმართველი გუნდიც მიესალმება. აქტიურ პოლიტიკაში მათი დარჩენის პერსპექტივა არც ამ შემთხვევაშია?

— ცხადია, არ ვამბობ, რომ 19 აპრილს, რუსთაველზე მხოლოდ დამნაშავეები და კრიმინალები შეიკრიბნენ. რეალურად, 9 წლის განმავლობაში, მათ ჭკუას არც არავინ ეკითხებოდა, რადგან გადაწყვეტილებებს სააკაშვილის ვიწრო წრე იღებდა. ვფიქრობ, ნაცმოძრაობაში პატიოსანი პოლიტიკოსებიც არიან, რომლებიც სააკაშვილს პოლიტიკურ საფლავში არ ჩაყვებიან. ეს პარტია სისასტიკესთან, არაპროფესიონალიზმთან, ტერიტორიების დაკარგვასა თუ ადამიანების წამებასთან ასოცირდება და არ მეგულება ჭკუათმყოფელი, ვინც ბედს ამ ძალას დაუკავშირებს. დღეს ყველა ხვდება, რომ ნაცმოძრაობის ქოლგის ქვეშ პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელება შეუძლებელია.

— ამის გამო გადიან ნაცმოძრაობის ლიდერები თამაშიდან? სხვათა შორის, სააკაშვილის სიტყვით გამოსვლისას ვანო მერაბიშვილის აქციიდან გასვლამ, საზოგადოების ნაწილს პარტიაში შიდადაპირისპირების შესახებ ეჭვები გაუმყარა.

— მერაბიშვილი და სააკაშვილი შეშინებულები არიან. ხვდებიან, რომ პოლიტიკური მოუსავლეთიდან დაბრუნებას ვეღარ შეძლებენ, ამიტომ ერთადერთი გზა დარჩენიათ — ხელისუფლებას შავი პიარი აუგორონ. სააკაშვილი იქცა კიდეც მაბეზღარად, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარ ქვეყანას ლანძღავს.

— იგივე პრეტენზია აქვთ ნაციონალებს ბიძინა ივანიშვილთან, რომელიც ევროსაბჭოში, ძირითადად, წინა ხელისუფლების დანაშაულებრივ ქმედებებზე საუბრობდა.

— ამ ეტაპზე, სააკაშვილი მხოლოდ ფორმალური პრეზიდენტია... რაც შეეხება ევროსაბჭოში ივანიშვილის გამოსვლას, მან ნაცმოძრაობა საერთაშორისო მასშტაბით ამხილა. სააკაშვილი მხოლოდ ცილისმწამებლური განცხადებებით გამოდიოდა, ივანიშვილი კი კონკრეტული ფაქტებით საუბრობდა. დარწმუნებული ვარ, პრემიერის განცხადება — სააკაშვილს თვალებში ჩახედვა მოვთხოვე და ვაღიარებინე, რომ „რუსთავი 2“ მის საკუთრებაშიაო, სიმართლეა. თუ ევროპარლამენტარები დამოუკიდებლები არიან, რატომ არ დასვეს კითხვა 7 ნოემბრის, 15 ივნისის, 26 მაისისა და შემდეგ მთელი საარჩევნო კამპანიის პერიოდში მიმდინარე უკანონო მოქმედებების შესახებ? გამოდის, მათთვისაც არ არის უცხო ორმაგი სამართალი. სააკაშვილმა სახელმწიფო ხაზინიდან აღებული თანხით მეთიუ ბრაიზას თურქეთში გრანდიოზული ქორწილი გადაუხადა და მისი სტუმრების ჩასვლაც ქართველების ფულით დააფინანსა. არ მიკვირს, რომ ნაციონალების ლობისტები დასავლეთში კარგად მუშაობენ. იმედია, სააკაშვილი, თავის ჭანჭიკებთან ერთად, დამოუკიდებელ სასამართლომდე მივა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოში დაუსჯელობის სინდრომი დამკვიდრდება. 7-8 წლის წინ, მოზარდს, რომელსაც მობილური ტელეფონის წართმევას ედავებოდნენ, სასამართლომ 19 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ამ ფონზე, ნაციონალებთან რატომ უნდა ვიკოჰაბიტაციოთ? 1 ოქტომბერს ქართველებს დენის სამი თეთრით შემცირებისთვის კი არ მიგვიცია ხმა, სამართლიანობის აღდგენა გვინდოდა! იმედია, სამართლის ურემი ისე არ დაიგვიანებს, სანამ პეტრე მოვა, პავლეს ტყავი გააძრონ. ივანიშვილიც ამ აზრს იზიარებს — განაცხადა, კოჰაბიტაცია და სამართლიანობის აღდგენა ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოსო.

— ამასობაში, ნაცმოძრაობა თავს მთავარ ოპოზიციურ ძალად მიიჩნევს და პრემიერის განცხადების მიუხედავად, გახმაურებული საქმეების გახსნის პროცესი ჭიანურდება. პოლიტიკურ გარიგებასთან ხომ არ გვაქვს საქმე?

— ჩვენ პარტიას მხოლოდ 2011 წლის 26 მაისს, 41 პოლიტპატიმარი ჰყავდა... არც მე მესმის, დავით უსუფაშვილი რატომ საუბრობს, რომ თურმე ნაცმოძრაობის შენარჩუნება დემოკრატიის გამოცდაა. დამნაშავეობის მოთმენა ტოლერანტობას არ ნიშნავს. ვაი, თქვენს პატრონს, ნაციონალებო, თუ გგონიათ, რომ ძირითად ოპოზიციურ ძალას წარმოადგენთ! ნიურნბერგის პროცესზე ვინც გაასამართლეს, ისიც ოპოზიციური ძალა იყო? სწორედ იგივე ბედი ელის ნაციონალებს, რასაც პირადად, მოუთმენლად ველი. მოგეხსენებათ, ჩემი ოჯახი სააკაშვილის „დემოკრატიის“ მსხვერპლი გახდა. დღემდე შენახული მაქვს ფოტოები, სადაც კარგად ჩანს, ვინ აწამებდა ჩემ შვილებს; ისიც ვიცი, სახლ-კარი ვინ გამიყიდა; ჩემი რძლის სახლში დღემდე პოლიციელი ცხოვრობს... ამიტომ ყველა ცდება, ვინც ამ ძალას ოპოზიციას უწოდებს!

— თუმცა ვერ უარყოფთ, რომ ნაცმოძრაობა დღეს რეალურად პოლიტიკურ განრიგს ქმნის. რატომ ვერ იპოვა სხვა ოპოზიციურმა ძალამ პროცესში თავისი ადგილი?

— ქვეყანაში მეორე პოლიტიკურ მოთამაშედ ნაცმოძრაობა არ უნდა ჩავთვალოთ. მესამე ცენტრის შესახებ დაწყებული პიარი სააკაშვილის დაგეგმილია, რადგან პირველ რიგში, მას აწყობს დამნაშავე გუნდი ოპოზიციად გამოაცხადოს. თუ მათ მეორე ძალად ვაღიარებთ, საერთაშორისო ასპარეზზე კომფორტულ მდგომარეობაში ჩავაყენებთ. არადა, ჩემთვის, სააკაშვილი ისეთივე დამნაშავეა, როგორც თუნდაც ჩვეულებრივი ქურდბაცაცა. ვერც უმრავლესობის უკანონო ქმედებებს შევეგუებით. ჩვენ პარტიაში, ამ ეტაპზე, მნიშვნელოვანი საორგანიზაციო სამუშაოებია და რეგიონული სტრუქტურების მობილიზებასაც ვახდენთ. მიუხედავად წინა ხელისუფლების უზარმაზარი წნეხისა, პარტიის ძირითადი ბირთვი შევინარჩუნეთ. მალე გავაქტიურდებით, მით უმეტეს, საპრეზიდენტო არჩევნები კარს მოგვადგა.

— ნინო ბურჯანაძეს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შანსი რეალურად აქვს?

— რა თქმა უნდა, თუ არა ნინო ბურჯანაძე, სხვა ვინ შეიძლება საქართველოს პრეზიდენტობის ღირსად ჩავთვალოთ?

— ივანიშვილის კოალიციას არ ეყოლება ღირსეული კანდიდატი თუ „ქართული ოცნების“ მხარდაჭერის იმედი გაქვთ?

— შესაძლოა, კოალიციას კარგი კანდიდატი ყავდეს, მაგრამ ჩვენ ბევრად უკეთესი გვყავს და გამარჯვებაშიც დარწმუნებულები ვართ!

პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენცია კერძო პირზე გადააფორმეს?

მე-3 გვერდიდან

— სამწუხაროდ, ის ინფორმაციაც კი არ არის ხელმისაწვდომი, რაც საჯაროა. მეტიც, რუკაზე, რეზიდენციისთვის მინიჭებული კოდითაც ვერ ვპოულობთ ინფორმაციას. სამართლებრივად, ეს სწორია?

— თქვენ ვერ მოძებნეთ, თორემ სპეცსამსახურების თანამშრომლები აუცილებლად მოძებნიან. დავუშვათ, გახსენით რუკა, სადაც ყველა შენობის კოდს ხედავთ, მაგრამ ჩვენ, რიგით მოქალაქეებს ერთ კონკრეტულ შენობაზე გვაქვს წვდომა, მეორეზე კი, შესაძლოა, არ გვქონდეს. თქვენ ამ რუკის ეგრეთ წოდებულ ღია ნაწილში შეხვედით და კოდი ამიტომაც მოძებნეთ, მაგრამ როდესაც პრეზიდენტის სასახლის შენობაზე მაუსით დააკლიკეთ, აღარ გაგიხსნათ, რადგან ეს ინფორმაცია თქვენთვის დაფარულია.

— რამდენად შესაძლებელია, პრეზიდენტის სასახლე რომელიმე კერძო პირის მფლობელობაში იყოს?

— არა, გამორიცხულია, რადგან სანამ სასახლე აშენდებოდა, ბევრი პროცედურა გაიარა, რაც კანონის შესაბამისად წარიმართა. მახსოვს, ავლაბრის რეზიდენციის შენობა ერთ-ერთი დეპუტატის საკუთრებაში იყო, მასზე ნებართვა ლეგალურად გაიცა, მაგრამ ამას დიდი დავა მოჰყვა, რის გამოც, შენობა სახელმწიფო საკუთრება გახდა. ავლაბრის რეზიდენციას, ბოლოს შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფა“ აშენებდა და რეზიდენციის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სახლებიც კი, რომლებიც მოგვიანებით დაანგრიეს, ამ შპს-ს მფლობელობაში იყო. მართალია, ამ სახლების ნგრევასაც დავა მოჰყვა, მაგრამ ჩვენი კანონმდებლობა ექსპროპრიაციის უფლებას იძლევა, ოღონდ კომპენსაციის სახით. რამდენადაც მახსოვს, ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების შესახებ, კანონით გათვალისწინებული აქტი პრეზიდენტის ბრძანებულებით გამოიცა კიდეც. მართალია, ამასთან დაკავშირებით, საზოგადოების წუხილი კარგად მესმის, მაგრამ ეს პროცედურები კანონის დაცვით წარიმართა.

— როგორც მივხვდი, ავლაბრის რეზიდენციის მფლობელი სახელმწიფო ანუ პრეზიდენტის ადმინისტრაცია უნდა იყოს, ხომ?

— ასე ვერ ვიტყვით, რადგან თუნდაც სამთავრობო აგარაკების მფლობელის შესახებ ინფორმაციასაც ვერსად ნახავთ. სამთავრობო აგარაკებიც კი შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფის“ ბალანსზეა, მაგრამ კანონით გათვალისწინებული უპირობო ვალდებულება, რომ ყველა ასეთი ტიპის ადმინისტრაციული შენობა, აუცილებლად სახელმწიფო საწარმოს ბალანსზე უნდა იყოს, არ არის. იგივე პარლამენტი ან თუნდაც პრეზიდენტის ადმინისტრაცია, როგორც ცალკე აღებული იურიდიული პირი, არ არსებობს. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის რეზიდენცია შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფის“ ან რომელიმე საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბალანსზე უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ეს დავის საგანი ვერ იქნება, რადგან ყველაფერი, რაც კერძო პირის საკუთრებაში არ არის, სახელმწიფოსია და ამ შემთხვევაშიც, ეს პრინციპი მოქმედებს.

ამასობაში, „ვერსიამ“ საჯარო რეესტრიდან ოფიციალური პასუხი მიიღო. საჯარო რეესტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის უფროსმა, **ეკა ერგემლიძემ** „ვერსიას“ განუცხადა, რომ ინფორმაციას პრეზიდენტის სასახლის შესახებ, გრიფი — „საიდუმლო“ ადევს:

„საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთიან მონაცემთა ბაზაში დაცული ინფორმაცია სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების, სამთავრობო რეზიდენციებისა და სხვა მნიშვნელოვანი სახელმწიფო შენობა-ნაგებობების შესახებ, განეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის კატეგორიას და ადევს გრიფი — „საიდუმლო“. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ხელმძღვანელობს რა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონების შესაბამისად, მოკლებულია შესაძლებლობას, გასცეს და განასაჯაროოს გრიფით „საიდუმლოს“ მიკუთვნებული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, ანუ ინფორმაცია ავლაბრის სახელმწიფო მართვის ადმინისტრაციის კომპლექსის, როგორც უძრავი ნივთის რეგისტრაციის შესახებ“.

ბოლოს და ბოლოს, „ვერსიამ“ ის მაინც გაარკვია, რომ კანონით, ავლაბრის რეზიდენცია შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფის“ ბალანსზე უნდა ირიცხებოდეს. შესაბამისად, საჯარო რეესტრის საიტზე, უკვე ამ შპს-ს ძიება განვაგრძეთ და საკმაოდ სკანდალურ ინფორმაციასაც გადავაწყდით. ოფიციალურად გავარკვიეთ, რომ 2012 წლის 24 დეკემბერს, შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფის“ რეგისტრაცია გაუქმდა! კონკრეტულად, რომელი უწყების ბალანსზე გადავიდა პრეზიდენტის რეზიდენცია ან ამ შპს-ს ლიკვიდაციის შემდეგ, რა ტიპის საწარმო დაფუძნდა მის ბაზაზე, ჩვენთვის უცნობია!

„ვერსია“ განაგძობს საკითხის კვლევას და კანონით დადგენილი ყველა პროცედურის გავლის შემდეგ, შეეცდება მოიპოვოს ოფიციალური ინფორმაცია.

„არა, ბატონო, ჩვენ პრეზიდენტის ვეტოს დავძლევთ!“

ქრისტინე მალანია
5-93-608-508

გაითვალისწინებს თუ არა პარლამენტი „სასამართლოების შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით პრეზიდენტის შენიშვნებს და როგორ აფასებს ყოფილი მოსამართლე მოსამართლეთა ახალი გაერთიანების შექმნის იდეას

პრეზიდენტს მიაჩნია, რომ პარლამენტმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონპროექტის განხილვისას ვენეციის კომისიის შენიშვნები არ გაითვალისწინა. ამ მოტივით, როგორც მოსალოდნელი იყო, კანონპროექტს ვეტო დაადო და პროექტის ახალი ვერსია პარლამენტს განსახილველად დაუბრუნა. მიხეილ სააკაშვილი მმართველ გუნდს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტის ფარგლებში, რამდენიმე ფუნდამენტური საკითხის გადახედვასა და ალტერნატიულ საკანონმდებლო წინადადებას სთავაზობს: კანონმდებლებისგან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედი წევრებისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილების შეცვლას, საბჭოში მოსამართლეთა არჩევასთან დაკავშირებული შეზღუდვის კორექტირებას და პარლამენტის მიერ ასარჩევ წევრთა არჩევის განსხვავებული წესის შემოღებას ითხოვს. გარდა ამისა, სააკაშვილი გამოდის წინადადებით, საბჭოში ერთი წევრი პრეზიდენტმა აირჩიოს. „ვერსია“ დაინტერესდა, რა ბედი ელის „სასამართლოების შესახებ“ კანონპროექტს და აპირებს თუ არა პარლამენტი პრეზიდენტის ინიციატივების გათვალისწინებას.

„ჯერ მხოლოდ ზედაპირულად გადავხედე კანონპროექტის პრეზიდენტისეულ ვერსიას. ვნახოთ, ვიმსჯელებთ ამ თემებზე, თუმცა ვფიქრობ, ძირითადი მიზანი ვეტოს დაძლევა იქნება“, — აცხადებს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე.

უმრავლესობის ლიდერის, ზაქარია ქუცნაშვილის თქმით კი, პარლამენტი კანონპროექტთან დაკავშირებით პოზიციის შეცვლას არ აპირებს: **„არა, ბატონო, ჩვენ მყარად ჩამოყალიბებული გვაქვს პოზიცია, როგორი უნდა იყოს სასამართლო რეფორმა. აქედან გამომდინარე, პარლამენტი აუცილებლად შეეცდება, დაძლიოს ვეტო და წავიდეს პრეზიდენტის ნების წინააღმდეგ“.**

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებით, სასამართლო ხელისუფლებაში ცვლილებების განხორციელება ცუდი პრეცედენტია, თუმცა სასამართლო იმ კანონს დაემორჩილება, რასაც პარლამენტი მიიღებს. ცოტა ხნის წინ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქართველი მოსამართლეები პროექტის მხარდამჭერი საინიციატივო ჯგუფის შექმნას გეგმავენ. გაერთიანების ინიციატორი მოსამართლე ვლადიმერ ხუჭუა დამატებით დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებს. ხუჭუამ ჩვენთან საუბრისას განაცხადა, რომ ჯერჯერობით, კომენტარის გაკეთებას არ აპირებს და მოსამართლეთა გაერთიანების შესახებ დამატებით ინფორმაციას მაშინ მივიღებთ, როცა ამას თავად გადაწყვეტს.

რა სამართლებრივი მექანიზმი არსებობს პრეზიდენტის ნების წინააღმდეგ და რა გავლენას მოახდენს სასამართლო რეფორმის მხარდამჭერი მოსამართლეთა გაერთიანების საინიციატივო ჯგუფი პროცესებზე?! ამის შესახებ „ვერსია“ უზენაესი სასამართლოს ყოფილ მოსამართლეს, **მერაბ ტურავას** ესაუბრა.

— ვვარაუდობდი, რომ პრეზიდენტი კანონპროექტს ხელს არ მოაწერდა, მან კანონპროექტის შესწორებული ვარიანტი პარლამენტს უკან დაუბრუნა. იმ შემთხვევაში, თუ ვარიანტი პარლამენტის მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს, პარლამენტის თავმჯდომარე უფლებამოსილია, თვითონ მოაწეროს ხელი, რასაც დეპუტატების სრული შემადგენლობის 3/5 სჭირდება — იმისთვის, რომ კანონი ძალაში შევიდეს, 150-დან, სულ მცირე, 89 დეპუტატმა მაინც უნდა დაუჭიროს მხარი. კანონი დამტკიცდება, უბრალოდ, პროცედურულად ცოტა დროში გაიწელება — დაახლოებით, 20 დღე მაინც იქნება საჭირო, მაგრამ თუ საქმე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაეცემა, მას საქმის განხილვისთვის ერთთვიანი ვადა აქვს. კარგია, რომ პრეზიდენტს საკანონმდებლო პროცესებზე ზემოქმედების გარკვეული ბერკეტები გააჩნია, მაგრამ საბოლოო ჯამში, საპარლამენტო მმართველობა ამას ნიშნავს — თუ პარლამენტართა 3/5 ვეტოს გადალახვის პროცედურას მხარს დაუჭერს, კანონი ძალაში შევა. ბარიერები ხელს უწყობს იმას, რომ პროცესში პრეზიდენტიც მონაწილეობდეს და უფრო მაღალი კვოტით მოხდეს ნებისმიერი ცვლილების მიღება. ეს კონსტიტუციური პროცედურა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, რადგან თუ ხმების 3/5 ვერ მოაგროვეს, კანონი ძალაში ვერ შევა.

— კანონპროექტის მხარდამჭერ მოსამართლეთა საინფორმაციო გაერთიანება იგეგმება. რა გავლენას მოახდენს ეს პროცესზე?

— მოსამართლეებს ეძლევათ შანსი, გათავისუფლდნენ იმ ბორკილებისგან, რომელიც მათ ადეიშვილმა დაადო. უკანონო და უსამართლო გადაწყვეტილებების მიღება არც ერთი მოსამართლის ინტერესი არ იყო. ადრე ეშინოდათ, თუ პროკურორების ნებასურვილს უსიტყვოდ არ შეასრულებდნენ, ყოფილი იუსტიციის მინისტრი ანგარიშსწორების გარეშე არ დატოვებდა. მისი ყველაზე მსუბუქი ფორმა ე.წ. გადასახლებული მოსამართლის ინსტიტუტი იყო. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე, ქვეყანაში გადასახლებული 42 მოსამართლე იყო. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს ჯერ მარნეულში, თეთრიწყაროში და შემდეგ, ზესტაფონში უშვებდნენ. პირველი ოქტომბრის შემდეგ, მოსამართლეთა კონფერენციის წინ, ეს მოსამართლეები დააბრუნეს. დისციპლინური სამართალდარღვევის სისტემა ადეიშვილმა ისე ააწყო, ბოლო წლებში მოსამართლეების დასჯა საჭირო აღარ იყო — ურჩი მოსამართლეები დიდი ხნის წინ გაუშვეს, დანარჩენები თვითცენზურას ეწეოდნენ, იცოდნენ, რა, როგორ გაეკეთებინათ... ამ პრინციპით დააკომპლექტა ზურაბ ადეიშვილმა სასამართლოები და იუსტიციის საბჭო, მოსამართლეებს კი, პრაქტიკულად, ხელ-ფეხი ჰქონდათ შეკრული.

— რა ფუნქცია ექნება მოსამართლეების გაერთიანებას?

— როდესაც პროკურატურის მხრიდან სასამართლო ხელისუფლებაზე დიქტატი აღარ ხორციელდება, მოსამართლეებმა უნდა გამოიყენონ ეს შანსი. დაუშვებელია, იუსტიციის საბჭო ისევ ოდიოზური ფიგურებით შეივსოს, რომლებიც წინა ხელისუფლების მხარდაჭერას გააგრძელებენ. აუცილებელია, მოიყვანონ ახალი სახეები, რომლებიც ყველა მოსამართლისა და სასამართლო ხელისუფლების ინტერესებს, მეტ-ნაკლებად, ობიექტურად დაიცავენ. მოსამართლეთა ნებისმიერი გაერთიანება, რომელშიც არა პოლიტიკური და პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ პროფესიული ნიშნით ერთიანდებიან, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. საქართველოში არსებობს მოსამართლეთა ასოციაცია, მაგრამ მათ ალტერნატიული გაერთიანების შექმნის უფლება აქვთ, ახლა მათი მთავარი ამოცანაა, კენჭისყრის დროს, გაყალბებული ბიულეტენები არ შემოიტანონ და ის შედეგები არ გამოაცხადონ, რაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს აწყობს — მოსამართლეებმა არ უნდა დაუშვან ადმინისტრაციული კომიტეტის არჩევნების გაყალბება. თუ საინიციატივო ჯგუფში, მოქმედთან ერთად, ყოფილი მოსამართლეების გაერთიანებას დაუშვებენ, დიდი სიამოვნებით მივიღებ ამ პროცესებში მონაწილეობას.

— ვინ აპირებს ამ ჯგუფში გაერთიანებას?

— არ ვიცი. ადრე მსმენია, რომ რამდენიმე მოსამართლე კონფერენციამდე ცდილობდა გაერთიანებას, რათა გაყალბება არ მომხდარიყო. მოსამართლე ისეთი სამართლებრივი ფიგურაა, რომ მასზე არავითარი ადმინისტრაციული ზემოქმედების ბერკეტი არ მოქმედებს. მას ბევრი საშუალება აქვს საკუთარი დამოუკიდებლობის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის მოსაპოვებლად. მოსამართლე პროკურორი, პოლიციელი ან გამომძიებელი არ არის, მხოლოდ კანონსა და სამართალს ემორჩილება და ჩვენში დამკვიდრებული შეხედულება იმის შესახებ, რომ მოსამართლეს არ აქვს ხმის ამოღების უფლება, მცდარია. მოსამართლეს აზრის გამოხატვის თავისუფლებაცა და ვალდებულებაც კი გააჩნია. მოსამართლემ კომენტარი არ უნდა გააკეთოს იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელსაც იხილავს. სასამართლო ხელისუფლებაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით კი, მას შეუძლია ნებისმიერი ფორმის გაერთიანება შექმნას.

გიგა ნასარიძე ნაციონალების მხარდაჭერის გამო სცემეს?

რატომ არ დააკავა პოლიციამ თავდამსხმელი და აპირებს თუ არა სასამართლოში სარჩელის შეტანას ორგანიზაცია „საქართველო არ იყიდებას“ დამფუძნებელი



ერუსუდან შელია
557-100-768

24 აპრილს, ფალიაშვილის ქუჩაზე, ორგანიზაცია „საქართველო არ იყიდებას“ დამფუძნებელსა და ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერ გიგა ნასარიძეს, უცნობმა პირმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. როგორც დაზარალებულის მეუღლემ სოციალურ ქსელში განაცხადა, ადგილზე მისულმა პოლიციის თანამშრომელმა თავდამსხმელი დაამშვიდა და გაათავისუფლა. სხვათა შორის, ინციდენტს ჟურნალისტი შალვა რამიშვილიც გამოეხმაურა და ყოფილ მეგობართან მიშა მშვილდაძეს დააბარა, გამოძიების დაწყების მიზნით სარჩელი მოამზადოსო. რა მოხდა, რეალურად, ფალიაშვილის ქუჩაზე და ვინ მიაყენა შეურაცხყოფა? ინციდენტის დეტალებს გიგა ნასარიძე „ვერსიას“ უმხელს.

— სასაცილოა, 90-იანი წლები ისე გამოვიარე, არ მიჩხუბია, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ კი ორჯერ ვიჩხუბე. 24 აპრილს, ჩვეულებისამებრ, სამსახურში მივდიოდი, როცა მოულოდნელად, ქუჩაში გამვლელმა შემაგინა. სავარაუდოდ, ამის მიზეზი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები გახდა, რადგან ამ ადამიანს არ ვიცნობ და არა მგონია, პირადი წყენის გამო შეეგინებინა. როცა მასთან მივედი და ვკითხე, რატომ შემაგინე-მეთქი, პასუხის ნაცვლად, ხელი დამარტყა, რასაც ბუნებრივია, მეც ვუპასუხე. ერთი სიტყვით, შუა ქუჩაში გაწევ-გამოწევა მოხდა. ჩემმა მეგობარმა, რომელიც ინციდენტის ადგილას შემთხვევით აღმოჩნდა, დახმარება სცადა, თუმცა ამასობაში, უცნობმა გაქცევა მოახერხა.

— დახმარებისთვის პოლიციას არ მიმართეთ?

— დიახ, ამასობაში, პატრულიც გამოჩნდა, თუმცა რატომღაც, დიდხანს ფიქრობდა, დაეკავებინა თუ არა დამნაშავე. როცა რეაგირება გადაწყვიტეს, უკვე დაგვიანებული იყო, რადგან ამასობაში, პირი მიიმალა. როგორც შემდეგ აგვიხსნეს, პატრულმა თავდამსხმელი იმ მიზეზით არ დააკავა, რომ თურმე ეს მე არ მოვითხოვე. მეტიც, ჩემ მეუღლეს უთხრეს, დამნაშავე დავამშვიდეთ და წასვლის უფლებაც მივეციოთ.

— არ აპირებთ სარჩელის შეტანას? სხვათა შორის, თქვენმა ძველმა მეგობარმა, შალვა რამიშვილმა, რომელთანაც დიდი ხანია ურთიერთობა აღარ გაქვთ, გირჩიათ, საქმის გამოძიება მოითხოვოთ.

— სიმართლე გითხრათ, ჯერ კიდევ ვერ გადავწყვიტე როგორ მოვიქცე. მოსაფიქრებლად დრო მჭირდება. ვეჭვობ, ამ პირობებში ჩემ რეაგირებას აზრი ჰქონდეს. რაც შეეხება შალვა რამიშვილს, დიახ, მან მიშა მშვილდაძის საშუალებით შემომითვალა, სარჩელი აუცილებლად უნდა დაწეროო. ვეცდები, მისი რჩევაც გავითვალისწინო, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით, კონსულტაციები სხვა ადამიანებთან უნდა გავიაროო.

— ვისთან, ნაციონალური მოძრაობის ლიდერებთან?

— ჩემ მეგობრებთან...

საფრანგეთში ქართული კრიმინალური ჯგუფის წევრები დააკავეს

საფრანგეთის ქალაქ ლიონში ქართული კრიმინალური ჯგუფის წევრები დააკავეს. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, სამართალდამცველების მიერ აყვანილია კრიმინალური ჯგუფის ოთხი წევრი, რომლებმაც 2011 წლიდან გრანდლიონში 75-მდე ბინა გატეხეს.

ქართველი კრიმინალები ბინების გატეხვის დროს კუსტარულად დამზადებული გასაღებით სარგებლობდნენ.

როგორც ფრანგული მედიასაშუალებები იუწყებიან, ოთხივე დაკავებული ნარკოტიკის მომხმარებელია.

სამართალდამცველებმა მოპარული ნივთები უკვე ამოიღეს. მიმდინარეობს გამოძიება იმის დასადგენად, თუ ვის ეკუთვნის მოპარული ნივთები.

სოზარ სუბარი მის მიმართ წაყენებულ ბრალდებაზე კომენტარს არ აკეთებს

სასჯელაღსრულების №16 დაწესებულებიდან გათავისუფლებული ექთანი ციალა კაშია მინისტრ სოზარ სუბარს უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევაში ადანაშაულებს. კაშიამ, რომელიც სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში დაკითხვაზე დაიბარეს, ჟურნალისტებს ვიდეომასალა გადასცა, რის საფუძველზეც სასჯელაღსრულების №16 დაწესებულებიდან გაათავისუფლეს. ქალბატონი ციალა, პარალელურად, სასწრაფო სამედიცინო დახმარების უმცროს ექიმად მუშაობდა და მის მიმართ აღძრულ საქმეს სწორედ ამ პერიოდს უკავშირებს.

როგორც მან აღნიშნა, სასწრაფოდან გათავისუფლების შემდეგ შიმშილობდა სასწრაფოს დანარჩენ სხვა გათავისუფლებულ ექიმთან ერთად და ნაციონალებთან დაახლოებულ არაერთ პირს ნიღაბი ჩამოხსნა, რის შემდეგაც მასზე დევნა დაიწყო და სასჯელაღსრულების სისტემაში დარჩენილმა პირებმა, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს ატარებენ, მასზე შური იძიეს.

კერძოდ, როგორც ციალა კაშია აცხადებს, მიმდინარე წლის 12 აპრილს მივიდა №16 დაწესებულებაში, რა დროსაც ჩაუტარდა შემოწმება კანონის უხეში დარღვევით — ციალა კაშიას განცხადებით, იგი საჩხრეკ ოთახში შეიყვანეს, ამოწმებდნენ, პროცედურულად ფეხსაცმელი უნდა გაეხადა, ამ დროს უკანა ჯიბიდან მობილური ამოუვარდა, რომელიც მაგიდაზე დადო, რის შემდეგაც დაიწყეს მისი გაშიშვლება და აპირებდნენ, ჩაეტარებინათ გინეკოლოგიური შემოწმება: **„ამას აკეთებდა უცხო პირი, რომელიც დაწესებულების თანამშრომლად გამაცნეს — ქეთევან რამაზაშვილი. ის, რეალურად, დაწესებულების თანამშრომელი არ იყო. კადრებში ნათლად ჩანს, რომ კანონის უხეში დარღვევით მამოწმებენ. მობილური საჩხრეკ ოთახში ჩვეულებრივი მომენტია. მიუხედავად ამისა, ბრალად წამიყენეს ფარულად მობილურის შეტანის მცდელობა დაწესებულებაში. ქეთევან რამაზაშვილი ასრულებდა პროკურორრ ბაკურ აბულაძის დავალებას, რომელიც ნაციონალებთან დაახლოებული პირია. კერძოდ, ქალაქის პროკურორის ყოფილი მოადგილე. პროკურორი კი მოქმედებდა ნაციონალების დავალებით, რომლებიც ჩემზე ანგარიშსწორებას ცდილობენ სასწრაფოდან წამოსვლის შემდეგ მათზე გაკეთებული განცხადებების გამო“.**

ციალა კაშიას მიმართ, დაწესებულებაში მობილური ტელეფონის ფარულად შეტანის მცდელობის ბრალდებით საქმეა აღძრული, საქმის არსებითი განხილვა კი 30 მაისისთვისაა ჩანიშნული. ციალა კაშია საგამოძიებო სამსახურში უკვე მეორედ დაიბარეს. მისი თქმით, სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში კითხვებს იგივე ბრალდებასთან დაკავშირებით უსვამენ, რაც უკვე წაყენებული აქვთ და ვარაუდობს, რომ სასჯელაღსრულების საგამოძიებო დეპარტამენტში მას დამატებითი ბრალის წარდგენა ემუქრება.

რაც შეეხება სოზარ სუბარის მისამართით ციალა კაშიას განცხადებას, ბრალდებული ახსენებს მინისტრის 13 აპრილის ბრძანებას, რომლის მიხედვითაც, ციალა კაშია სასჯელაღსრულების №16 დაწესებულებიდან მობილური ტელეფონის ფარულად შეტანის გამო თავისუფლდება: **„ეს არის უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევა, რადგან სასამართლო პროცესი არ დასრულებულა და, შესაბამისად, არც განაჩენი დამდგარა. მინისტრი კი ბრძანებით ამტკიცებს, რომ ციალა კაშია ბრალდებულია“.**

სასჯელაღსრულების მინიტრი სოზარ სუბარი ბრალდებაზე კომენტარს არ აკეთებს, სამინისტრომ კი განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ კაშია დაწესებულებაში მობილურის ფარულად შეტანას ცდილობდა.

„ინტერპრესნიუსი“

სასჯელაღსრულების დაწესებულებების საწარმოებში პატიმრებს დაასაქმებენ

რას ნიშნავს ნულოვანი გაანგარიშების საწარმოები და რაფომ გადმოაქვთ ქალთა დაწესებულება რუსთავიდან თბილისში

მაია მიშელაძე
593-51-90-12

უკვე გადაწყვეტილია, რომ ქალთა დაწესებულება რუსთავიდან თბილისში გადმოვა. ამის შესახებ ჟურნალისტებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ, მიხეილ ღურწკაიამ განუცხადა. სამწუხაროდ, რუსთავის მე-17 კოლონიაში, ქალებს საკმაოდ მძიმე პირობებში უხდებათ სასჯელის მოხდა. თუმცა ციხის მძიმე პირობებს, ქალთა დაწესებულების გვერდით მდებარე, რუსთავის ცემენტის ქარხნის გამონაბოლქვი კიდევ უფრო მეტად ამძიმებს. შესაბამისად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ინიციატივით, სულ მალე, ქალთა დაწესებულებას რუსთავიდან თბილისში გადმოიტანენ. გარდა ამისა, სიახლეებია ზოგადად, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. მიხეილ ღურწკაიას ინფორმაციით, შესაძლოა, რამდენიმე საწარმო გაიხსნას, სადაც პატიმრები დასაქმდებიან და ხელფასსაც მიიღებენ.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტრო სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, პატიმართა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით, რამდენიმე მნიშვნელოვან ღონისძიებას გეგმავს. ბორჯომში, სასტუმრო „ბორჯომი ჰოტელ პალასში“ გამართულ სემინარზე, მასმედიის წარმომადგენლებს სწორედ ეს სიახლეები გააცნეს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის, მიხეილ ღურწკაიას განცხადებით, განსაკუთრებულ აქცენტს არასრულწლოვანებსა და ქალ პატიმრებზე აკეთებენ. მისი თქმით, ამჟამად სასჯელს იხდის 20 მრავალშვილიანი დედა, პატიმრებს შორის, 6 ქალბატონია მცირეწლოვანი ბავშვით, 100-მდე ქალბატონი კი სოციალურად დაუცველია.

ქალთა დაწესებულებებში უკვე შესაძლებელია, რომ მსჯავრდებულებმა სოციალურ-ეკონომიკური განათლება მიიღონ და გარკვეული უნარ-ჩვევებიც გამოიმუშაონ. ამ მიზნით, აქტიურად მუშაობს ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“, რომელიც პატიმარ ქალბატონებს თექისა და ბატიკის ხელოვნებას ასწავლის. მეტიც, ქალთა დაწესებულებებში უკვე მოქმედებს პროგრამა — „როგორ წამოვიწყოთ საკუთარი ბიზნესი“, მსჯავრდებულ ქალბატონებს ასწავლიან კომპიუტერს, უტარებენ სხვადასხვა ტრენინგებს. რაც მთავარია, ქალთა დაწესებულებაში მოქმედებს უნიკალური ბიბლიოთეკა, რომელიც ოსლოს ცენტრალური ბიბლიოთეკის მხარდაჭერით მოაწყვეს.

ამ ტიპის ტრენინგები და პროგრამები, რაც გარკვეული პროფესიის ათვისებას გულისხმობს, მსჯავრდებულების რესოციალიზაციას უწყობს ხელს. საინტერესოა, რა ხდება ზოგადად, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ან რას აკეთებს ციხის ადმინისტრაცია და თუნდაც სამინისტრო იმისთვის, რომ ადამიანმა, რომელმაც უკვე მოიხადა სასჯელი, გათავისუფლების შემდეგ სრულფასოვანი ცხოვრება განაგრძოს.

ქვეყანაში შექმნილი, არც ისე სახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, დასაქმება რიგით მოქალაქეებსაც უჭირთ, მათ შორის ისეთებსაც კი, რომლებსაც კარგი განათლება აქვთ მიღებული და ენებსაც თავისუფლად ფლობენ. დასაქმება და უმუშევრობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ყველაზე მტკივნეული თემაა და რა გასაკვირია, რომ ციხიდან ახლად გათავისუფლებულ ადამიანს სამსახურის ძებნა გაუჭირდეს? საბჭოთა კავშირის პირობებში, ციხეებში სხვადასხვა საწარმოები და სახელოსნოები იყო გახსნილი, სადაც პატიმრები მუშაობდნენ კიდეც და ხელფასსაც იღებდნენ. დღეს ეს სისტემა მოშლილია და პატიმრების კი არა, სახელმწიფოს რიგითი მოქალაქეების დასაქმებაც ძალიან უჭირს.

„ვერსიის“ კითხვაზე, რა გეგმები აქვს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს პატიმრების დასაქმებასთან დაკავშირებით, **მიხეილ ღურწკაიამ** გვითხრა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სხვადასხვა ტიპის საწარმოები შეიქმნება, სადაც პატიმრები დასაქმდებიან და ხელფასსაც მიიღებენ:

„რამდენიმე ბიზნეს-პროექტზე ვმუშაობთ და გვინდა, ნულოვანი გაანგარიშების საწარმოები ავამოქმედოთ. ნულოვანი გაანგარიშება იმას ნიშნავს, რომ ეს საწარმოები მოგებაზე ორიენტირებულები კი არ იქნებიან, არამედ — დამკვეთი, ამ შემთხვევაში, სახელმწიფო, გარანტირებულად შეისყიდის გარკვეული რაოდენობის პროდუქციას. მაგალითად, გვჭირდება 300 ცალი რკინის საწოლი, საწარმოს ეცოდინება, რომ 300 ცალი უნდა დაამზადოს, მასზე მეტს თუ გამოუშვებს, აი, ის იქნება მისი მოგება. ახლა 4 კომპანიასთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, მათ შორის, ერთ-ერთს ქაღალდის ბიზნესი აქვს და დეტალებს ვაზუსტებთ, ბიზნესმენები თვითონ შექმნიან ამ ტიპის საწარმოს თუ ჩვენ, სახელმწიფო შევქმნით. ამ საწარმოებში მსჯავრდებულები დასაქმდებიან და ხელფასსაც მიიღებენ“.

მიხეილ ღურწკაიამ აღნიშნა, რომ ივნისში, თავისუფლებაშეზღუდვის დაწესებულება გაიხსნება. მისი თქმით, ეს არ არის ტიპური ციხე, აქ მხოლოდ მსუბუქი სასჯელისთვის მსჯავრდებული ადამიანები მოხვდებიან, რომლებიც საზოგადოებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ. დაწესებულება 100 ადამიანზე იქნება გათვლილი და მხოლოდ მამაკაცი მსჯავრდებულები განთავსდებიან. ამ დაწესებულებაში მოეწყობა ხის საამქრო, ფერმა, სათბური, სხვადასხვა სახელოსნო, სადაც მსჯავრდებულები დასაქმდებიან. მიხეილ ღურწკაიას ინფორმაციით, მომავალ წელს, ორი ასეთი ტიპის დაწესებულება გაიხსნება, ერთი — ქალბატონებისთვის და მეორე — მამაკაცებისთვის, დასავლეთ საქართველოში.

მსჯავრდებულებს შორის, ბევრი ისეთი პატიმარია, რომელსაც სასჯელის მოხდის შემდეგ, წასასვლელი არსად აქვს. ისინი ძირითადად, პატიმრობაზე არიან დამოკიდებული, რადგან ციხეში მათ საწოლიც აქვთ, საჭმელიც და სასმელიც. სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ამ კატეგორიის მსჯავრდებულებზეც ზრუნავს და უსახლკარო პატიმრებისთვის სპეციალური კოტეჯის აშენებასაც გეგმავს. მიხეილ ღურწკაიამ აღნიშნა, რომ განათლების სამინისტრომ უკვე გამოყო მიწის ნაკვეთი და შენობა, სასჯელაღსრულების სამინისტრომ ინვენტარი შეიძინა და როდესაც 20 უსახლკარო პატიმარი სასჯელს მოიხდის, ამ შენობაში განათავსებენ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო აგრარულ პროექტში ჩართავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ხალხს საცხოვრებელიც ექნება, მიწის ნაკვეთიც და თავისუფლად შეძლებენ, მცირე მეურნეობის გაძღოლას.

ვის და რატომ აშინებს აგვისტოს ომის შესწავლა

გიორგი თავდგირიძე: „ხელისუფლებამ უნდა დაამთავროს პოლიტიკურ-კოჰაბიტაციური თამაში ნაციონალურ მოძრაობასთან და შეიარაღებული ძალების აწყობას მიხედოს!“

მერაბ ბერიძე

საჭიროა თუ არა 2008 წლის აგვისტოს ომის შიდაგამოძიება; იმოქმედებს თუ არა ეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების „აღიარების“ პროცესზე, რაზეც ნაციონალური მოძრაობა ამახვილებს ყურადღებას; რა მოხდა, რეალურად, აგვისტოს ომის დროს ანუ კიდევ ერთხელ იმაზე, თუ რატომ წავაგეთ ომი; რა დასკვნები უნდა გაკეთდეს ახალი ხელისუფლების მხრიდან — ამ საკითხებზე „ვერსია“ სამხედრო ექსპერტს, გიორგი თავდგირიძეს ესაუბრა.

— აქ რამდენიმე პლასტია გამოსაყოფი. პირველ რიგში, აუცილებელია ამ ომის ფართო შესწავლა, სანამ კონკრეტულად, გამოძიებაზე ვისაუბრებთ. უფლება გვაქვს ვიცოდეთ, რა მოხდა 2008 წელს. ეს მოვლენები ბურუსითაა მოცული და საზოგადოება მხოლოდ პოლიტიკური სპეკულაციების დონეზე მსჯელობს. ნებისმიერი მხარის განცხადება, გინდ მმართველი ძალისა და გინდ ნაცმოძრაობის, ძირითადად, პოლიტიკური დებატების ხასიათს ატარებს. საუბარია იმაზე, რომ ომის გამოძიებამ შეიძლება, დააზიანოს საქართველოს ინტერესი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ქვეყნის ინტერესი დაზიანდება, თუ საზოგადოებას არ ექნება სრული ინფორმაცია, რა მოხდა 2008 წელს. რაც შეეხება გამოძიებას, ომის მსვლელობა და საბრძოლო მოქმედებები ეჭვს ინვევს ქართულ საზოგადოებაში; რომ მმართველმა ძალამ არ გააკეთა ყველაფერი ისე, როგორც საჭირო იყო; საკუთარი პარტიული ინტერესები უფრო მაღლა დააყენა, ვიდრე სახელმწიფო ინტერესები, ამიტომ აუცილებლად დადგება გამოძიების თემა, რათა შესწავლილ იქნეს ცალკეული თანამდებობის პირისა და, ზოგადად, ნაციონალური მოძრაობის როლი აგვისტოს მოვლენებში. შესაბამისად, დიდი ალბათობით, გვექნება ბევრ თანამდებობრივ თუ სხვა ტიპის დანაშაულთან საქმე.

ნაციონალური მოძრაობა, ძირითადად, აქცენტს ომის დაწყებასა და იმაზე აკეთებს, რაღაც ფორმით გამოიკვეთოს, დამნაშავეა თუ არა საქართველოს ხელისუფლება და ამით რუსეთს სამხედრო და პოლიტიკური ნაბიჯების გამართლების საშუალება მიეცეს. არანაირად არ არის ასე. უნამუსო პოლიტიკოსების ბრალიც არის, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, არაკომპეტენტურობისა და საკითხებში სიღრმისეულად ვერწვდომის გამო, მხოლოდ პოპულისტურ განცხადებებს აკეთებენ და ყველაფერი ომის დაწყება-არდაწყებამდე დაჰყავთ. სწორედ ამაზე აპელირებს ნაციონალური მოძრაობა, როცა ამბობს, ომის გამოძიებამ, შეიძლება, საქართველო დააზიანოსო. დასავლური შეფასება გაკეთებულია ტალიავინის დასკვნით და მის გადახედვას არავინ აპირებს. ჩვენ რაიმე საერთაშორისო სანქციების ქვემდებარე არ ვხდებით და არ ვზარალობთ. ქართულმა საზოგადოებამ მომავალში არჩევანი უნდა გააკეთოს და მაინტერესებს, სხვადასხვა პოლიტიკური ფიგურისა თუ ჯგუფის რეალური სახე; მათი შესაძლებლობა, აზროვნების სტილი, ღირებულებები, ამიტომ საზოგადოებას სრული უფლება აქვს იცოდეს აგვისტოს მოვლენების სიღრმისეული ანატომია.

აქვე, ე.წ ჰაგის ტრიბუნალის საკითხი წამოიჭრა. მმართველი ძალის, „ქართული ოცნების“ ბევრი პოლიტიკოსის არაკომპეტენტურობის გამო, ამ საკითხის მიბმა მოხდა 2008 წლის მოვლენებზე. ჰაგის ტრიბუნალის ქვემდებარე, ომში ადამიანის უფლებების შელახვაა. ჰაგა იძიებს, იყო თუ არა ომის დროს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; ცალკეული სამხედრო პირისგან სამხედრო დანაშაულები ჩადენილი. ტრიბუნალი ასევე ორივე მხარეს ავალდებულებს, გამოძიებული იქნეს ამ ტიპის დანაშაულები. ეს ჩვეულებრივი პროცედურაა, კონვენციური მოთხოვნა, რასთანაც შეერთებული ვართ და რატიფიცირებული გვაქვს. ჰაგა ცალკე თემაა და იარსებებს იმის მიუხედავად, დავიწყებთ თუ არა 2008 წლის აგვისტოს ომის შესწავლას.

— გამოძიების შედეგად, ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ ოკუპირებული რეგიონების აღიარება განიხილება...

— სანამ დასავლეთის მოკავშირე ვართ, თავდაყირა რომ დავდგეთ, ამ საკითხში მაინც მართლები ვიქნებით. არაღიარების პოლიტიკას ეს არანაირად ხელს არ შეუშლის. რა თქმა უნდა, ჩვენ გენოციდი ან ეთნოწმენდა რომ ჩაგვეტარებინა და ეს სახელმწიფო პოლიტიკა ყოფილიყო, საგარეო იმიჯი დაზარალდებოდა და, შესაძლოა, იზოლაციაში აღმოვჩენილიყავით, მაგრამ ხომ ვიცით, დაწყებული 90-იანი წლებიდან 2008 წლით დასრულებული, ჩვენი პოლიტიკა არ ყოფილა ეროვნული ნიშნით ვინმეს ჩაგვრა ან ტერიტორიების წმენდა, ამიტომ ამ საკითხში ძალიან მყარად და კარგად ვგრძნობთ თავს; რაკი მართლები ვართ, სხვა დანარჩენი, არაღიარების პოლიტიკის გაგრძელებას ხელს ვერ შეუშლის. ძალიან მერკანტილურად რომ ვისაუბროთ, რამდენიმე ათეულ ჩინოვნიკს ნაციონალური მოძრაობის მმართველი წრეებიდან, ძალიან ბევრი დანაშაული აქვს ჩადენილი; შესაბამისად, ნაცმოძრაობას ეს აწუხებს და არა ის, რომ საქართველოს იმიჯი რაიმე ფორმით დაზარალდებოდა. ეს იმიჯი ამ პარტიისთვის მნიშვნელოვანი რომ ყოფილიყო, 2008 წლის აგვისტოს პროცესები ასე არ განვითარდებოდა. საქართველოს იმიჯზე მჯიღის ცემას, სჯობდა, ბრძოლის ველზე ყველაფერი გაეღოთ და ბოლომდე დახარჯულიყვნენ.

— თავიდანვე ბრძანეთ, რომ ყველაზე მთავარია გავარკვიოთ, რა მოხდა აგვისტოს ომის დროს. როგორც პროფესიონალმა სამხედრომ, მთავარი მომენტები რომ გამოყოთ, ომის წაგებისა და დროებით ტერიტორიების დაკარგვის...

— ოპერაცია იყო ძალიან ცუდად მომზადებული. ფაქტობრივად, სამხედრო მოქმედებების სტრატეგია მაგიდაზე არ იდო და, შესაბამისად, არც ზოგადი უსაფრთხოების სტრატეგია გვქონდა. არ იყო დასახული მიმართულება, რა გვინდოდა ამ ომისგან. ისე დავიწყეთ, რომ საბოლოო მიზანი ჩამოყალიბებული არ ყოფილა. მეორე მთავარი პრობლემა, საბრძოლო ოპერაციების მართვაა. თუ მმართველი ძალა დაინტერესებული იყო, სამხედრო მოქმედებებში წარმატებისთვის მიეღწია, უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბებდა მართვის ვერტიკალს.

მთავარი ისაა, რომ უშუალოდ, მიხეილ სააკაშვილს საბრძოლო მოქმედებებისთვის არ უხელმძღვანელია, მას არ შეუქმნია თავისთან შტაბი, რომელიც დაეხმარებოდა, გასწევდა მონიტორინგს, თუ როგორ მიმდინარეობდა ავად თუ კარგად დაგეგმილი ოპერაციები. ეს ძალიან დიდ კითხვის ნიშნებს აჩენს. რაც უნდა დავაბრალოთ სააკაშვილს, ის პრაგმატული პოლიტიკოსია და არ მგონია, არ სცოდნოდა, რომ მართვის გარეშე საბრძოლო ოპერაციებში წარმატება შეუძლებელი იქნებოდა;

არც ის მგონია, სააკაშვილის გუნდმა არ იცოდა, რომ უგულავა და კეზერაშვილი ვერ შეძლებდნენ ამ მოქმედების მართვას დამოუკიდებლად, ავტონომიურ რეჟიმში, ამიტომ სამხედროებს თავს ზემოთ მმართველი სამხედრო რგოლი საერთოდ არ ჰქონდათ, ზედნაშენი, რომლისგანაც ბრძანებებს მიიღებდნენ.

რაც შეეხება, უშუალოდ, საბრძოლო ოპერაციებს, შეიარაღებულ ძალებში მართვის სადავეების მქონე ოფიცრებმა ამაზრზენად იმოქმედეს. მათ პირველსავე დღეს, ხელიდან გაუშვეს ჯარის მართვის სადავეები. პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მეორე-მესამე დღეს, შიშისა თუ სხვა მერკანტილური მიზნებისგან რომ არ მიეტოვებინა შეიარაღებული ძალები, თავად ეს ძალები დაიშლებოდა და გაიფანტებოდა. მმართველი ოფიცრები მოუმზადებლები აღმოჩნდნენ ასეთი ტიპის ოპერაციების მართვაში. მორალურადაც, მათ ცუდად დაამახსოვრეს საკუთარი თავი შეიარაღებულ ძალებს. ამაზე მომავალში აუცილებლად იქნება საუბარი. ოფიცრების მიერ ბრძოლის ველზე დაჭრილი და დაღუპული თანამებრძოლების მიტოვება, არამარტი იმას ნიშნავს, რომ მათ მართვა ვერ შეძლეს. ამას რომ თავი დავანებოთ, მორალური ვალდებულებები გაქვს და როგორც მებრძოლმა, უნდა შეასრულო. ამის გარეშე, სამხედრო-თეორიულ კომპეტენციასა და ცოდნაზე საუბარი აღარ არის. ასევე, ვიცით ისტორიები, როდესაც ზოგიერთი იმდროინდელი მაღალჩინოსანი, 10 თუ 15 აგვისტოს რაღაც მიწების გადაფორმებით იყო დაკავებული. ამ დროს, თანამებრძოლები ბრძოლის ველზე იყვნენ მიტოვებულნი; მათ ელემენტარული მორალი არ გააჩნდათ, ზნეობაზე ხომ საუბარი ზედმეტია. ცალკეულმა ბატალიონმა რამდენად სწორად განახორციელა რაიმე ტაქტიკური მოქმედება, ესეც შესასწავლია. ყოველივე სამხედროებს იმისთვის სჭირდებათ, რომ შეცდომები აღარ გაიმეორონ. ნებისმიერი სამხედრო მანქანა, ყოველთვის სწავლობს მსოფლიოში მიმდინარე ომებს და სამხედრო შეტაკებებს. იმისთვის, რომ აუცილებელი ცოდნა დააგროვოს. საქართველო თავის მიერ ჩატარებულ სამხედრო ოპერაციებსაც არ სწავლობს. ეს ნონსენსია, რადგან ყოველთვის ძალიან ძვირი ღირს პრაქტიკული მოქმედების შესწავლა, დაკვირვება თუ ანალიზი. გვინდა თუ არა, გვქონდა ასეთი სამხედრო მოქმედებები ორ ათწლეულში და ეს უნდა შევისწავლოთ. წერილობითი დოკუმენტის სახით უნდა იყოს, რასაც ნებისმიერი დაინტერესებული მხარე გადაშლის, დაეთანხმება ან არა. შემდგომი ანალიზი სწორედ ამის საფუძველზე უნდა გაკეთდეს.

— ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია გრძელდება, დღევანდელმა ხელისუფლებამ რა მთავარი დასკვნა უნდა გამოიტანოს?

— დასკვნა ერთია, არ შეიძლება ცალკეული სფერო ენთუზიასტების იმედად დარჩეს. არადა, დღეს შეიარაღებული ძალები კვლავ ირაკლი ალასანიას იმედადაა, რაც ასევე პრობლემატურია. ალასანია, კარგია თუ ცუდი, ეს საკითხი, ამ ეტაპზე, არ მაინტერესებს. ჩვენს შეიარაღებულ ძალებს კვლავ არ ვუდგებით სისტემურად. ათასებსა და მილიარდებს ვხარჯავდით შეიარაღებულ ძალებში, მაგრამ გვიჭირს რამდენიმე მილიონი ან ასეული ათასი გამოვყოთ იმისთვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ, თეორიულად დასაბუთებულ-დამუშავებული გეგმა გვქონდეს, თუ როგორი შეიარაღებული ძალები გვჭირდება. მინისტრის ყოველი ცვლილებისას, თავიდან ვიწყებთ შეიარაღებული ძალების მშენებლობას. მერწმუნეთ, კავკასიის მთიან რეგიონში, საკმაოდ რთულ რელიეფურ გარემოში, 25-30-ათასიანი არმია მნიშვნელოვანი ძალაა, სერიოზულად თუ მივუდგებით. მით უმეტეს, ძლიერი მხარდაჭერა გვაქვს, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, შეერთებული შტატებისგან; გვაქვს შესაძლებლობა, პრაქტიკაში, სხვადასხვა მისიაში, გამოვცადოთ ჩვენი სამხედროები, სხვადასხვა სისტემა თუ მოდელი, ამიტომ ყველაფერს თავი უნდა მოვუყაროთ და, ერთხელ და სამუდამოდ, შეიქმნას თეორიული მოდელი იმისა, როგორი შეიარაღებული ძალები გვჭირდება. ამიტომაც დღევანდელმა ხელისუფლებამ უნდა დაამთავროს პოლიტიკურ-კოჰაბიტაციური თუ სხვა ტიპის თამაშები ნაციონალურ მოძრაობასთან და საქმეს — შეიარაღებული ძალების აწყობას მიხედოს.

ვერსიანიუსი

რუსმა მესაზღვრეებმა 75 წლის კაცი დააკავეს და ცხინვალში გადაიყვანეს

ოკუპირებული ტერიტორიის საზღვრისპირა სოფელ კირბალიდან რუსმა მესაზღვრეებმა ერთი პირი დააკავეს და ცხინვალის მიმართულებით გადაიყვანეს. 75 წლის გიორგი დოთიაშვილი მაშინ დააკავეს, როდესაც იგი სოფლის განაპირას საქონელს მწყემსავდა.

ადგილობრივების ინფორმაციით, დოთიაშვილი მესაზღვრეებმა ჯერ ღრომის მილიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, შემდეგ კი — ცხინვალში.

ოფიციალური ბრალდება ცნობილი არ არის, თუმცა ცხინვალის მხარე დოთიაშვილს, სავარაუდოდ, ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთაში დასდებს ბრალს.

სოფელ კირბალის პერიმეტრზე მავთულხლართებით სასაზღვრო მიჯნა დაფიქსირებული არ არის, თუმცა რუსი მესაზღვრეები სოფლის განაპირას საზღვრის გადაკვეთის ბრალდებით არაერთ ადამიანს აკავებენ. ბოლო ორი წლის განმავლობაში ამ ბრალდებით დაკავებულ კირბალელთა რიცხვმა სამ ათეულს გადააჭარბა.

კირბალელების ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტრო და შიდა ქართლის სამხარეო სამმართველო დოთიაშვილის გათავისუფლებაზე ოსურ მხარესთან მოლაპარაკებას აწარმოებენ.

„ინტერპრესნიუსი“

გიორგი მარგველაშვილი გადაწყვეტილებას არ ცვლის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, სასკოლო სახელმძღვანელოების შესახებ გადაწყვეტილება მისი მინისტრობის პერიოდში არ შეიცვლება. მარგველაშვილმა ევროპის საგანმანათლებლო გამომცემელთა ჯგუფის წერილი წაიკითხა და მის ავტორებს მოუწოდა, გაეცნონ, რა რეაქცია აქვს საქართველოს მოსახლეობას ამ საკითხთან დაკავშირებით: **„ჩვენ მივისწრაფვით თავისუფალი ბაზრის შექმნისკენ. მოვუწოდებთ წერილის ავტორს, კარგად ჩაიხედოს ვითარებაში, სანამ წერილს მოგვწერს, დაგვიკავშირდეს კითხვებით. მე სამსახურში ამიყვანა და დამიქირავა საქართველოს მოსახლეობამ, თავის ჯიბიდან ყოველთვე მიხდის ხელფასს, მე მათი დაქირავებული ვარ, მათ ინტერესებს ვიცავ და არა რომელიმე, თუნდაც ძალიან პატივსაცემი არასამთავრობო ორგანიზაციისას. დაინტერესდნენ, რა რეაქცია აქვს საქართველოს მოსახლეობას ამ საკითხთან მიმართებაში“.**

ევროპის საგანმანათლებლო გამომცემელთა ჯგუფს საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციამ შეატყობინა, რომ საქართველოს მთავრობის ბოლოდროინდელი გადაწყვეტილების გამო, ქართული წიგნის ბაზარი სერიოზული საფრთხის წინაშე დგას: **„2013 წლის აპრილის დასაწყისში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამომცემლობებთან ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე, გააკეთა ოფიციალური განცხადება იმის შესახებ, რომ 2013-14 სასწავლო წლებში სასკოლო სახელმძღვანელოები დაიბეჭდება და დარიგდება უფასოდ. ეს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, ჰუმანური აქტია და გასაგებია, რომ გამომცემლები მზად არიან, მხარი დაუჭირონ ხელისუფლების გადაწყვეტილებას სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგების შესახებ, მაგრამ აცხადებენ, რომ ეწინააღმდეგებიან გამომცემელთა საავტორო და ინტელექტუალური უფლებების ძალადობრივ დარღვევას. ხელისუფლების გადაწყვეტილება სერიოზულ გავლენას მოახდენს ქართულ საგამომცემლო ბიზნესზე. უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში, განათლების სამინისტრო ადგენდა კურიკულუმს და იწვევდა გამომცემლობებს, რათა მათ შესაფასებლად წარმოედგინათ თავიანთი სახელმძღვანელოები. მხოლოდ ხელისუფლებისგან თანხმობის მიღების შემდეგ შეეძლოთ გამომცემლებს, დაებეჭდათ ისინი და წარედგინათ მასწავლებლებისთვის შესაფასებლად. სკოლები ირჩევდნენ სახელმძღვანელოებს, მშობლებს კი უხდებოდათ მათი შეძენა. სამი წლის წინ მთავრობამ დაიწყო გამომცემლობებისგან სახელმძღვანელოების შეძენა სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის, რადგან ერთი ცალი წიგნის ფასი (4,5 ევრო) ხელმისაწვდომი არ იყო მთელი საზოგადოებისთვის. ვითარება დრამატულად შეიცვალა და ხელისუფლებამ გადაწყვიტა, დაებეჭდა წიგნები გამომცემლობებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, რომლებიც სახელმძღვანელოების ინტელექტუალური საკუთრების მფლობელები არიან, რითაც მთლიანად უგულებელყო მათი უფლება, მიიღონ დადგენილი შემოსავალი ხელშეკრულების პირობების თანახმად, რომელიც მოიცავს საინვესტიციო შემოსავლებს, ავტორთა ჰონორარსა და ლოგიკურ მოგებას“.**

ევროპის საგანმანათლებლო გამომცემელთა ჯგუფის განცხადებით, ამ ახალი ინიციატივის შედეგად, საქართველოში სახელმძღვანელოების გამომცემელთა უმრავლესობა გაკოტრდება.

„ინტერპრესნიუსი“

„დიდი ხანია ამ საქმეს ვიძიებ და აღმოვაჩინე, რომ გამგეობიდან დაწყებული ადგილობრივი ორგანოებით დამთავრებული, საქმის კურსში არავინაა!“

ვაჟა ოთარაშვილის სკანდალური ინტერვიუ

რუსუდან შელია
557-100-768

ვაჟა ოთარაშვილი **განათლების მინისტრის ინიციატივას უფასო წიგნების დარიგებასთან დაკავშირებით დადებითად აფასებს, იუსტიციის მინისტრს კი ორაზროვან განცხადებებს უწუნებს და „ვერსიას“ ექსკლუზიურად უამბობს, რა ხდება კასპის რაიონის სოფელ ქვემოჭალაში ირანელების მიერ ნაყიდი ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე.**

— გიორგი მარგველაშვილის ინიციატივას, წიგნების უფასოდ დარიგებასთან დაკავშირებით, მივესალმები, რადგან მან განათლების სისტემაში არსებული მაფიის დასამარცხებლად პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. ედუარდ შევარდნაძისა და თამაზ კვაჭანტირაძისდროიდან მოყოლებული, რომლებიც დედა ენიდან დაწყებული, ყველა წიგნს წელიწადში ერთხელ ცვლიდნენ, ეს სისტემა მიზანმიმართულად ინგრეოდა. დღემდე ვერ გამიგია, ყოველ სასწავლო წელს, რატომ იცვლება თუნდაც მათემატიკის სახელმძღვანელო, როცა მნიშვნელოვანი ცვლილებები ამ დარგში არ განხორციელებულა. მარტივია, მსგავსი პოლიტიკით ძველი ხელისუფლება მშობლებს კაბალურ მდგომარეობაში აყენებდა და ფულს მოსწავლეების ხარჯზე შოულობდა.

— თუ ასეა, გიორგი მარგველაშვილის ინიციატივის წინააღმდეგ გამომცემლობების დირექტორები სასამართლო სარჩელსაც ამზადებენ და პროტესტის ნიშნად, ნაწილმა წიგნის გაყიდვაზეც უარი განაცხადა. თქვენ არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ უფასო სახელმძღვანელოების დარიგება ამ სფეროში კერძო ბიზნესზე უარყოფითად იმოქმედებს?

— ერთდღიანმა პროტესტმა ნათლად დაგვანახა, რომ გიორგი მარგველაშვილის ინიციატივის მოწინააღმდეგეებს წიგნი კი არ უყვართ, ჯიბეში ფულის სიმცირე ანაღვლებთ. არადა, გამომცემლობების დირექტორები სწორედ განათლების სისტემაში არსებული მაფიის მთავარი რგოლები იყვნენ. დანაშაული იყო თუნდაც ის ფაქტი, რომ, კოლოსალური შემოსავლების მიუხედავად, ავტორებს მიზერულ თანხას უხდიდნენ. ბუნებრივია, გამომცემლების არგუმენტებს არ ვიზიარებ, რადგან მათ საქართველოს ბიუჯეტი ნაკლებად ადარდებთ და მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობენ. ყველამ კარგად ვიცით, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, განათლების სამინისტრო არასამართლიან ტენდერებს ატარებდა. თუ გიორგი მარგველაშვილი ამ კურსს გააგრძელებს, საქართველოს მოსახლეობა, რომელსაც ოჯახში მოსწავლე ჰყავს, რეფორმის შედეგად, ნამდვილად ამოისუნთქავს.

— კითხვები იუსტიციის მინისტრის მისამართითაც ჩნდება. რამდენიმე დღის წინ, თეა წულუკიანის უწყებასთან ID ბარათების ალტერნატივის მოთხოვნით, აქციაც გაიმართა. რატომ გრძელდება ამ მიმართულებით სამღვდელოებისა და სახელმწიფოს დაპირისპირება?

— იუსტიციის სამინისტროს წინ გამართულ აქციას მეც მივესალმები. მეტიც, ვფიქრობ, ქუჩაში ბევრად მეტი ადამიანი უნდა გამოსულიყო. არ ვმალავ, თეა წულუკიანისადმი სიმპათიით ვარ გამსჭვალული, თუმცა ნამდვილად არ მესმის, ბარათთან დაკავშირებით მისი ორაზროვანი განცხადებები. არავის აქვს უფლება, საქართველოს მოქალაქეებს ალტერნატივის საშუალება წაართვას. მით უმეტეს, თუ ID ბარათების დანერგვაზე საბერძნეთმა, რუსეთმა, ინგლისმა და სხვა განვითარებულმა სახელმწიფოებმა უარი განაცხადეს. ზოგიერთები კი ლეგენდად რაცხავენ, მაგრამ ამ სისტემის დანერგვით ადამიანთა მართვა რომ გამარტივდება, ფაქტია. მესმის, თეა წულუკიანზე ამერიკა და ევროპა ზეწოლას ახორციელებს, თუმცა ქართველი ხალხის ნების დავიწყების უფლება მას არ აქვს. სხვათა შორის, ამ მიმართულებით საპატრიარქოს პოზიციამ — იუსტიციის სამინისტროს წინ შეკრებილი მღვდლების პოზიციას არ ვიზიარებთო, ნამდვილად გამაოცა. ვფიქრობ, ჩვენი ბრძენი პატრიარქი საკუთარ გარემოცვაში უმცირესობაში აღმოჩნდა. მეტიც, ეჭვიც არ მეპარება, რომ საპატრიარქოს დღემდე ნაციონალური მოძრაობის ბანდის მიერ დანიშნული ეპისკოპოსები მართავენ, რომლებიც, თავის დროზე, მიხეილ სააკაშვილს დოლ-გარმონით დასდევდნენ. ასეთ ადამიანებს მოვუწოდებ, მღვდელ ილარიონ ჯაშის 1905 წელს გამოქვეყნებული წერილი, სახელწოდებით — „რატომ დაშორდა ქართული საზოგადოება და ეკლესია ერთმანეთს“ — წაიკითხონ. მსგავს საკითხებზე შეუთანხმებლობა, ქვეყანას დაღუპვამდე მიიყვანს.

— საქართველოში ინდოელების მასობრივად დასახლების საკითხს ტელეკომპანია „ალ ჯაზირაც“ გამოეხმაურა, სადაც ისიც ხაზგასმით ითქვა, რომ ინდოელი ფერმერები საქართველოში უკმაყოფილებას აღვივებენ...

— სწორედ ესაა კატასტროფა. თბილისსა და რეგიონებში ჩინური დასახლებები, ინდური უბნები გაჩნდა, რაც შაგრენის ტყავივით გალეული საქართველოსთვის დამღუპველი ტენდენციაა. ეს პროცესი სააკაშვილმა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით, კანონში ცვლილებები შეიტანა და ნებისმიერ ამვლელ-ჩამვლელს საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლება მისცა. როცა საქართველოს პარლამენტის წევრი ვიყავი, ორმაგი მოქალაქეობის შესახებ კანონპროექტი ჩავაგდეთ და ამის უფლება მხოლოდ იმ ადამიანს მივანიჭეთ, რომელსაც ქართველი ერის წინაშე განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვოდა. საქართველოს ახალ პარლამენტს მივმართავ: უცხოელთა მდგომარეობის შესახებ კანონში ცვლილებები სასწრაფოდ განსახორციელებელია.

კონკრეტულ მაგალითს მოგიყვებით: კასპის რაიონის სოფელ ქვემოჭალაში, სამთავისის ტაძრიდან სამიოდე კილომეტრში, ირანელებმა ღვინის ქარხანა იყიდეს. გავრცელებული ინფორმაციით, ირანელები ჰომეოპათიური წამლების წარმოებას გეგმავენ, ზოგი იმასაც ამბობს, ამ ქარხანაში ქიმიური ესენციები უნდა დამზადდესო. ზოგადად, ეს ტერიტორია თბილისის ფილტვად ითვლება და ალბათ, გივი ამილახვარი, რომელიც მთელი ცხოვრება ირანელებს ებრძოდა, საფლავში გადატრიალდება. დიდი ხანია ამ საქმეს ვიძიებ და აღმოვაჩინე, რომ გამგეობიდან დაწყებული ადგილობრივი ორგანოებით დამთავრებული, საქმის კურსში არავინაა. მეტიც, თავად ირანელები შიგნით არავის უშვებენ და ტრაილერებს ქიმიკატებით თავისუფლად ავსებენ.

მიშვრაცუას პოლიტიკა, რომელიც ქართველების ფიზიკურ განადგურებას მიზანმიმართულად ცდილობდა, უნდა დავასრულოთ. აუცილებელია, მმართველმა გუნდმა, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, იმოქმედოს.

— კი, მაგრამ როცა მოსახლეობა უცხოელებისთვის მიყიდული მიწების უკან დაბრუნებას ითხოვს, ფიქრობთ, კერძო დავაში ხელისუფლება უნდა ჩაერიოს?

— რა თქმა უნდა, უცხოელებს, რომლებსაც სააკაშვილის ბანდამ ქართველების ქონება გადასცა, ახალმა ხელისუფლებამ რევიზია უნდა ჩაუტაროს და დაადგინოს, ქართული მიწები მათ რამდენად კანონიერად აქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქუთაისში, ჭაობში აშენებული პარლამენტის შენობა ოხრად დაგვრჩება. რთული მდგომარეობაა ქართულ სოფლებშიც. რამდენიმე დღის წინ არაგვის ხეობიდან დავბრუნდი — გავოცდი, ქართული სოფლები კატასტროფული სისწრაფით იცლება! აუცილებელია, ხელისუფლება ამ მიმართულებითაც სერიოზულად დაფიქრდეს. ვფიქრობ, დაუშვებელია, დედაქალაქსა და სოფელში მცხოვრები ერთსა და იმავე საგადასახადო პირობებში ცხოვრობდეს. პირიქით, თუ მოქალაქეები სოფელში ცხოვრებას გადაწყვეტენ, მთავრობამ სათანადო პირობებიც უნდა შეუქმნას.

— სოფლის მეურნეობის სამინისტრო საკმაოდ აქტიურად მუშაობს და, ფიქრობთ, ეს საკმარისი არ არის?

— ვაუჩერების დარიგების ფონზე, ის ატრიბუტიკა გაძვირდა, რაც გლეხს ყველაზე მეტად სჭირდება. თუ ადრე ასი გრამი შხამქიმიკატი ხუთი ლარი ღირდა, ახლა მისი ფასი თითქმის ოც ლარამდე გაიზარდა. მხოლოდ ვაუჩერის დარიგება საკმარისი არ არის, მაღალმთიან სოფლებს სინათლისა და ბუნებრივი აირის გადასახადიც უნდა დავუფინანსოთ. რამდენიმე დღის წინ, არაგვის ხეობის ერთ-ერთ გამგებელს შევხვდი, რომელმაც გულისტკივილით მითხრა, ყოველწლიურად, მთაში, მინიმუმ, სამი სოფელი უკაცრიელდებაო. განა, რამდენი უნდა დაწვას დენი შატილში მცხოვრებმა ორმა კომლმა, რომ მისი ფული ბიუჯეტმა ვერ დაფაროს?! მით უმეტეს, ეს ადამიანები ერთგვარი სადარაჯო კოშკის ფუნქციასაც ასრულებენ. არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა უმრავლესობა ქართული სახელმწიფოებრიობისა და ცნობიერების დანგრევას ემსახურება, გრანტებს ხომ კარგად ვაძლევთ?! საქართველოს ხელისუფლება დღეს არასრულყოფილ პოლიტიკას აწარმოებს. იმედი მაქვს, მმართველი გუნდი, ქუთაისში სხდომების ჩატარებასთან ერთად, ქვეყნის საკეთილდღეოდ რეალურ მუშაობაზეც გადავა. სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილმა ევროპული გამოცდა წარმატებით ჩააბარა. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე კარგად გამოჩნდა, რომ პრემიერი საკმაოდ გამოცდილი და, რაც მთავარია, პატრიოტი პოლიტიკოსია.

„არ შეიძლება, ხალხის სიმპათია ადამიანს მარტო იმიტომ ერგოს, რომ ვიღაცის წარმომადგენელია“

რა შემთხვევაში წავა პოლიტიკიდან საქართველოს პატრიოტთა ალიანსის პოლიტიკური მდივანი სოსო მანჯავიძე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

შუალედური არჩევნები კარსაა მომდგარი. 27 აპრილს ნაძალადევი, თეა წულუკიანის შემდეგ, ახალ მაჟორიტარ დეპუტატს აირჩევს. თუმცა თვალშისაცემია რამდენიმე პოლიტიკური ტენდენცია, რომლის შესახებ ერთ-ერთი კანდიდატი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსის პოლიტიკური მდივანი სოსო მანჯავიძე საუბრობს და არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში, პოლიტიკიდან წასვლასაც არ გამორიცხავს.

— ამ შუალედურ არჩევნებზე თვალსაჩინოა ძველი ინერცია. საერთოდ, საზოგადოება ერთი დიდი ინერციული სისტემაა და ამას ერთბაშად ვერ მოვაშორებთ — ის შიში, რაც ხალხში ამდენი წლის განმავლობაში იყო დაბუდებული, ასე იოლად ვერ განიდევნება. იგივე სიტუაციაა ახლაც — ხომ არ დაგვავიწყდა, რომ 1 ოქტომბრამდე ტოტალური მოსმენების, თვალთვალისა და ტერორის პირობებში გვიწევდა ცხოვრება?!

— 1 ოქტომბრის მერე ცხოვრება სხვანაირად გაგრძელდა?

— შესაძლოა, თვალთვალი და მოსმენები, ზოგიერთი უწყების მიერ, ისევ ხორციელდება, მაგრამ არა ღიად, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით არც ის გამჟღავნებულა, რომ მოსმენის საფუძველზე რომელიმე ბიზნესმენს რაღაც ქონება წაართვეს, რისი გამოცდილებაც აქამდე გვქონდა.

— ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, საუბრები შიშის დაძლევასა და ვითარების გარდატეხაზე ფუჭი იყო?

— ამომრჩეველში ფარული შიში კვლავ არსებობს და ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, საით წავიყვანთ სიტუაციას, თუ შიში არ დავძლიეთ, რომელ შინაგან თავისუფლებაზეა საუბარი? შიშის სინდრომი სამუდამოდ უნდა აღმოვფხვრათ.

— ამას როგორ გააკეთებთ?

— საქმე ისაა, რომ ახლა, შიშთან ერთად, ხალხში თავს იმედგაცრუებაცაა, თუმცა წყენა და უარყოფითი ემოციების გამოხატვა არაპროდუქტიულია. რამეზე რომ გავიბუტოთ, ამით შედეგს ვერ მივაღწევთ, პირიქით, მდგომარეობა გაუარესდება, ამიტომ იმედგაცრუებას, უიმედობასა და შიშს უნდა ვძლიოთ და ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი დავიწყოთ. ჩემი ამოცანაც ესაა: უნდა მოვახერხოთ და რაც შეიძლება მეტი შეგნებული არჩევანი გავაკეთოთ. არ შეიძლება, არჩევანი ინერციით კეთდებოდეს ქვეყანაში და ხალხის სიმპათია ადამიანს მხოლოდ იმიტომ ერგოს, რომ ვიღაცის წარმომადგენელია. ადამიანი თავისუფალი, გააზრებული არჩევანის შედეგად, მისი დამსახურებისა და პირადი თვისებების გამო უნდა ავირჩიოთ!

— გაქვთ ილუზია, რომ ამ არჩევნებზე კანდიდატებს ძველი ინერციით აღარ აირჩევენ?

— სულაც არ მაქვს ეს ილუზია! ჩემი წინასაარჩევნო კამპანიის მთავარი ამოცანა იყო, რაც შეიძლება მეტი ადამიანი ყოფილიყო ინფორმირებული და არჩევანი შეგნებულად გაეკეთებინათ. შეუგნებელი არჩევანით რასაც მივაღწიეთ, ყველამ ნახა: 2012 წელს ზიზღითა და ხათრით გაკეთებული არჩევანის შედეგად, პარლამენტი ის საკანონმდებლო ორგანოა, რომელიც არავის წარმოადგენს, არაფერს აკეთებს და არავის წინაშეა პასუხისმგებელი. შეგნებული არჩევანი კი სულ სხვა პოლიტიკური დონეა და იმედი მაქვს, ამას მივაღწევთ.

— მართალია, შუალედური არჩევნები არც ისე მასშტაბურია, მაგრამ მისი შედეგები თქვენთვის რაიმე ტენდენციის მაჩვენებელი იქნება?

— ამ არჩევნებზე რა შედეგიც დადგება, ის იქნება ტენდენციაც. თუ თამარ კორძაია გაიმარჯვებს, მაშინ ჩემთვის ნათელი გახდება, რომ საქართველოში ინერციული აზროვნება კვლავ ძლიერია და ადამიანები ბედს თავისთვის სრულიად უცხო პიროვნებას ანდობენ, რომლის შეხედულებები მათსას რადიკალურად ეწინააღმდეგება! ეს კი მხოლოდ იმის გამო შეიძლება მოხდეს, რომ ამომრჩეველს ისევ ბიძინა ივანიშვილის ხათრი აქვს. დარწმუნებული ვარ, ახლა ასე არ მოხდება და ამის მაჩვენებელი სწორედ 27 აპრილის არჩევნების შედეგები იქნება. საინტერესოა ისიც, რომ ქალბატონი კორძაიას გარდა, ვინც ამ არჩევნებში მონაწილეობს, ყველა მე მიყოფს ხმას.

— მერე, ამ ინერციის დასაძლევად, რატომ ვერ მოხერხდა შეჯერება ერთ კანდიდატზე?

— როგორც კი კახა კუკავა გამოჩნდა საარჩევნო ასპარეზზე და ყველას შევახსენებ, რომ ეს ჩემზე გაცილებით გვიან მოხდა, თქვა, რომ აქვს დიდი უპირატესობა.

— ის „ფეისბუქგამოკითხვებში“ მართლაც ლიდერობდა.

— „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ახლაც ლიდერია და ვუსურვებ, ეს ლიდერობა ისე განემტკიცებინოს, „ფეისბუქის“ მაჟორიტარი გამხდარიყოს! ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვამბობ, მსგავსი გამოკითხვები ჩემთვის მიუღებელია! ჩემგან დამოუკიდებლად, სამმა ტელეკომპანიამ ჩაატარა გამოკითხვა, სადაც აშკარა იყო, რომ მე ვლიდერობდი. ყველგან თამარ კორძაია და მე ვართ, ასე ვთქვათ, გამსვლელი კანდიდატები და მერე მოდიან სხვები, თუმცა ეს სხვები ხმას სწორედ მე მართმევენ და არა — კორძაიას. ახლაც მზად ვარ, ნებისმიერ კანდიდატს მოველაპარაკო, მაგრამ როცა ადამიანი ამბობს, მე გავდივარ პირველ ადგილზეო, მას როგორ უნდა მოელაპარაკო? ყველა მიიჩნევს, რომ თვითონაა გამარჯვებული და მათთან საერთოდ რაზე ვილაპარაკო?! როცა მარცხდები, რაღაც პასუხისმგებლობა უნდა აიღო საკუთარ თავზე და გზა სხვას დაუთმო. ესაა ჩემთვის დამარცხება, მაგრამ ამას არ ვარ მიჩვეული და არც ვაპირებ ვთქვა, დავმარცხდი, მაგრამ ეს მარცხი გამარჯვებაა-მეთქი. მე არ ვებმები ისეთ თამაშში, სადაც წინასწარ ვიცი, რომ გამარჯვება შეუძლებელია. ამჯერად, ჩავთვალე, რომ ეს სიტუაცია ბრძოლად ღირდა და ჩავები. უკვე დიდი დრო და ენერგიაა ამ ბრძოლაში დახარჯული, არც ვუშვებ ჩემი დამარცხების შესაძლებლობას, მაგრამ ვთქვათ, ასეთი რამ მაინც მოხდა, ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს, უბრალოდ, ასეთ შემთხვევაში, ვიფიქრებ, როგორ ვიცხოვრო შემდგომში.

— ანუ პოლიტიკურ სარბიელს ეთიშებით?

— არაა გამორიცხული... როცა მარცხდები, გარკვეული დასკვნები უნდა გამოიტანო. გაყალბდა თუ არა არჩევნები, ამის თქმის ან უარყოფის საშუალებას თავად საარჩევნო პროცესი მოგვცემს.

— თუკი საარჩევნო კოდექსი და ადმინისტრაცია იგივეა, რატომ გაქვთ განსხვავებული შედეგის მიღების იმედი?

— ვნახავთ, რა მოხდება არჩევნების დღეს. საფრთხე, რა თქმა უნდა, არის, საარჩევნო გარემოც არ შეცვლილა, მაგრამ მაინც ვფიქრობ, სიტუაციას მეტ-ნაკლებად ვაკონტროლებთ!

გაუფილტრავი ლუდი — ფავორიტი ლუდის მოყვარულთათვის!

მადის გამაძლიერებელი საუკეთესო სასმელი, რომელიც სადილის წინ უნდა მიირთვათ

გაუფილტრავი ლუდი, ლუდის ყველა მოყვარულისთვის იმდენად ნაცნობი და ჩვეულებრივი სიტყვათა შეთანხმებაა, რომ ძნელად თუ უფიქრდება ვინმე, რას ნიშნავს ეს ტერმინი ისტორიულ, მეცნიერულ და თუნდაც ტექნოლოგიურ კონტექსტში. ამ შემთხვევაში, როდესაც გაუფილტრავ ლუდზე ვსაუბრობთ, ხშირია არასწორი აღქმა და წარმოდგენა ქართველებში, რისი მიზეზიც, უბრალოდ, ინფორმაციის არარსებობაა...

„ლუდი წყურვილს მშვენიერებად აქცევს“, — გვასწავლის უძველესი გერმანული ანდაზა და ეს მართალია. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გერმანული ტექნოლოგიებითა და გერმანული „სიწმინდის“ ტრადიციით მოხარშულ ლუდს ვგულისხმობთ. მართალია, მეცნიერულად დამტკიცებულია და არაერთი ცნობილი ისტორიკოსისა და მკვლევარის ნაშრომიც ადასტურებს ამას, რომ ლუდის ხარშვა ჯერ კიდევ შუამდინარეთის ქალაქებსა და ძველ ეგვიპტეში იცოდნენ, მაგრამ ეს სასმელი მსოფლიო მასშტაბით პოპულარული სწორედ ევროპელი (გერმანელი, ბელგიელი, ჩეხი) მელუდეების მეცადინეობით გახდა.

დღეს მსოფლიოში, შუასაუკუნეების დროს შემუშავებული გერმანული „სიწმინდის“ კანონის თანახმად, ლუდის ხარშვისთვის მხოლოდ ოთხი ინგრედიენტი: ალაო, სვია, საფუარი და წყალი გამოიყენება. თუმცა მიუხედავად ამისა, მისი დამზადების სპეციფიკისა და ხარშვის დროს გამოყენებული სხვადასხვა ტექნოლოგიიდან გამომდინარე, ლუდი ერთადერთი სასმელია, რომელიც ყველა სახის აღწერილობას ესადაგება — დაწყებული რბილიდან მაგრამდე, ღიადან მუქამდე, ფაქიზიდან უხეშამდე, მტკიცედან ჰაეროვნამდე, არაჩვეულებრივიდან ორდინალურამდე, ელეგანტურიდან მიწიერამდე, მსუბუქიდან ძლიერამდე...

გაუფილტრავი ლუდი, რომელსაც გერმანულ ენაში სპეციალური ტერმინით — Kellerbiers აღნიშნავენ, რაც პირდაპირ თარგმანში „სარდაფის ლუდს“ ნიშნავს, ჩვეულებრივი ლაგერის ტიპის ლუდია, რომელსაც არომატი სპეციალური სვიისგან აქვს მინიჭებული. ასეთი ლუდი სხვადასხვა სიძლიერისაა და როგორც წესი, მას ალკოჰოლის საშუალო გრადუსი — 5.5-დან 6.5-მდე აქვს. უფრო ხშირად, გაუფილტრავი ლუდები მუქი ქარვისფერია, ამ ფერს მათ შედარებით მუქი ფერის, ე.წ. მიუნხენური ალაო ანიჭებს, რომელსაც მოწითალო შეფერილობა აქვს.

ძველად, ორიგინალურ ანუ ნამდვილად გაუფილტრავ ლუდს გაზიანობა დიდხანს არ მიჰყვებოდა, რადგან როგორც წესი, სუფრაზე თავღია მდგომარეობაში მიჰქონდათ, ძირითადად, ხის კათხებში, როდესაც გაფუების პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. ტრადიციული გაუფილტრავი ლუდი მუქი და მღვრიე შეფერილობით გამოირჩევა, რადგან დაუდუღებელი ექსტრაქტი ვერ იჭერს გაზს, ლუდში შემავალი ნივთიერებები



ადვილად შედის რეაქციაში ჟანგბადთან და იჟანგება.

გაუფილტრავი ლუდი საუკეთესოა მადის გამაძლიერებელ სასმელებს შორის, რომლის მიღება რეკომენდებულია სადილის წინ. დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, სადაც ლუდის ხარშვის კულტურა მაღალ დონეზეა განვითარებულ, გაუფილტრავ ლუდს, როგორც წესი, მცირე ზომის ლუდხანებში ხარშავენ, სადაც შუშისა და თუნუქის ნაცვლად, ძირითადად თიხის ან ხის კათხებს იყენებენ.

მაია მიშელაძე

ქრთამის აღების ფაქტზე პოლიციის კაპიტანი დააკავეს

აჭარის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებელი, პოლიციის კაპიტანი, ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით, საგანგებო განცხადება გაავრცელა შინაგან საქმეთა სამინისტრომ:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე, აჭარის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებელი, პოლიციის კაპიტანი, 1981 წელს დაბადებული დემურ დ. გამოავლინეს.

დემურ დ-მ თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეს, რომლის მიმართაც ინტერპოლი გადამოწმებას აწარმოებდა, 500 ამერიკული დოლარის სანაცვლოდ, დახმარება აღუთქვა.

ქრთამის ასაღებად დემურ დ-მ მეგობარი დაიხმარა. შსს-ს გენერალური ინსპექციის მოკვლევის საფუძველზე დაკავებულია ქრთამის აღებაში ბრალდებული პირიც და მისი მეგობარიც.

სისხლის სამართლის საქმე 338-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების 6-დან 9 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს“.

„ინტერპრესნიუსი“

შიდა ქართლის გუბერნატორად ზურაბ ჩხეიძე დაინიშნა

შიდა ქართლს ახალი გუბერნატორი ჰყავს. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ახლადდანიშნულმა უფროსმა ანდრო ბარნოვმა გუბერნატორის ადმინისტრაციის თანამშრომლებს ახალი გუბერნატორი — ზურაბ ჩხეიძე წარუდგინა. ბარნოვის განცხადებით, იგი დარწმუნებულია, რომ ჩხეიძე თავს კარგად გაართმევს დაკისრებულ მოვალეობას და იმ კურსს გააგრძელებს, რომელიც რეგიონში ანდრო ბარნოვის გუბერნატორობის დროს ხორციელდებოდა.

„ეს არ უნდა იყოს მხოლოდ თანაცხოვრება, ეს უნდა იყოს ნორმალური თანამშრომლობა“, — აცხადებს ბარნოვი ახალდანიშნული გუბერნატორისა და რეგიონში არსებული მუნიციპალიტეტების ურთიერთთანამშრომლობაზე.

ზურაბ ჩხეიძე 38 წლისაა. იგი სხვადასხვა დროს საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებში, შემდგომ კი საჯარო სამსახურებში მუშაობდა.

ზურაბ ჩხეიძეს ბოლო სამი წლის განმავლობაში, შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილის პოსტი ეკავა.

„ინტერპრესნიუსი“

მოსმენა და თვალთვალი კანონით აიკრძალება?!

რაზე ესაუბრა ღაშა ტუღუში დავით უსუფაშვილს და როდის განადგურდება უკანონო ჩანაწერების არქივი

ქრისტინე მალანია
5-93-608-508

უკანონო მოსმენების არქივის გაუქმებისა და კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ, გაზეთ „რეზონანსის“ მთავარი რედაქტორი, ლაშა ტუღუში პარლამენტარებთან შეხვედრებს მართავს. მისი თქმით, არ არის გამორიცხული, უკანონო მოსმენები დღესაც მიმდინარეობდეს, ამიტომ პრობლემა მხოლოდ არქივის გაუქმებით არ გადაიჭრება — საჭიროა ცვლილება შესაბამის კანონში და კონტროლის მექანიზმის გაძლიერება. დეტალებს „ვერსია“ აზუსტებს ლაშა ტუღუშთან, რომელიც უკანონო მოსმენების პრობლემების გადაჭრის მიზნით შექმნილი კომისიის ინიციატორია.

— კომისიასთან თანამშრომლობის სურვილი რამდენიმე ორგანიზაციამ გამოთქვა. მნიშვნელოვანია, რომ მედიასაშუალებების ხელმძღვანელები არიან საკითხით დაინტერესებულები, მათ შორის თქვენი გაზეთის მთავარმა რედაქტორმა, მაია ფურცელაძემაც გამოხატა პროცესში მონაწილეობის სურვილი, ასევე ჩართულები არიან: ზვიად ქორიძე, მედეა ქოჩლაძე... „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ღია საზოგადოება-საქართველო“... რამდენიმე დღის წინ ქუთაისში გახლდით და დეპუტატებს შევხვდი, ჯერჯერობით მხოლოდ უმრავლესობის წევრებს, მაგრამ ვფიქრობ, ოპოზიციაც დაინტერესდება ამ საკითხით. კარგი იქნება, თუ საპარლამენტო მოსმენები ჩატარდება, რადგან ეს ღრმა და სერიოზული პრობლემაა. ვესაუბრე დავით უსუფაშვილსა და იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძეს.

— ამ საკითხთან დაკავშირებით, დავით უსუფაშვილის პოზიცია როგორია?

— პარლამენტის თავმჯდომარე ძალიან კონსტრუქციულია, კარგად ესმის ამ პრობლემის არსი... დარწმუნებული ვარ, პრობლემის სიღრმე ესმის პრემიერ-მინისტრსა და სხვებსაც, ამიტომ ვფიქრობ, რომ ჯანსაღი პროცესის დაწყება შეგვიძლია, რაც მარტივი არ იქნება. ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი: გამოძიება, მტკიცებულებების მოპოვება, კანონის ცვლილება, მისი ინტერპრეტაცია... საჭიროა, პროცესი დინამიური, სწრაფი და შედეგზე ორიენტირებული იყოს. ვფიქრობ, ეს პასუხისმგებლობა ყველას გვაქვს გათავისებული. ძალიან მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარესთან, თუკი ამ საკითხის საპარლამენტო მოსმენა შედგება, სწორედ მისი და ადამიანის უფლებების კომიტეტის თავმჯდომარის კომპეტენცია იქნება. ზუსტად ვერ გეტყვით როდის, თუმცა უახლოეს მომავალში პროცესი აუცილებლად დაიძვრება.

— იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ეთანხმება თქვენს მოსაზრებებს?

— დიახ, ეთანხმება და დაინტერესებულია, საკითხზე საპარლამენტო მოსმენა შედგეს, პარლამენტში უკეთ გავერკვევით პროცესებში. მოქმედ კანონმდებლობასთან დაკავშირებით იურისტებს პრეტენზიები აქვს და მიაჩნიათ, რომ შესაცვლელია ნორმები.

პერსონალური ინფორმაციის, ოპერატიული სამძებრო ღონისძიებებისა და საპარლამენტო კონტროლის გაძლიერებასთან დაკავშირებით, პუნქტები უნდა დაიხვეწოს, კანონიერად ამოქმედდეს კონტროლის დამატებითი მექანიზმი, რისთვისაც შეხვედრები და განხილვები აუცილებელია — უნდა დადგინდეს კონკრეტული რეფორმა სისტემური ცვლილებებისთვის. არ გვინდა, ამ ყველაფერს სპონტანური და დეკლარირებული ხასიათი ჰქონდეს, ამ რეალურმა პროცესმა ვითარება რადიკალურად უნდა შემოაბრუნოს. თუ კანონით დადგინდება ნორმა და ხელისუფლება უკანონო მოსმენების აკრძალვის გადაწყვეტილებას მიიღებს, ქმედება კი დასჯადი გახდება, მაკომპრომეტირებელი პირი მისი გასაჯაროებით დაინტერესებული არ იქნება და კომპრომატებიც, ფაქტობრივად, დაკარგავს მნიშვნელობას.

— ეს საკმაოდ დიდი ძალაა ხელისუფლებისთვის... როგორ გგონიათ, დათმობენ?

— რას ნიშნავს, არ დათმობენ?! ეს ჩვენი ქვეყანაა.

— ხომ შეიძლება ოფიციალურად მიიღონ გადაწყვეტილება, მაგრამ რეალურად, არაფერი შეიცვალოს?

— რა თქმა უნდა, შეიძლება, ამიტომაა საჭირო კონტროლის მექანიზმის შექმნა. არ ვამბობ, რომ მხოლოდ არქივი უნდა გაუქმდეს — ეს პირველი ეტაპია, უნდა გადაწყდეს კანონმდებლობაში არსებული პრობლემებიც, გარდა ამისა, მორალური, პოლიტიკური, სამართლებრივი და უსაფრთხოების თვალსაზრისით. საერთოდ, მოსმენებისა და თვალთვალის პარანოიაა საქართველოში — ვისაც ვიცნობ, ყველა ფიქრობს, რომ დღესაც უსმენენ.

— პრემიერმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი გამორჩა მხედველობიდან. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებისთვის ეს საკითხი პრიორიტეტული არ არის?

— არ მგონია, წინა შეხვედრაზეც მქონდა პრემიერთან ამ საკითხზე საუბარი და მან აღნიშნა, რომ დაინტერესებული იყო ამ თემით, უბრალოდ, ძალიან ბევრი პრინციპული საკითხისა და პრობლემის გამო, ამ თემამ მეორე პლანზე გადაიწია; ამის შესახებ საუბრობდა შინაგან საქმეთა მინისტრიც, მაგრამ ამ საკითხის გადასაჭრელად მხოლოდ ერთი მინისტრი არაა საკმარისი. თუ სხვა ქვეყნების გამოცდილებას დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ მაგალითად გერმანიაში, საკითხის გადაჭრამდე დიდი დისკუსიები იმართებოდა. პირველი ნაბიჯი სახელმწიფომ უნდა გადადგას და მოსპოს მოსმენების ლეგიტიმაციის უფლება.

— ომბუდსმენის ანგარიშში თუ იყო ამაზე საუბარი?

— სამწუხაროდ, ეს თემა არ მოხვდა ომბუდსმენის ინტერესის თვალსაწიერში. სახალხო დამცველი ახალი დანიშნულია და ალბათ დრო სჭირდება... ვფიქრობ, შემდეგ მოხსენებაში აუცილებლად გაამახვილებს ყურადღებას ამ საკითხზე. პრემიერმა აღნიშნა, რომ მსგავსი ქმედება დასჯადი უნდა გახდეს და მთხოვა, ნაბიჯები ერთად გადაგვედგა, ამიტომ მაქვს საფუძველი ვიფიქრო, რომ ეს მათ ინტერესებშიც შედის. მსგავს პრობლემებთან დაკავშირებით პრესა ძალიან დინამიურია, მედია და არასამთავრობო სექტორი მზადაა, საკუთარი უფლებების დასაცავად იბრძოლოს.

— ამბობთ, ბევრს აქვს შეგრძნება, რომ დღესაც უსმენენო. თქვენი აზრით, უკანონო სატელეფონო მოსმენები შეწყდა?

— შეიძლება აქტიურად არ დამდევენ, მაგრამ არ მაქვს გარანტია, რომ ეს მოსმენები შეწყდა და ეს განცდა აქვს ყველას. ჩაატარეთ გამოკითხვა, გამოიკვლიეთ და თავად დარწმუნდებით: თუ მიხვალთ დეპუტატთან და ჰკითხავთ, უსმენენ თუ არა, იგი გიპასუხებთ, რომ უსმენენ. დასამალი ნამდვილად არაფერი მაქვს, მაგრამ არ მინდა, ვინმე მისმენდეს ან მითვალთვალებდეს, გვსურს, ჯანსაღ გარემოში ვიცხოვროთ, სადაც მოსმენების პარანოია არ იარსებებს.

— კონტროლის მექანიზმი როგორ უნდა გამკაცრდეს?

— კონტროლი უნდა განხორციელდეს საპარლამენტო დონეზე. თუ არ ვცდები, არსებობს ინსპექტორის ინსტიტუტი, რომელიც კანონიერად აკონტროლებს მიმდინარე პროცესებს. რაც შეეხება სამოქალაქო კონტროლს, საზოგადოება მუდმივად დაინტერესებული უნდა იყოს და აკონტროლებდეს ვითარებას; მნიშვნელოვანია ომბუდსმენის ინსტიტუტიც. მთავარია, ამ პროცესების გამჭვირვალობა და მედიის ჩართულობა, რომელიც მუდმივად იქნება დაინტერესებული პრობლემის გაშუქებით. ასეთი ტიპის სისტემა თუ მუდმივად კონტროლქვეშ არაა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას იწყებს.

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„ვარსკვლავების აკადემიის“ ტრაგედიის დროს გარდაცვლილი ნიკა გელაშვილის მეუღლე ხელახალ გამოძიებას ითხოვს

ზუსტად 4 წლის წინ, პოპულარული რეალითი შოუს „ვარსკვლავების აკადემიის“ შენობა ჩამოინგრა და უბედური შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა. გარდაიცვალა „რუსთავი 2-ის“ ორი თანამშრომელი — ნიკა გელაშვილი და გიორგი გაბუნია. ტრაგედიის დეტალები ალბათ ბევრს ახსოვს, რადგან „რუსთავი 2“ შენობას სწორედ მაშინ იცვლიდა, ახალ შენობას კი მაშინდელი თავდაცვის მინისტრის, დავით კეზერაშვილის ცოლისა და გიგა ბოკერიას ცოლის, თამარ ჩერგოლეიშვილის დის სამშენებლო კომპანია არემონტებდა. როგორც მოსალოდნელი იყო, პოლიტიკური მოტივის გამო, სისხლის სამართლის საქმე ჩაიფარცხა. სასამართლოს არც ერთ სხდომაზე და, შესაბამისად, განაჩენში არც ერთი მაღალჩინოსნის ოჯახის წევრის ხსენება არ ყოფილა. ერთადერთი, ვინც მაშინ ყველა მხარემ „განტევების ვაცად“ აქცია, ე.წ. პრარაბი დავით გვასალია იყო, რომელმაც ციხეში მხოლოდ 2 თვე გაატარა.

დასჯის თუ არა ახალი ხელისუფლება გიგა ბოკერიას ცოლისდასა და დავით კეზერაშვილის ცოლს?!

26 აპრილის ტრაგედიიდან ზუსტად 4 წლისთავზე, საქალაქო სასამართლომ, ახალი ხელისუფლების პირობებში, ახალი გადაწყვეტილება მიიღო. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ საქმეში რეალური დამნაშავეები გამოკვეთა. სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების შესახებ „ვერსიას“ დაღუპული ნიკა გელაშვილის მეუღლე **თეა კახიანი** ესაუბრა, რომელიც სამართლიანობის აღდგენის სახელით, ბრძოლას ბოლომდე აპირებს. **„ჩემს ბრძოლას ერთი მოტივი აქვს: ჩემს ბიჭს, რომელიც ახლა მეორე კლასშია, არ მინდა, კითხვები დარჩეს. თუ დარჩება, მათზე პასუხის გაცემა უნდა შევძლო და გასაკეთებელი საქმე არ დავუტოვო“,** — აცხადებს თეა კახიანი და ტრაგედიის დეტალებს იხსენებს: **„4 წლის წინ ნიკა სამსახურში წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა... ჩვენმა ადვოკატებმა გამოძიება დაიწყეს და გაარკვიეს, რომ სამშენებლო კომპანია „არტიქსის“, დღეს უკვე „ოლიმპ დიზაინის“ დამფუძნებლები დავით კეზერაშვილის ცოლი, სოფო ჩიქოვანი და გიგა ბოკერიას ცოლის, თამარ ჩერგოლეიშვილის და, რუსუდან ჩერგოლეიშვილი არიან. „ოლიმპ დიზაინის“ დირექტორი ახლაც რუსუდან ჩერგოლეიშვილია. ყველამ იცის, რომ „რუსთავი 2“-ის ახალ შენობაში გადასვლას რემონტი დაერქვა, თორემ რეალურად, შენობაში რეკონსტრუქცია მიმდინარეობდა და სხვა არაფერი — ისე მოშალეს საყრდენი, არც მშენებლობის პროექტი ჰქონდათ, არც ნებართვა. ვიფიქრეთ, სასამართლო გამოძიების პირობებში მაინც გაირკვეოდა, რატომ მოექცნენ ასე უპასუხისმგებლოდ საკუთარ თანამშრომლებს, „ვარსკვლავების აკადემიის“ მონაწილეებს, მაგრამ ირონიული შედეგი დადგა — დაიჭირეს „პრარაბი“ და 2 თვეში გამოუშვეს ისე, რომ თეთრი არ გადაუხდია! „რუსთავი 2“-ის მაშინდელი დირექტორი კი აცხადებდა, ტელეკომპანია თავს დაზარალებულად არ მიიჩნევსო. სხვათა შორის, მაშინაც და ახლაც, „არტიქსს“, „რუსთავი 2“-სა და ამ საქმეთა მწარმოებელს, დავით გვასალიას ერთი ადვოკატი, შოთა მინდელი იცავს“.**

რატომ იქცა „პრარაბი“ გვასალია მაღალჩინოსანთა განტევების ვაცად, მის მიერ სამშენებლო კომპანია „არტიქსთან“ დადებული ხელშეკრულებითაც მარტივად დასტურდება — ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც, როგორც გელაშვილის ოჯახი და ადვოკატები ეჭვობენ, 26 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ნაჩქარევადაა დადებული, გვასალია სრულადაა პასუხისმგებელი, მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება და მშენებლობა კანონთან შესაბამისობაში მოიყვანოს. ეს კი, უფლებრივად, არც ერთ „პრარაბს“ არ უნდა ევალებოდეს. **„ხელშეკრულება ფიქტიურია და დარწმუნებული ვარ, მასში ეს პუნქტი 26 აპრილის შემდეგაა ჩაწერილი! „არტიქსის“ დაცვის მხარე დღემდე ამაზე აპელირებს — „რუსთავი 2“ და „არტიქსი“ რა შუაშია, როცა ყველაფრის თავი და თავი გვასალიაა. ამ ხელშეკრულებას ნომერიც არ აქვს! ახლა ვაპირებთ, დავამტკიცოთ, რომ მასში ეს არარეალური პუნქტი სწორედ 26 მაისის შემდეგ შევიდა“,** — აცხადებს ნიკა გელაშვილის მეუღლე თეა კახიანი. სისხლის სამართლის საქმის ჩაფარცხვის შემდეგ, დაღუპულის ოჯახი საქმეს ადმინისტრაციულ სასამართლოში ასაჩივრებს, თუმცა წელინადზე მეტხანს ოჯახს არავინ ეხმაურება. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ კი პოლიტიკური კონიუნქტურა, როგორც ჩანს, ადმინისტრაციული სასამართლოსთვის სწრაფად იცვლება და ახალი გადაწყვეტილებაც დგება: **„პირველ ოქტომბრამდე, სრული 1,5 წელი არავის დაურეკავს, არც შეგვხმიანებიან, საქმე ჩაიბარეს და ამით დაასრულეს. არჩევნებიდან კი ზუსტად 1 კვირის თავზე დაგვირეკეს. ჩატარდა სასამართლო, სადაც მოპასუხე მხარეები იყვნენ თბილისის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურები, „რუსთავი 2“, „არტიქსი“, დავით გვასალია და „ჯორჯია ბილდინგ კორპორეიშენი“, „მაგისტილის“ ერთ-ერთი შვილობილი კომპანია, რომელიც ახლაც არ ვიცი, ამ ყველაფერთან რა შუაშია. ჩვენ ვითხოვდით, მორალური ზიანის სახით, 200 000 ლარის ანაზღაურებას მოპასუხეებისგან და ბავშვისთვის, სარჩოს სახით, ყოველთვიურად 1000 ლარის გამოყოფას. სასამართლომ, ფინანსურად, ძალიან სასაცილო შედეგი დააყენა — ხუთივე მოპასუხეს 750 ლარი დააკისრეს, ამას კიდევ საშემოსავლო გადასახადის 20% ექვითება დ 553 ლარი გამოდის, რომელსაც ეს 5 მხარე თანაბრად ინაწილებს და თვეში 100-100 ლარი გამოსდით. ასევე, მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისრათ ბიუჯეტის სასარგებლოდ 100-100 ლარის გადახდა. ეს 2013 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებაა, თუმცა მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძისთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, რადგან მატერიალურ შედეგზე იმდენად ორიენტირებული არ ვიყავით, რამდენადაც სამართლებრივზე.**

მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძის გადაწყვეტილებით კი, ეს კომპანიები დამნაშავეები არიან, რადგან ჩვენს სასარგებლოდ მათ თუნდაც 1 ლარის გადახდა მაინც დაეკისრა“, — ასეთია თეა კახიანის პოზიცია, თუმცა ორი სასამართლოს ორი სხვადასხვა გადაწყვეტილება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის, რადგან სისხლის სამართლის საქმის შედეგების მიხედვით, დამნაშავე არა ეს კომპანიები და თბილისის მერია, არამედ მხოლოდ დავით გვასალიაა. ოჯახს კი ამ შედეგის გასაჩივრება არ შეუძლია, რადგან „პრარაბ“ დავით გვასალიასთან საპროცესო შეთანხმებაა გაფორმებული. ასევე, არ დგება დავით კეზერაშვილის ცოლის, სოფო ჩიქოვანის პასუხისმგებლობის საკითხი, მაგრამ „არტიქსის“, როგორც იურიდიული პირის პასუხისმგებლობა უკვე დადასტურებულია. შესაბამისად, დასტურდება ბოკერიას ცოლისდის, რუსუდან ჩერგოლეიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი. საქმის გაგრძელება კი ასეთი იყო — გელაშვილების ოჯახმა საჩივარი სააპელაციო სასამართლოში შეიტანა. ირონიული აქ უკვე ისაა, რომ ნაცვლად გაჩუმებისა და დაკისრებული 100-100 ლარის სიხარულით გადახდისა, მოპასუხე მხარეებმა თავის მხრივ, შესაგებელი მოამზადეს — მოპასუხეების ადვოკატი შოთა მინდელი შესაგებელში ამტკიცებს, რომ მისი დაცვის მხარემ თანხა საერთოდ არ უნდა გადაიხადოს. მინდელი წერს: **„არათუ არ უნდა დაკმაყოფილდეს აპელანტის მოთხოვნა, არამედ უნდა გაუქმდეს საქალაქო სასამართლოს მიერ 2013 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება და მიიღონ ახალი გადაწყვეტილება, სადაც „რუსთავი 2“-ს საერთოდ არ უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურება“.**

ამის შემდეგ გარდაცვლილი გელაშვილის ოჯახი სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიმართავს.

თეა კახიანი: „ჩვენ შევხვდით იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს და ვთხოვეთ, იქნებ ჩვენი საქმის გამოძიება ხელახლა დაიწყოსო. შევიტანეთ წერილი იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურაში და ვითხოვდით, იქნებ მომხდარიყო მორიგება საქართველოს სახელმწიფოსთან. ჩვენ გამოვიტანთ სარჩელს, რომელიც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გვაქვს შეტანილი, ოღონდ დაიწყოს ხელახალი გამოძიება! ახლა ჩვენი საქმე გადანაწილების პროცესშია, რადგან პროკურორი, რომელსაც ეს საქმე მიჰყავდა, დააწინაურეს. იცით, მაშინ ჩვენს წინააღმდეგ მთელი მანქანა იყო ჩართული — ჩინოვნიკების ოჯახის წევრები, თავიანთი ბიზნესებიანად, რომლებიც ერთმანეთთან დანაშაულებრივ გარიგებაში იყვნენ — მათ შორის სასამართლო და საგამოძიებო უწყებები, შემკვეთები, შემსრულებლები და პროკურორები. სხვათა შორის, ის პროკურორი, რომელმაც პირველად გამოიძია ჩვენი საქმე, ძალიან მალე, საკუთარი ინიციატივით, სამსახურიდან წავიდა და ჩემს ყურამდე მოვიდა ინფორმაცია, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ნიკა გელაშვილის საქმე იყო...“

ვერსიანიუსი

ვაზისუბანში ახალგაზრდა ქალი დააყაჩაღეს

თბილისში, ვაზისუბნის ერთ-ერთ მიკრორაიონში ყაჩაღობა მოხდა. როგორც დაზარალებულის მეზობლები იხსენებენ, ახალგაზრდა ქალს ბინის კარი მოტყუებით, ქალმა გააღებინა, რომელმაც უთხრა, რომ ახალი მეზობელი იყო და მრიცხველთან დაკავშირებით, პრობლემა ჰქონდა.

კარის გაღების შემდეგ ბინაში, ქალთან ერთად, ორი მამაკაცი შევიდა. სახლში მყოფი პირი „სკოჩით“ გაკოჭეს და ბინა გაქურდეს.

მეზობლების ცნობით, დაზარალებულმა სამართალდამცავებს ჩვენება უკვე მისცა და ქურდი ქალბატონიც ამოიცნო. არსებული ინფორმაციით, იგი ციხიდან რამდენიმე ხნის წინ ამნისტიით გათავისუფლდა.

„ინტერპრესნიუსი“

„არცერთი ხელისუფლებისთვის არ მიმღერია, ყოველთვის ჩემ ხალხს ვუმღეროდი“

„დაბლოკილი“ თემური წიკლაურის შესახებ ბიოგრაფიული ფილმს იღებენ

ნათია ვასაძე
555-98-61-65

საქართველოს სახალხო და დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ანსამბლ „ივერიის“ წევრი და ბევრისთვის საყვარელი მომღერალი თემურ წიკლაური უკვე კარგა ხანია სცენაზე აღარ გამოჩენილა. მიზეზით დავინტერესდი და მასთან შეხვედრა გადავწყვიტე. ინტერვიუზე უარი არ უთქვამს, მაგრამ თავიდანვე გამაფრთხილა — იმაზე საუბარს არ ვაპირებ, რაც ჩემი საქმე არ არისო. გამომდინარე იქიდან, რომ არც მე მიყვარს მაინცდამაინც პოლიტიკით დატვირთული ინტერვიუები, შეთანხმება შედგა, თუმცა ბატონი თემური იმდენად გულთბილი და საინტერესო რესპოდენტი აღმოჩნდა, რომ ჩვენდაუნებურად, ვერც პოლიტიკაზე საუბარს ავცდით.

— ბატონო თემურ, რამდენიმე საქველმოქმედო კონცერტს თუ არ ჩავთვლით, ბოლო დროს, თითქმის აღარ ჩანხართ სცენაზე...

— 45 წელია ანსამბლ „ივერიასთან“ ერთად, სცენაზე ვდგავარ და ასეთი რამ ყველაზე ცუდ სიზმარშიც კი არ დამსიზმრებია. ბოლო 10 წელია, ძველი თაობის ხალხი ამ ქვეყანაში აღარავის ვჭირდებით და რატომ, არ ვიცი. რა თქმა უნდა, კარგია, ახალგაზრდებს თუ მიეცემათ ასპარეზი, მაგრამ უფროსი თაობის მიმართ ასეთი მიდგომა არც მართლმადიდებლურ შეხედულებებს შეეფერება და არც ქართულ ფილოსოფიას — უფროსისა და მშობლების პატივისცემა ხომ ჩვენი რელიგიის ერთ-ერთი ძირითადი ქვაკუთხედია. გიყვარდეს მოყვასი შენიო, რელიგია რომ გვასწავლის, დამანახეთ, აბა, ვის ვინ უყვარს. თუ გულზე მჯიღს ვიცემთ — ქრისტიანები ვართო და ერთმანეთი ვერ გაგვიტანია, რაღა გამოდის?! ეკლესიაში რომ შევლენ და მუხლზე დგომით ლოცულობენ, იქიდან რომ გამოდიან, მერე რაღა მოსდით?

— „ივერია“ ახსენეთ... საინტერესოა, რა განსხვავებას ხედავთ თქვენი დროისა და თანამედროვე ესტრადას შორის?

— ანსამბლი „ივერია“ ქართულ საქმეს ემსახურებოდა... ჩვენი სპექტაკლები მხოლოდ გასართობ ხასიათს კი არ ატარებდა, ქართულ ნაწარმოებებზე იყო დაფუძნებული. „ჩხიკვთა ქორწილი“, „არგონავტები“, „თოვლის ბებოს ზღაპარი“, „ფიროსმანი“... რომელს გინდა, ხელი დაადო და თქვა, რომელიმე მათგანი ეროვნული არ არისო.

— გამოდის, თანამედროვე ქართული ესტრადის პრობლემა თემატიკაშია?

— ეს არ არის ერთადერთი მიზეზი. 2011 წელს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩემი საიუბილეო კონცერტი გაიმართა. კონცერტი 3 საათს გრძელდებოდა და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ პირს კი არ ვაღებდი, ვმღეროდი. სამარცხვინოა, ეს რომ ხაზგასასმელი გახდა, ვერც კი წარმოვიდგენდი, როდესმე ქართულ ესტრადაზე ტერმინი — „ცოცხლად სიმღერა“ დამკვიდრდებოდა. ამიტომ, იმ შემსრულებლებს, რომლებიც ფონოგრამაზე პირს აღებენ და მაყურებელს ატყუებენ, „მკვდარ მომღერლებს“ დავარქმევდი.

— ბოლო დროს აქტუალური და პრიორიტეტულიც კი გახდა უცხო ენაზე სიმღერა... ამის შესახებ რას ფიქრობთ?

— ეს რომ მარტო სიმღერას ეხებოდეს, კიდევ არაფერი — სიმღერა ყველა ენაზე შეიძლება. თუმცა ქართულ სიმღერას მსოფლიოში ბადალი არ ჰყავს და კარგი იქნება, მომავალ თაობას ჯერ საკუთარი ღირებულებების პატივისცემას თუ ვასწავლით და მერე სხვისას. ან ქართველები ვინმეზე ნაკლები ხალხი რითი ვართ, სხვების მიბაძვა რომ გვჭირდებოდეს?! ყველამ კეთილი ინებოს და, ისეთები მიგვიღოს, როგორებიც ვართ. ენა, მამული, სარწმუნოება — აი, ეს უნდა იყოს ჩვენი ძირითადი პოსტულატი.

— წინა ხელისუფლება მომღერლების გარკვეულ ნაწილს კონცერტებზე გამოსვლის საშუალებას არ აძლევდა. თქვენც „იბლოკებოდით“?

— ამ წლების განმავლობაში რომელიმე სახელისუფლებო კონცერტზე გინახივართ?
— არა.
— ჰოდა, გამოდის, „ვიბლოკებოდი“... მიზეზებზე არ ვისაუბრებ, რადგან, ვარაუდითა და ეჭვით საუბარი ჩემი მხრიდან არასერიოზული იქნება, იმას კი ვიტყვი, რომ არც ერთი ხელისუფლებისთვის არ მიმღერია, ყოველთვის ჩემს ქვეყანას და ჩემს ხალხს ვუმღეროდი, რადგან მათი სიყვარული უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვიდრე რომელიმე კონცერტზე გამოსვლა.

— ხომ არ „დაიჩაგრებიან“ ახალი ხელისუფლების პირობებში ე.წ. სააკაშვილის ფავორიტი მომღერლები?

— ადამიანი საკუთარ სურვილებზე მაღლა უნდა დადგეს და ისეთი რამ არ უნდა თქვას, რაც შემდეგ სანანებელი გაუხდება. ან უნდა გაითვალისწინო, რომ შენს ირგვლივ შენი ხალხია და, პირველ რიგში, მათზე უნდა იფიქრო. ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ „დრონი მეფობენ და არა მეფენი“. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში ხან ისე იქნება და ხან ასე. მომღერალი კი სიმღერით ისაზღვრება და არა იმით, რომელ აქციაზე რა თქვა. ხალხი თავის საყვარელ მომღერალს ამა თუ იმ პოლიტიკოსის გვერდით რომ დაინახავს, უნებურად, ერთმანეთთან აიგივებს. წარმოიდგინეთ, ჩემი სიცოცხლის მანძილზე, საქართველომ 14 მმართველის (სსრკ-ს ჩათვლით) ხელში გამოიარა და „ივერია“ ყველას რომ აჰყოლოდა, რა გამოვიდოდა.

— მოგწონთ ახალი ხელისუფლება?

— ადამიანი მოქმედებით ისაზღვრება და არა ლაპარაკით. ივანიშვილის უდიდესი დამსახურებაა, რამდენიმე ათასი კაცი შიმშილით რომ არ დავიხოცეთ. ქართულ პოლიციასაც სწორედ ივანიშვილმა შეუძინა მთელი აღჭურვილობა... ჯერ კიდევ ძველი ხელისუფლების პირობებში აშენებდა ეს კაცი შენობებს, სხვები კი მიდიოდნენ და „ლენტებს ჭრიდნენ“. ასეთი უმადურობა გაგიგიათ?! მოკლედ, ეს იმას ნიშნავს, გვაცადე ფულის კეთება, შენ ხომ ისედაც ბევრი გაქვსო.

— როგორია თქვენი მოსაზრება რუსეთთან კულტურული ურთიერთობების გაუმჯობესების შესახებ?

— გვინდა თუ არა, რუსეთი ჩვენი უახლოესი მეზობელია. თუმცა, თითო-ორი გამყიდველი ყველა ქვეყანაშია და მათთან ბრძოლას არ უნდა გადავაყოლოთ ქვეყანასთან ურთიერთობები.

პუტინს თუ ვეზიზღებით, რა დააშავა რუსმა ხალხმა, რომელსაც ასე უყვარს ქართული კულტურა?! კულტურამ შეიძლება მართლაც დიდი წვლილი შეიტანოს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დარეგულირებაში. რაც შეეხება დაკარგულ ტერიტორიებს... ნუ გვავიწყდება, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. მთავარია, ჩვენ არ დავკარგოთ ღვთის რწმენა და წართმეულ ტერიტორიებს აუცილებლად დავიბრუნებთ.

მაგრამ გასაოცარი ისაა, რომ ადამიანები, რომლებიც დღეს კულტურის სამინისტროს, ქართულ ანსამბლებსა და თეატრებს რუსეთთან ურთიერთობისთვის აკრიტიკებენ, აგვისტოს ომიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ლამის მუხლზე დგომით სთხოვდნენ რუსეთის კულტურის მინისტრს ქართველი ხელოვანების მონაწილეობით რუსეთში კონცერტების გამართვის ნებართვას. სავარაუდოდ, საუბარი იყო ისეთ სერიოზულ ანსამბლებზე, როგორიცაა „ერისიონი“, „სუხიშვილები“... არადა, ახლა „ერისიონი“ მოსკოვში ჩატარებული კონცერტისთვის ლამის მოღალატედ გამოაცხადეს.

— მწვავე დებატები გამოიწვია საქართველოში რუსი მომღერლების — აგუტინისა და ვარუმის ჩამოსვლამაც...

— თუ ლარსის საზღვარი გახსნილია რუსი მოქალაქეებისთვის, მაშინ რა არის მიუღებელი იმაში, რომ რუსმა მომღერალმა მოისურვოს თბილისში კონცერტის ჩატარება?! აგუტინსა და მის ცოლს ხომ არ წაურთმევია ჩვენთვის ტერიტორიები?! და საერთოდ... სად ხელოვნება და სად პოლიტიკა. ხელოვნებას ხომ არც ეროვნება გააჩნია და არც საზღვრები.

— საუბარი არა მხოლოდ ოკუპაციაზე, რუსი მომღერლების დაბალ მუსიკალურ დონეზეც იყო...

— როგორ გამაცინეთ... თუ არ მოგწონს, ნუ მოხვალ მის კონცერტზე და ნუ მოუსმენ. ხელოვანმა კაცმა ხელოვანზე ეს როგორ უნდა თქვას? მუსიკათმცოდნეები უნდა განიხილავდნენ ამა თუ იმ სიმღერისა თუ მომღერლის გემოვნება-უგემოვნობას, ადრე პროფესიონალები წერდნენ თავის მოსაზრებებს და ჩვენც მათ აზრს ვითვალისწინებდით, ახლა კი ვისაც უნდა, ლაპარაკობს, ყველა ყველაფრის ექსპერტია.

— ამჟამად, რას საქმიანობთ და როგორ ფიქრობთ, ამ ხელისუფლების პირობებში თუ გექნებათ ასპარეზი?

— ამჟამად, რეჟისორი კახა კახაბრიშვილი ჩემს შესახებ ბიოგრაფიული ხასიათის ფილმს იღებს. მართალია, ძალიან რთული აღმოჩნდა, ერთ ფილმში მთელი ჩემი მოღვაწეობა ჩაგვეტია — 80 ქვეყანა გვაქვს მოვლილი, 4 მიუზიკლი, 25 საკონცერტო პროგრამა, 200-ზე მეტი სიმღერა... მაგრამ რორღაც მოვახერხეთ. რა თქმა უნდა, ფილმის დიდი ნაწილი „ივერიის“ პერიოდს მოიცავს, რადგან ამ ანსამბლის გარეშე წარმოუდგენელია ჩემი შემოქმედება. რაც შეეხება ასპარეზს,

მომღერლებს ასპარეზი არ გვექნება მანამ, სანამ საქართველოში სოციალური მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, რადგან ხალხი ისეა გაღატაკებული, 5-ლარიან ბილეთსაც ვერ ყიდულობს. მე ჩემსას მაინც გავაკეთებ. უქმად ყოფნაში ხმალიც ჟანგდებაო, ამბობენ, მაგრამ მგონი, მე არ დავჟანგდი: ბოლო პერიოდში, ბევრი ახალი სიმღერა ჩავწერე, რომელიც, როგორც ყოველთვის, ქართულ თემატიკას ეხმიანება. ხშირად ვხუმრობ: კომბლესავით, სიმღერებს ვთლი და ჭერში ვაწყობ-მეთქი. რა ვიცი, იქნებ როდესმე მეც გამომადგეს და ჩემს ხალხსაც... ხალხს, რომელსაც მინდა, მივულოცო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა. მთელ საქართველოს მივულოცავ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს და ვისურვებდი, საქართველოში დაესადგურებინა სიყვარულს, ურთიერთშენდობასა და პატივისცემას.

ვერსიანიუსი

მოსკოვში „ჯარისკაცის მამის“ ფერადი ვერსიის პრემიერა გაიმართება

7 მაისს მოსკოვში, ახალ არბატზე, კინოთეატრ „ოქტომბერში“ რეჟისორ რეზო ჩხეიძის ფილმის „ჯარისკაცის მამის“ ფერადი ვერსიის პრემიერა გაიმართება. ფილმი „ჯარისკაცის მამა“ სტუდია „ქართულმა ფილმმა“ 1964 წელს გადაიღო. რეზო ჩხეიძის განცხადებით, ფილმი ამერიკულმა კომპანიამ გააფერადა, რომელიც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში შესულ ფილმებს აფერადებს. აღნიშნულ კომპანიასთან მოლაპარაკება სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.

„ჯარისკაცის მამის“ ფერად ვერსიას ქართველი მაყურებელი მოსკოვური პრემიერის შემდეგ, 9 მაისს, 20:00 საათზე, კინოთეატრ „რუსთაველის“ დიდ დარბაზში იხილავს. მანამდე კი, ამავე კინოთეატრში რეზო ჩხეიძისადმი მიძღვნილი წიგნის — „ვიდექი ისე, როგორც ბერმუხა“ — პრეზენტაცია გაიმართება, ხოლო მოგვიანებით, 21:40 საათზე, კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ რეზო ჩხეიძის ვარსკვლავი გაიხსნება.

„ვერსიანიუსი“

„ეს მართლაც საგანგაშო ინფორმაციაა!“

ნათია ვასაძე
555-98-61-65

24 აპრილს, „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის“ ფარგლებში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მედიის წარმომადგენლებს შეხვდა. გურამ ოდიშარიამ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ახალ პოლიტიკაზე, უკვე განსაზღვრულ პრიორიტეტებზე, ამ მიმართულებით დაგეგმილ-განხორციელებულ პროგრამებსა და პროექტებზეც ისაუბრა. „ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, დავსხედით და გავაანალიზეთ ის პროექტები, რომელსაც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ჩვენამდე ახორციელებდა. გადავწყვიტეთ, შეგვენარჩუნებინა მემკვიდრეობითობა, რადგან იყო პროექტები, რომლებიც მოგვეწონა“, — განაცხადა ოდიშარიამ და დასძინა, რომ ექვსი თვის განმავლობაში, უამრავი სიახლე განხორციელდა ყველა მიმართულებით: „სამინისტორში შეიქმნა დარგობრივი საკონსულტაციო საბჭოები ხელოვნების ყველა სფეროში; ამოქმედდა მთავარი საკონსულტაციო საბჭო, რომელიც მუშაობს კულტურის პოლიტიკის სტრატეგიაზე; ჩართულობისა და საჯაროობის მიზნით ამოქმედდა პროექტი „მრგვალი მაგიდა“, რამაც ხელი შეუწყო ნაყოფიერი დიალოგებისთვის, შემეცნებითი, სადისკუსიო სივრცის შექმნას“.

რისი პირობა დადო ჟურნალისტებთან კულტურის მინისტრმა და რა მისიით მოინახულებს სამინისტროს დელეგაცია ჯავახეთში კუმურდოს ტაძარს

2013 წლის ერთ-ერთი პრიორიტეტის მიხედვით, რაც გულისხმობს კულტურის, როგორც ქვეყნის რეგიონული განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალის გამოყენებასა და საქართველოს რეგიონების საერთაშორისო კულტურულ ცხოვრებაში ჩართვას, სამინისტროში განხორციელდა სტრუქტურული ცვლილება — კულტურის სამინისტროს რეგიონებთან კოორდინაციის სამმართველო გადაკეთდა დეპარტამენტად: **„შევქმენით საბჭოები, რომლებშიც გაერთიანებულნი არიან პროფესიონალი ექსპერტები და მათი აზრის გათვალისწინებით ხდება გადაწყვეტილებების მიღება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია საზოგადოების განწყობაც. სამინისტროს მიერ შემუშავდა მიზნობრივი დაფინანსების სტრატეგია და დაწესდა ჩვენს მიერ დაფინანსებული პროგრამებისა და პროექტების უფრო ქმედითი მონიტორინგი. ხდება ფინანსების კანონის ფარგლებში წარმართვა და თვალყურს ვადევნებთ თითოეულ დახარჯულ თეთრს“.**

ოდიშარიას განცხადებით, სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტად რეგიონებში კულტურული კერების შექმნისა და აღდგენის საკითხი იქცა: **„საქართველოს რამდენიმე რეგიონში მიმდინარეობს მუშაობა კინოთეატრების ინფრასტრუქტურის აღდგენაზე, გამოცხადებულია ტენდერი კონოაპარატურაზე და 2013 წლის ბოლოს დაახლოებით, 5 რეგიონში ამოქმედდება კინოთეატრები. რაც შეეხება საგანმანათლებლო მიმართულებას, ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ჩაატარებენ მასტერკლასს“.**

კულტურის მინისტრის გამოსვლის ყველაზე დიდი ნაწილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების თემას მიეძღვნა. ეს საკითხი ჟურნალისტებისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა და ბევრი კითხვაც გაჩნდა, რომლებზეც **გურამ ოდიშარიამ** უპასუხა. „ვერსია“ რამდენიმე მათგანს გთავაზობთ.

— როგორია კულტურის სამინისტროს პოლიტიკა უცხოეთის ტერიტორიაზე არსებული ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებით?

— ძეგლები და სიძველეები შესაძლოა, გახდნენ დაპირისპირების მიზეზი, მით უმეტეს, როცა ქვეყნებს შორის სასაზღვრო პრობლემები არსებობს. ჩვენი პოლიტიკა ასეთია — უნდა მოვახერხოთ და მეზობელი ქვეყნების ტერიტორიაზე არსებული ძეგლები უნდა გახდეს ჩვენი ურთიერთგაგების საშუალება. ეს არის კულტურის სამინისტროს მიზანი.

— სოციალურ ქსელში ვრცელდება იშხნის რესტავრაციის ფოტოები, სადაც ჩანს, რომ არქეოლოგების ზედამხედველობის გარეშეა გახსნილი იქ არსებული საძვალე და სამარხიდან გამოტანილი ძვლები იქვეა ჩაყრილი. არიან თუ არა სპეციალისტები იშხნის რესტავრაციაში ჩართულები და რა იგეგმება მსგავსი პრობლემების მოსაგვარებლად?

— ხშირად ჟურნალისტები ჩვენზე ადრე იგებთ ამა თუ იმ ინფორმაციას. ეს, ჩემთვისაც ახალი ამბავია — ეს ალბათ, გუშინ ან გუშინწინ მოხდა იმიტომ, რომ ცოტა ხნის წინ იქ იყვნენ ქართველი სპეციალისტები და ასეთი ინფორმაცია არ ჩამოუტანიათ. რა თქმა უნდა, ამ საკითხს შევისწავლით და შესაბამისად, არსებული პრობლემებაც მოგვარდება. რესტავრაციის საქმეში ქართველი არქეოლოგების მონაწილეობით თურქული მხარეც დაინტერესებულია და სულ მალე, ჩვენს მიერ შერჩეული კადრები ადგილზე გაემგზავრებიან.

— ქართველი სპეციალისტები, რომლებიც იშხანსა და ოშკში იმყოფებოდნენ, რესტავრაციის დროს დაშვებულ არაერთ დარღვევაზე საუბრობენ. კონკრეტულად, რა დაზიანებებზეა საუბარი?

— ჩვენი სპეციალისტების მიერ აღმოჩენილი ყველა დარღვევა, წერილობითი სახით, უკვე გადაეგზავნა თურქულ მხარეს. საუბარია ფრესკების დაზიანებაზე, ხარაჩოების არასწორ განლაგებაზე, პოლიეთილენით გადახურვაზე, რაც საერთო ჯამში, სტელებისა და ქვების დაზიანებას იწვევს... თუმცა ეს იყო რესტავრაციის პირველ პერიოდში და მას შემდეგ, რაც სამინისტროს დელეგაცია, ასევე სპეციალისტები ჩავიდნენ თურქეთში, რადიკალურად შეიცვალა დამოკიდებულებაცა და მდგომარეობაც.

— რა გადაწყვეტილება მიიღო სამინისტრომ რაბათის კომპლექსთან დაკავშირებით — აპირებთ გუმბათისა და ცხაურების გამოცვლას და ახალციხის მოსახლეობას თუ ჰკითხეთ აზრი?

— თურქულ მხარეს თავიდანვე ჰქონდა არა მოთხოვნა, არამედ მოკრძალებული თხოვნა, გუმბათის ფერსა და ცხაურების დიზაინთან დაკავშირებით. მოვინახულე რაბათი და უცნაური შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ამ კომპლექსში აღრეულია სხვადასხვა სტილი, შესანიშნავია მუზეუმი, მაგრამ მასში არ არის გათვალისწინებული სათავსოები... თავი მეგონა ჰოლივუდის გადასაღებ მოედანზე, სადაც უცნაური ჟანრის ფილმის გადაღებას აპირებენ. აქ თითქმის ყველა დარღვევა სიჩქარითაა გამოწვეული. ახალციხის მოსახლეობის გარდა, შეთანხმება უნდა მოხდეს შესაბამის სპეციალისტებთან, ასევე თურქულ მხარესთან და ამის შემდეგ გაკეთდეს ყველაფერი.

— ვრცელდება ინფორმაცია, რომ ჯავახეთში, კუმურდოს ტაძარში ჩასულ ქართველ მომლოცველებს ექმნებათ პრობლემა და მათზე ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან ხორციელდება აგრესია. რას აკეთებთ ამ ფაქტების აღმოსაფხვრელად და თუ იგეგმება ამ ძეგლის რესტავრაცია?

— ეს მართლაც საგანგაშო ინფორმაციაა. მსგავსი ფაქტის შესახებ ოფიციალურად ჩვენთვის არავის მოუმართავს, მხოლოდ ყურმოკვრით ვიცოდით. სამინისტროს დელეგაცია, კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილთან ერთად, უახლოეს დღეებში ჩავა ადგილზე. არავის მივცემთ უფლებას, ადამიანებს ლოცვა დაუშალოს. კუმურდოს ტაძრის რეაბილიტაციის კონკრეტული გეგმა, ჯერჯერობით, არ არსებობს, მაგრამ აუცილებლად შევისწავლით მდგომარეობას.

— პრობლემებია დავითგარეჯას ტერიტორიაზეც. აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ისევ გადმოწიესო საზღვარი.

— ამ დღეებში შევხვდები აზერბაიჯანის კულტურის მინისტრს და ამ საკითხს აუცილებლად გავარკვევ.

— რა ეტაპზეა მოლაპარაკებები საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიაზე ე.წ. საერთო ძეგლების შესახებ. ქართული მხარე საუბრობს თბილისში 5 სომხური ეკლესიის რესტავრაცია-კონსერვაციაზე, საპასუხო ნაბიჯები თუა გადმოდგმული სომხეთის მხრიდან?

— ეს გახლავთ პრემიერის ერთ-ერთი წარმატებული ინიციატივა. მან სომხეთში ვიზიტისას გამოთქვა სურვილი, ყოველგვარი ნაცვალგების გარეშე, მოხდეს თბილისში რამდენიმე სომხური ეკლესიის რესტავრაცია. შევისწავლეთ ამ ძეგლების მდგომარეობა და სომხურ მხარესთან შეთანხმებით, უახლოეს დღეებში დავიწყებთ სამუშაოებს. ეს ინიციატივა დაგვეხმარა ჩვენი სომეხი კოლეგების ნდობის მოპოვებაში. ვიმედოვნებთ, მათგანაც იქნება საპასუხო ნაბიჯები. სომხეთში ვიზიტისას ხელი მოვაწერეთ მემორანდუმს, სადაც აღნიშნულია, რომ „საერთო ძეგლების“ რესტავრაციაში ჩაერთვებიან ორივე ქვეყნის სპეციალისტები.

— სომეხი ისტორიკოსები დღემდე უარყოფენ სომხეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, ლორე-ტაშირში, „საერთო ძეგლების“ ქართულ წარმომავლობას. როგორ აპირებთ ამ პრობლემის მოგვარებას?

— ეს მეორეხარისხოვანია. მთავარია, ჩვენ ვართ ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილი სახელმწიფოები და სომხეთის კულტურის მინისტრთან შეთანხმებით, მაისში სომხეთში ჩავა სააგენტოს ხელმძღვანელი, რამდენიმე სპეციალისტთან ერთად. სომხეთის კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, ისინი 13 ქართულ ეკლესიას მოივლიან და დაგეგმავენ, რა მოიმოქმედონ ამ ძეგლებთან დაკავშირებით.

ჯანდაცვა

წითელას ეპიდემიის გამო, ინფექციურ საავადმყოფოში განყოფილება დაამატეს

რა შემთხვევაში ხდება პაციენტთა ჰოსპიტალიზაცია და რა აცრა დაემატა აცრების ეროვნულ კალენდარს

ბოლო მონაცემებით, საქართველოში წითელას 1940 შემთხვევაა დაფიქსირებული. სპეციალისტები უკვე აცხადებენ, რომ საქართველოში წითელას ეპიდემია მძვინვარებს. მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ცოდნის ამაღლებისთვის, საქართველოში იმუნიზაციის კვირეულ ტარდება. ცვლილება შევიდა აცრების ეროვნულ კალენდარშიც. კონკრეტულად, ვისთვის იქნება წითელათი აცრა სავალდებულო და დამატებით, რა აცრის ჩატარებაა საჭირო? — ამის შესახებ „ვერსიას“ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ეპიდემიური სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ლიკა ჯაბიძე ესაუბრა.

— იმუნიზაციის კვირეული მიმართულია საზოგადოების ინფორმატიულობის გაზრდისკენ. იმის გამო, რომ დღეს წითელას ეპიდემიაა საქართველოში, რაიონული საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები შეხვედრებს მართავენ რაიონული კონსულტანტების ხელმძღვანელებთან, რათა ამაღლდეს საზოგადოებრივი ცნობიერება. ასევე ტარდება გეგმური აცრები — მოსახლეობას უნდა შევახსენოთ იმუნიზაციის აქტუალობა. იგზავნება მესიჯები მშობლებთან, რათა ბავშვები აცრან.

ამერიკული მხარის დახმარებით, შეიქმნა ჯანდაცვის ელექტრონული მოდული, რომლის საშუალებით, შეგვიძლია, აღვრიცხოთ ყველა ბავშვი. აქვე იქნება ინფორმაცია, ბავშვის ექიმთან მიმართვიანობისა და კონკრეტულად, იმუნიზაციის შესახებ. ეს ბავშვის განვითარების ელექტრონული ვარიანტია.

— სავალდებულო აცრების ეროვნულ კალენდარს რა აცრები დაემატა?

— პროფილაქტიკური აცრების ეროვნულ კალენდარს, ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით, დაემატა გეგმური აცრა როტავირუსული ინფექციის წინააღმდეგ. ეს არის დიარეის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც გამოწვეულია როტავირუსით. მას საკმაოდ მძიმე მიმდინარეობა აქვს, განსაკუთრებით, ჩვილ ბავშვთა შორის. შესაბამისად, აცრები 2 და 3 თვის ასაკში ორჯერ ტარდება. როტავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო აცრებს უცხოეთში 20 წელია აკეთებენ და აცრების ეროვნულ კალენდარში 50-მდე ქვეყანას აქვს. ამ დაავადების აქტუალობა აქამდე საქართველოში შესწავლილი არ იყო — 5 წლის განმავლობაში ტარდებოდა კვლევა და აღმოჩნდა, რომ ყველა დიარეული დაავადების 35% გამოწვეულია როტავირუსით. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა, ამ ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაციის დაწყება საქართველოში. ეს დაავადება წლამდე ასაკშია აქტუალური და ძალიან მძიმე შედეგებს იწვევს.

— წითელას აცრა ვისთვისაა აუცილებელი?

— იცრება 7 წლამდე ასაკის ბავშვები და ის პირები, რომლებიც კონტაქტში არიან წითელათი დაავადებულებთან; სამედიცინო პერსონალი და სამხედრო პირები, რათა მათი საშუალებით არ გავრცელდეს დაავადება. ამ ჯგუფებისთვის აცრა უფასოა. თუ მშობელი უარს იტყვის ვაქცინაციაზე, მაშინ უნდა დაწეროს ხელწერილი.

— წითელას ეპიდემიის გამო, ინფექციურ საავადმყოფოში ერთი განყოფილება დაემატა. ვისთვისაა აუცილებელი ჰოსპიტალიზაცია?

— წითელას შემთხვევების მატება ფიქსირდება. ამ პერიოდში 1940 შემთხვევაა რეგისტრირებული, ამიტომ დადგა აუცილებლობა, ერთი განყოფილება დაგვემატებინა მძიმე ავადმყოფებისთვის. თუ ექიმმა საჭიროდ ჩათვალა პაციენტის ჰოსპიტალიზაცია, იგი საავადმყოფოში უნდა მოთავსონ, რათა სავალალო შედეგი ავიცილოთ თავიდან.

ნინო ხარშილაძე

შსს-ს ინფორმაციით ბოსტონის ტერაქტის ერთ-ერთი მომწყობი ტამერლან ცარნაევი საქართველოში არასოდეს ყოფილა

საქართველოში, „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულ ინფორმაციას აბსურდულს უწოდებენ

რუსული გამოცემა „იზვესტიას“ ინფორმაციით, ბოსტონის ტერაქტის ერთ-ერთი მომწყობი ტამერლან ცარნაევი საქართველოს სპეცსამსახურების მიერ ამერიკელებთან ერთად ჩატარებულ სემინარებზე გაიწვრთნა. 15 აპრილს, ბოსტონის მარათონის დროს მოწყობილი ტერაქტის შედეგად, 3 ადამიანი დაიღუპა, 170-ზე მეტი კი დაშავდა. აფეთქებების მოწყობაში ეჭვმიტანილი მეორე პირი, ჯოხარ ცარნაევის უფროსი ძმა ტამერლან ცარნაევი, პოლიციასთან შეიარაღებული შეტაკებისას მოკლეს. 19 წლის ეჭვმიტანილს ჯოჰარ ცარნაევს 23 აპრილს ოფიციალურად წაუყენეს ბრალი საავადმყოფოს პალატაში. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მას, შესაძლოა, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანონ.

„იზვესტია“ ირწმუნება, რომ ხელში ჩაუვარდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დოკუმენტები, რომლებიც ქართული ორგანიზაცია „კავკასიური ფონდის“ ამერიკულ არაკომერციულ ორგანიზაცია „ჯეიმსთაუნთან“ თანამშრომლობასა და ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებთა აშშ-სა და საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ გადაბირებაზე მუშაობას ადასტურებს.

„იზვესტიას“ ინფორმაციით, „ჯეიმსთაუნის“ დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში „აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი იდეოლოგი“ ზბიგნევ ბრჟეზინსკი შედიოდა.

აღნიშნული გამოცემა წყაროდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს პოლკოვნიკის, გრიგოლ ჭანტურიას ანგარიშს ასახელებს. **„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს პოლკოვნიკის, გრიგოლ ჭანტურიას ანგარიშის თანახმად, რომელიც მან შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს წარუდგინა, „კავკასიური ფონდი“ ფონდ „ჯეიმსთაუნთან“ ერთად, 2012 წელს ატარებდა ღონისძიებებსა და სემინარებს კავკასიის, მათ შორის მისი რუსული ნაწილის ახალგაზრდა მცხოვრებლებისთვის. რამდენიმე სემინარში მონაწილეობდა ტამერლან ცარნაევიც, რომელიც 2012 წლის ივლისიდან რუსეთში იმყოფებოდა. ჭანტურია წერს, რომ „კავკასიური ფონდი“ 2008 წლის 7 ნოემბერს, ქართულ-ოსური კონფლიქტის შემდეგ, ჩრდილოკავკასიაში მიმდინარე პროცესების გასაკონტროლებლად შეიქმნა. შესაბამის დეპარტამენტში შევიდა სადაზვერვო ოპერაცია, სახელწოდებით „დარიალი“. ფონდის ძირითად ამოცანას რუსეთის სამხრეთ რეგიონებში არასტაბილურობისა და ექსტრემისტული განწყობის გასაძლიერებლად ჩრდილოკავკასიის ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის გადაბირება წარმოადგენდა“.**

„იზვესტიას“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ცილისწამებას უწოდებს „კავკასიის ფონდი“. ფონდის პრეზიდენტის, გივი ღამბაშიძის განცხადებით, „კავკასიის ფონდი“ საერთოდ არ იცნობს ტერაქტში ბრალდებულ ტამერლან ცარნაევს: **„ძალიან მძიმე დღეა ჩემთვის და „კავკასიის ფონდისთვის“, ვფიქრობ, მთელი საქართველოსთვის. ამ ბრალდებამ აღმაშფოთა და გამაკვირვა. ამას საბოლოო ჯამში, სტრასბურგამდეც მივიტანთ, რადგან მსგავსი ცილისწამება ისჯება არა მარტო ბიბლიურად, არამედ სამართლებრივადაც. „კავკასიის ფონდმა“ „იზვესტიას“ წინააღმდეგ საპროტესტო ნოტაც შეიმუშავა. ეს ნოტა უკვე გავუგზავნეთ „იზვესტიას“ და ვიმედოვნებთ, ამ წერილს გამოაქვეყნებს“.**

ღამბაშიძე ასევე უარყოფს ინფორმაციას, რომ „კავკასიის ფონდი“ აზერბაიჯანისა და დაღესტნის სამ სასაზღვრო რაიონში მუშაობდა. რაც შეეხება საპროტესტო ნოტას, მასში აღნიშნულია, რომ „კავკასიის ფონდი“ არ აწარმოებდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სასარგებლოდ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა წარმომადგენლების გადმობირებას. „კავკასიის ფონდი“ იმ ცილისწამებასაც უარყოფს, თითქოს იგი „ჯეიმსთაუნის“ ფონდთან ერთად, შეერთებული შტატებისა და საქართველოს სასარგებლოდ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა წარმომადგენლების გადმობირებას აწარმოებდა: **„ფონდს ამ თვალსაზრისით, არ ჩაუტარებია არავითარი ღონისძიება და სემინარი. „კავკასიის ფონდი“ არ იცნობს ტერაქტში მონაწილე ტამერლან ცარნაევს და ყოფილა თუ არა ის საქართველოში, მისთვის უცნობია, რუსული გამოცემის მიერ გავრცელებული ინფორმაცია კი მსოფლიოში საქართველოს კიდევ ერთხელ დადანაშაულების მორიგი მცდელობაა. ამ ძალების ქმედება მიმართულია საქართველოს, კავკასიის ქვეყნების, შეერთებული შტატებისა და საკუთრივ რუსეთის საწინააღმდეგოდაც. ვფიქრობ, ამ საინფორმაციო ომის ერთ-ერთი საფუძველი ისიცაა, რომ კავკასიის ფონდის პრეზიდენტი კავკასიის ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრული ურთიერთობების სფეროში მრავალწლიანი მოღვაწეობისთვის, სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნების, ისრაელისა და პოლონეთის ცნობილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების მიერ წარდგენილია 2013 წლის ნობელის მშვიდობის პრემიაზე“.**

საპარლამენტო უმცირესობის წევრი დავით დარჩიაშვილი ამ ინფორმაციას უწოდებს აბსურდს, რომელიც **„პირდაპირ ურტყამს საქართველოს ინტერესებს. ეს განცხადებები ლოგიკური გაგრძელებაა იმისა, როდესაც ქვეყნის შიგნით, მათ შორის სახალხო დამცველის ინსტიტუტის გამოყენებით, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ხელაღებით ხდება ინფორმაციის გაჟღერება, რომ საქართველო იყო ტერორისტების ბუდე“.**

სამაგიეროდ, „იზვესტიას“ ინფორმაცია აბსურდული არ აღმოჩნდა მამუკა არეშიძისთვის. ექსპერტმა კავკასიის საკითხებში განაცხადა, ჯერ ვერ ვადასტურებ, მაგრამ მაქვს ინფორმაცია, რომ ტერაქტის მოწყობის ბრალდებით დაკავებული ტამერლან ცარნაევი ქართულ პასპორტს ფლობდაო.

„იზვესტიის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რიჩარდ ნორლანდიც გამოეხმაურა და ბოსტონში მომხდარი აფეთქების შესახებ სერიოზული ინფორმაციის მქონე ადამიანებს გამოძიებასთან თანამშრომლობა ურჩია: **„ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარი აფეთქების შედეგად დაიღუპა სამი უდანაშაულო სპორტსმენი და დაიჭრა ასობით ადამიანი. ამ ფაქტზე აშშ-ში მიმდინარეობს სერიოზული გამოძიება, რომელშიც ჩართულია საერთაშორისო თანამშრომლობა. თუ ვინმეს აქვს რაიმე სერიოზული ინფორმაცია, ვფიქრობ, ის უნდა წარუდგინონ გამოძიებაში ჩართულ სტრუქტურებს, რათა პროცესს ხელი შეუწყონ“.**

გარდაცვლილ ტამერლან ცარნაევის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა „ბიბისი“-მაც — ცარნაევი აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მონაცემთა ბაზაში 18 თვის წინ შეიყვანეს. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს წარმომადგენელთა განცხადებით, გამოძიება 26 წლის ტამერლან ცარნაევის საქმეს იკვლევდა, თუმცა მის წინააღმდეგ სამხილი ვერ აღმოაჩინა.

საერთო ჯამში, მონაცემთა ბაზაში 745 ათასი ადამიანია, თუმცა იქ მოხვედრა არ ნიშნავს, რომ ადამიანი პოტენციური ტერორისტია, რომელზეც თვალთვალი მიმდინარეობს.

ბაზაში ცარნაევის დამატებამდე ექვსი თვით ადრე, CIA-მ რუსეთს ცარნაევზე დამატებითი ინფორმაცია მოსთხოვა, თუმცა ვერ მიიღო საჭირო ინფორმაცია და გამოძიება შეწყვიტა.

„იზვესტიაში“ დაბეჭდილ სტატიას, ცხადია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროც გამოეხმაურა და ამ ინფორმაციასთან რაიმე კავშირი უარყო.

შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის, ნინო გიორგობიანის განცხადებით, ტამერლან ცარნაევი საქართველოში ნამყოფი საერთოდ არ არის. რაც შეეხება გრიგოლ ჭანტურიას, რომლის ანგარიშსაც „იზვესტია“ წყაროდ ასახელებს, ნინო გიორგობიანის განმარტებით, პირი მსგავსი სახელითა და გვარით არც ადრე ირიცხებოდა და არც ახლა მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

ქართველების უმრავლესობა ხელისუფლებაზე მეტად ევროკავშირს ენდობა

„ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის საინფორმაციო ცენტრის“ ინფორმაციით, გამოკითხულ ქართველთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ევროკავშირი მათი ქვეყნის მნიშვნელოვანი პარტნიორია და ისურვებდა, ევროკავშირმა კიდევ უფრო დიდი როლი შეასრულოს საქართველოში სხვადასხვა საკითხებში. ეს ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც საქართველოში ევროკავშირის სამეზობლო ბარომეტრის 2012 წლის შემოდგომის კვლევის შედეგად გაირკვა.

კვლევა ევროკავშირის დაფინანსებით, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის პროექტის ფარგლებში ჩატარდა.

კვლევის შედეგად, რომელიც 2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარდა და რომელშიც 1 004 ინტერვიუერი მონაწილეობდა, აღმოჩნდა, რომ ქართველთა 71% ევროკავშირს მნიშვნელოვან პარტნიორად მიიჩნევს, 62% კი მიიჩნევს, რომ ევროკავშირისა და საქართველოს საკმარისი საერთო ღირებულებები აქვთ თანამშრომლობისთვის – რაც საშუალოზე მაღალია ENPI-ის აღმოსავლეთ რეგიონისთვის.

გამოკითხულთა უმრავლესობას (92%) სურს, ევროკავშირმა უფრო დიდი როლი ითამაშოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, 87%-ს – ვაჭრობაში, 87%-ს – ადამიანთა უფლებების დაცვაში, 85%-ს – დემოკრატიაში და 83%-ს რეგიონულ თანამშრომლობაში.

გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ქართველთა 71% ენდობა ევროკავშირს იმაზე მეტად, ვიდრე სხვა საერთაშორისო ინსტიტუციებს ისეთს, როგორიც გაერო და ნატო-ა და იმაზე მეტად, ვიდრე საკუთარ ხელისუფლებას (65%), პარლამენტს (62%) ან პოლიტიკურ პარტიებს (46%).

გამოკითხულთა 82% მიიჩნევს, რომ ევროკავშირს კარგი ურთიერთობა აქვს საქართველოსთან, განსხვავებით რესპოდენტთა 8%-სგან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეს ურთიერთობები ცუდია.

გამოკითხული ქართველები, განსხვავებით რეგიონის სხვა ქვეყნების მოსახლეობისგან, პესიმისტურად არიან განწყობილი საკუთარი ცხოვრების მიმართ – 67% უკმაყოფილოა საკუთარი ცხოვრებით, თუმცა ცხოვრებით კმაყოფილების ხარისხი გაიზარდა უფრო ახალგაზრდა და უფრო განათლებულ რესპოდენტებში. თუმცა, რესპონდენტები უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილნი ქვეყნის არჩეული გზის მიმართ: გამოკითხულთა 44% მიიჩნევს, რომ საქართველო სწორი მიმართულებით მიდის, 20% ამას არ ეთანხმება. მაშინ, როცა 75% ფიქრობს, რომ ქვეყანაში ცუდი ეკონომიკური სიტუაციაა, 64% დარწმუნებული იყო, რომ მომდევნო წელს ის გაუმჯობესდება. საქართველოში არსებული დემოკრატიით კმაყოფილი გამოკითხულთა მხოლოდ 29% აღმოჩნდა.

„ინტერპრესნიუსი“

10 წლის შემდეგ, სააკაშვილი და მისი პარტია ისევ იქ აღმოჩნდნენ, საიდანაც დაიწყეს — ოპოზიციაში

„სააკაშვილის პარტია რელევანტურობას ეძებს თავისივე შექმნილ ქვეყანაში“, — ამ სათაურით აქვეყნებს ამერიკული გამოცემა The Christian Science Monitor პოლ რიმპლის სტატიას მიხეილ სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის შესახებ. როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, მიხეილ სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობის მიერ „ვარდების რევოლუციის“ წამოწყებისა და საქართველოს ხელახლა ფორმირებიდან თითქმის ათწლეულის შემდეგ, პარტია კიდევ ერთხელ ქუჩიდან ეძებს ხელისუფლებაში მოსვლის გზებს. 10 წლის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი და მისი ნაციონალური მოძრაობა ისევ იქ აღმოჩნდნენ, საიდანაც დაიწყეს — ოპოზიციაში.

გასული წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ გადამწყვეტი მარცხის შემდეგ პირველად, ნაციონალურმა მოძრაობამ რამდენიმე დღის წინ, თბილისში, დემონსტრაცია გამართა, — აღნიშნავს პოლ რიმპლი.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, მაშინ, როცა აქციაზე მისი მხარდამჭერი 10 ათასი ადამიანი მივიდა, ნაციონალური მოძრაობა მთელი ძალით ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ კვლავაც ანგარიშგასაწევი ძალაა და იმ სკანდალების წინაღობა, რომელიც მისივე შექმნილ ახალ საქართველოში მის რელევანტურობას ემუქრება.

ნაციონალური მოძრაობა ყურადღების ცენტრში 2003 წელს მოექცა, — წერს პოლ რიმპლი, — როცა ათასობით ადამიანი გამოიყვანა გაყალბებული საპარლამენტო არჩევნების გასაპროტესტებლად, მერე კი, მშვიდობიანად დაამხო ედუარდ შევარდნაძის მთავრობა, რასაც ვარდების რევოლუცია ეწოდა. 2004 წლის იანვარში ქარიზმატული სააკაშვილი ხმების 94%-ით პრეზიდენტი გახდა.

„სააკაშვილის ახალგაზრდა, რევოლუციურმა გუნდმა ანტიკორუფციული რეფორმებით სწრაფად დაიწყო იმის აღდგენა, რასაც საქართველოში აშშ-ის მაშინდელმა ელჩმა რიჩარდ მაილსმა „არშემდგარი ხელისუფლება“ უწოდა. ამ რეფორმებმა კი აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს, 2005 წელს თბილისში ვიზიტისას, უბიძგა განეცხადებინა, რომ საქართველო „დემოკრატიის შუქურაა“. 2006 და 2008 წლებში მსოფლიო ბანკმა საქართველო მსოფლიოს მთავარ რეფორმატორად დაასახელა“, — ნათქვამია ამერიკული გამოცემის სტატიაში. თუმცა გატარებული რეფორმებისთვის უცხოეთის მხრიდან მაღალი შეფასების მიუხედავად, სააკაშვილი ერთობ არაპოპულარული გახდა საქართველოში, სადაც 2004 წლიდან უმუშევრობა 13-დან 17%-მდე მერყეობს.

„მან გააძლიერა სახელმწიფო სწრაფი რეფორმებით, თუმცა საქართველოში ყველა რეფორმატორი ენთუზიაზმით იწყებს, რაც ცოტა ხანს გრძელდება, რამდენიმე წლის შემდეგ კი იმედგაცრუებას ვაწყდებით“, — ციტირებს სტატიის ავტორი პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტის თანადირექტორის, გიორგი თარხან-მოურავის კომენტარს.

სანამ ხელისუფლებამ ეფექტური ეკონომიკური პროგრესი გაატარა, ქართველები ხედავდნენ, რომ გადაჭარბებული ძალაუფლება რამდენიმე ადამიანის ხელში იყო და იმასაც გრძნობდნენ, რომ ადგილი ჰქონდა შერჩევით სამართალს. გარდამტეხი მომენტი 2007 წლის ნოემბერს დადგა, როცა სპეცდანიშნულების რაზმმა ოპოზიციის პროტესტი ძალადობრივი გზით დაშალა, — სტატიის ავტორი ასევე ციტირებს გია ნოდიას სიტყვებს, რომელმაც მასთან საუბარში განაცხადა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება დემოკრატიული იდეალისგან შორს იყო. ნოდია ირწმუნება, რომ საქართველოს დემოკრატიული პროგრესი უნდა შეფასდეს იმით, თუ სად იმყოფებოდა ქვეყანა რამდენიმე წლის წინ და არა აბსოლუტური ღირებულებებით.

როგორც გია ნოდია პოლ რიმპლთან საუბარში აცხადებს, სააკაშვილმა შექმნა საზოგადოებრივი მოლოდინის პრეცედენტი, რითიც ყოველი მომდევნო მთავრობა შეფასდება. მისივე თქმით, პროგრესის განმსაზღვრელი მაჩვენებელი „ვარდების რევოლუციასა“ და ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს შორის სხვაობაა. პირველის შემთხვევაში, ხელისუფლება რევოლუციის გზით შეიცვალა, მეორეს შემთხვევაში კი — კონსტიტუციისა. **„დემოკრატიისთვის საუკეთესო ტესტი სწორედ ის გახლავთ, თუ როგორ შეიცვლება ხელისუფლება“,** — ციტირებს სტატიის ავტორი გია ნოდიას სიტყვებს.

მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილმა აღიარა საკუთარი პარტიის მარცხი, პლურალიზმის პროცესი ვარდისფრისგან ერთობ შორს იყო, — წერს პოლ რიმპლი, — სააკაშვილი პრეზიდენტად ოქტომბრამდე დარჩება, ნაციონალური მოძრაობა კი პარლამენტში კვლავაც ინარჩუნებს მანდატების ერთ მესამედს. თუმცა, არჩევნების შემდეგ, ნაციონალურ მოძრაობას იმ სკანდალებისა და ბრალდებებისგან უწევს თავდაცვა, რასაც „ქართული ოცნების“ მხრიდან აწყდება.

„ახალი მთავრობის ზოგიერთ წევრს შორის ისეთი განცდა არსებობს, რომ ნაციონალური მოძრაობა სახიფათო და პასუხისმგებელია ქვეყნის დესტრუქციაზე და აღარ უნდა დაუშვან, რომ ეს კვლავ განმეორდეს“, — ციტირებს სტატიის ავტორი დამოუკიდებელი ანალიტიკოსის მარკ მულენის სიტყვებს.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, ნაციონალური მოძრაობის ათობით მაღალჩინოსანი დააკავეს თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაჭარბებისთვის. სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის რამდენიმე წარმომადგენლის, მათ შორის თბილისის მერის, საქმეებს გამოძიება განიხილავს. პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა რუსეთთან 2008 წლის კონფლიქტის გამოძიება მოითხოვა. სახალხო დამცველმა კი წარმოადგინა სამხილი, რომელიც ეწინააღმდეგება გასული წლის აგვისტოში მომხდარი შეტაკების ოფიციალურ ვერსიას, რომლის დროსაც 11 დივერსანტი და 3 ქართველი ძალოსანი დაიღუპა. გარდა ამისა, ხელისუფლებამ წარმოადგინა ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ხაზინიდან ათასობით დოლარი იხარჯებოდა ფუფუნებით დასვენებაზე, განსაკუთრებულ საჩუქრებსა და პრეზიდენტის ვაჟების კერძო განათლებაზე.

„ივანიშვილმა ბევრის განადგურება შეძლო. გვეგონა, მისსავე ინტერესებში იქნებოდა ერთად თანამშრომლობა, მაგრამ ყველას ამ საქმეში ჩათრევა, დიალოგის შეუძლებლობას ქმნის“, — ციტირებს სტატიის ავტორი პრეზიდენტის მრჩევლის, რაფაელ გლუკსმანის სიტყვებს.

ნაციონალური მოძრაობა, პროევროპულ პარტიად იქცა და ბევრი ისწავლა საკუთარ შეცდომებზე, — წერს პოლ რიმპლი, — ივანიშვილი კი პრორუსი ლიდერია, რომელსაც იმ ყველაფრის განადგურება უნდა, რაც მათ ააშენეს, თუმცა ამაში ხალხის დარწმუნება რთული იქნება. მარტის კვლევებმა აჩვენა, რომ ივანიშვილის პარტიას 60%-იანი მხარდაჭერა აქვს მაშინ, როცა ნაციონალურ მოძრაობას 10% უჭერს მხარს.

ზოგიერთი ფიქრობს, რომ უმჯობესი იქნება, თუ ნაციონალური მოძრაობა, რომელიც საკუთარი ძალების აღდგენისთვის იბრძვის, ამას სააკაშვილის გარეშე გააკეთებს.

საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის კავკასიის პროექტის დირექტორი ლოურენს სკოტ შითსი სტატიის ავტორთან საუბრისას აღნიშნავს, რომ სააკაშვილისთვის, რომელიც აცხადებს, რომ მოდერნიზატორი იყო და არა — დემოკრატი, პოლიტიკური მომავალი არ არსებობს: **„მისი მემკვიდრეობა უმთავრესი მიღწევაა, რომელიც იმ დღეს უკავშირდება, როცა საკუთარი მარცხი აღიარა“.**

„ინტერპრესნიუსი“

ჯონ ქერი მაია ფანჯიკიძეს შეპირდა, რომ საქართველოში აუცილებლად ჩამოვა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი საქართველოში დაპატიჟა. მაია ფანჯიკიძემ, ბრიუსელში, აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ შეხვედრაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის აშშ-ში ვიზიტზე საუბარი არ ყოფილა: **„პრემიერის ვიზიტზე, საერთო ვიზიტებზე არ გვისაუბრია. მე დავპატიჟე ბატონი ქერი საქართველოში და ის შემპირდა, რომ აუცილებლად ჩამოვა. ჩვენ ვილაპარაკეთ ყველა თემაზე, რომელიც ეხება აშშ-საქართველოს ურთიერთობებს“.**

ფანჯიკიძისვე განმარტებით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას, ასევე მადლობა გადაუხადა საქართველოს ავღანეთში შეტანილი წვლილისათვის.

როგორც ფანჯიკიძემ აღნიშნა, ქერი დაინტერესდა საქართველოში მიმდინარე პროცესებით, ასევე — ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროგრესით, რომელიც ფანჯიკიძის განცხადებით, ამერიკელმა კოლეგამ მაღალ დონეზე შეაფასა: **„ასევე ვისაუბრეთ ქარტიის ფარგლებში თანამშრომლობის საკითხებზე“.**

მოგვიანებით, მაია ფანჯიკიძისა და ჯონ კერის შეხვედრა შეაფასა აშშ-ს ელჩმა საქართველოში, რიჩარდ ნორლანდმა. მან ამ შეხვედრას საქართველოს საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგის განსახილველად კარგი შესაძლებლობა უწოდა. მისი თქმით, ეს არის პროცესი, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს და რომლითაც საქართველო ახალ მთავრობას მსოფლიოს აცნობს: **„აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კერი ახალი დანიშნულია თანამდებობაზე. ამდენად, ეს იყო კარგი შესაძლებლობა, აშშ-ს სახელმწიფო მდივნისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისთვის გაეცნოთ ერთმანეთი. პრემიერ-მინისტრი სიტყვით გამოვიდა ევროსაბჭოში, მეორე დღეს შედგა შეხვედრა მაია ფანჯიკიძესა და ჯონ კერის შორის. ეს იყო კარგი შესაძლებლობა, რათა განეხილათ საქართველოს საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგი. დაგეგმილია პრეზიდენტ სააკაშვილის ვიზიტი აშშ-ში და მიმდინარეობს მუშაობა პრემიერ-მინისტრის სტუმრობაზეც“.**

„ვერსიანიუსი“

მიხეილ სააკაშვილი აშშ-ში გაემგზავრა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, სამუშაო ვიზიტით, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ამერიკაში ყოფნის პერიოდში მიხეილ სააკაშვილი რამდენიმე მნიშვნელოვან ღონისძიებაში მიიღებს მონაწილეობას და მაღალი რანგის შეხვედრებს გამართავს.

კერძოდ, ქვეყნის პირველი პირი დალასში ჯორჯ ბუშის საპრეზიდენტო ცენტრის გახსნის ცერემონიალს დაესწრო, არიზონას შტატში იგი მონაწილეობას მიიღებს ჯონ მაკკეინის ინიციატივით მოწყობილ „სედონას ფორუმში“.

ამას გარდა, დაგეგმილია შეხვედრა სახელმწიფო მდივან ჯონ კერისთან, რომელიც ამ რანგში პირველად შეხვდება მიხეილ სააკაშვილს. ვაშინგტონში საქართველოს პრეზიდენტი ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენს შეხვდება.

„ინტერპრესნიუსი“

ჰოროსკოპი
26 აპრილი

ვერძი — შეუფერებელი დროა პირადი ურთიერთობების გასარკვევად და არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. შესაძლოა, თქვენი ნათქვამი შესაბამისად ვერ გაიგონ და ამან გარკვეული უსიამოვნება მოგიტანოთ, ამიტომ კარგი იქნება, თუ ყველა სიტყვას გააკონტროლებთ.

კურო — დღეს საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ და თქვენს მომავალზე კარგად დაფიქრება გმართებთ, ვიდრე ნაბიჯს გადადგამთ. ნუ აყვებით ემოციებს და ვითარების შესაბამისად იმოქმედეთ.

ტყუპები — სასიამოვნო დღეა, რომელიც კმაყოფილებასა და სარგებელს მოგიტანთ. სავსებით შესაძლებელია, რომ პატარა, მაგრამ სასიამოვნო სიურპრიზი მიიღოთ.

კირჩხიბი — დღე მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენთვის ძვირფას ადამიანებთან ურთიერთობებისთვის და ნურც თბილ სიტყვებსა თუ კომპლიმენტებს დაიშურებთ. სერიოზული დადებითი ცვლილებები გელით ახლობლებთან ურთიერთობაში.

ლომი — მნიშვნელოვნად განიმტკიცებთ მდგომარეობასა და ავტორიტეტს, თუ მთელ ყურადღებას სამუშაოს დაუთმობთ, მაგრამ ზედმეტი დაძაბულობაც არვარგა. უბრალოდ, შეასრულეთ თქვენი მოვალეობა და ისე გააკეთეთ, რომ მიღებული შედეგი მთელი კოლექტივის მიღწევად ჩაითვალოს.

ქალწული — ქალწულები დღეს უკმაყოფილოები დარჩებიან ახლობლებთან ურთიერთობებით, ძვირფასი ადამიანის ნათქვამიც არ მოგეწონებათ, სამაგიეროდ, სამსახურში შეგიძლიათ გამოიჩინოთ თავი და ამას ხელმძღვანელობა აუცილებლად დაგიფასებთ.

სასწორი — დღეს, შესაძლოა, საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდეთ გაუთვალისწინებელი სიტუაციის გამო. გამოსავალს ადვილად მოძებნით, თუ პანიკაში არ ჩავარდებით, მოთმინებას იქონიებთ და ლოგიკას მოუხმობთ. დღის ბოლოს, ამ რთული მდგომარეობის კვალიც აღარ დარჩება.

ღრიანკალი — დღეს ოპტიმიზმით ხართ სავსე და თქვენში გაიღვიძებს ლიდერის თვისებებიც: ადამიანები სიხარულით შეასრულებენ თქვენს თხოვნასა თუ დავალებებს და მზად იქნებიან თუნდაც ქვეყნის დასალიერში გამოგყვნენ.

მშვილდოსანი — დღეს სურვილი გაგიჩნდებათ განკარგულებები გასცეთ, რადგან გეჩვენებათ, რომ გარშემომყოფები ძალიან ნელა მოქმედებენ და თითქოს სპეციალურად გაჭყავთ. ფრთხილად იყავით, ასეთმა ქცევამ ურთიერთობები არ გაგიფუჭოთ.

თხის რქა — დღეს თქვენს მკაცრ და გამჭოლ მზერას ვერავინ და ვერაფერი დაემალება, ისეთ წვრილმანებსაც კი შეამჩნევთ, რასაც სხვა დროს არც კი მიაქცევდით ყურადღებას.

მერწყული — თუ ადრე ეჭვი გტანჯავდათ მეგობრების ან საყვარელი ადამიანის ერთგულების თაობაზე, დღეს ის გაიფანტება და ჭეშმარიტებას ახდით ფარდას. რეალობა ისეთი მიიღეთ, როგორიც არის და ნუ ეცდებით მხოლოდ საკუთარი ინტერესების გატარებას.

თევზები — ვარსკვლავები გირჩევენ, დღეს დაუფიქრებლად არ მოიქცეთ. მხოლოდ ინტუიციასა და ჩვევებს არ ენდოთ, ნებისმიერი ნაბიჯი საგულდაგულოდ აწონ-დაწონეთ, ყველაფერი გააანალიზეთ და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ჰოროსკოპი
27 აპრილი

ვერძი — დღეს ახლობლების დახმარებით, ყველაზე რთულ პრობლემებსაც ადვილად მოაგვარებთ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ თქვენი წარმატება ბევრს ნამდვილად არ გაუხარდება. კარგი იქნება, თუ ყურადღებას არ მიაქცევთ ასეთ დამოკიდებულებას.

კურო — თქვენი გულისტკივილი მხოლოდ ისეთ ადამიანს გაუმხილეთ, ვინც გულდასმით მოგისმენთ და საჭირო რჩევასაც მოგცემთ. შესაძლოა, დღეს გარკვეული სიურპრიზიც მიიღოთ ახლობელი ადამიანისგან.

ტყუპები — დღეს პირადი ცხოვრება უნდა დაივიწყოთ, რადგან მთელი დღე გარშემომყოფების პრობლემების მოგვარებით იქნებით დაკავებული. ისეთი ირეალური მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდებით, რასაც ვერასოდეს წარმოიდგენდით.

კირჩხიბი — დღეს უამრავ ინფორმაციას მიიღებთ და მოგიწევთ ყველა ნიუანსის გაანალიზება. ნუ გაირთულებთ ცხოვრებას და ნურც სხვას შეუქმნით დისკომფორტს. ყველაფერი მოგვარდება, მთავარია, ნერვებმა არ გიმტყუნოთ.

ლომი — ყური დაუგდეთ გარშემომყოფების მოსაზრებებს, დღეს საკუთარ თავზე ბევრ საინტერესოს გაიგებთ, რაც მომავლის უკეთესობისკენ შეცვლაში დაგეხმარებათ. ნუ ჩაუღრმავდებით დეტალებს და დრო უფრო მნიშვნელოვან საკითხებს დაუთმეთ.

ქალწული — დღეს ყველაფერი გეპატიებათ, მთავარია, ზომიერების გრძნობა არ დაკარგოთ. თუ ხალხს უჭირს თქვენი გაგება, დამოუკიდებლად იმოქმედეთ და დროს ახსნა-განმარტებებში ნუ დაკარგავთ.

სასწორი — დღეს იმაზე მეტის გაკეთება მოგიწევთ, ვიდრე წარმოიდგენდით, მაგრამ საბედნიეროდ, საღამოსთვის ყველაფერს გაართმევთ თავს და თან ისე, რომ დიდი ხნის უნახავი მეგობრების მონახულებასაც შეძლებთ.

ღრიანკალი — არ გაგიკვირდეთ, თუ დღეს ყველაზე უჩვეულო სურვილიც კი აგისრულდებათ. დიდ წარმატებას მხოლოდ ერთი ნაბიჯი გაშორებთ, შეეცადეთ, მაქსიმალურად ფრთხილად იმოქმედოთ და წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

მშვილდოსანი — წარმატებული დღე გელით, მაგრამ თუ გულხელდაკრეფილი იჯდებით, ციდან ვარსკვლავებს არავინ ჩამოგიყრით. თუ იმოქმედებთ, გაფრთხილდით, სიჩქარეში შეცდომები არ დაუშვათ.

თხის რქა — დღე ისე წარიმართება, როგორც დაიწყებთ. კარგი იქნება, დილიდანვე შეადგინოთ გეგმა და იმის მიხედვით იმოქმედოთ. საკუთარ თავს დღეს უარს ნურაფერზე ეტყვით.

მერწყული — ყველაფერს ნუ გაასერიოზულებთ, უფრო ლაღად შეხედეთ სიტუაციას და ცხოვრებასაც გაიმარტივებთ. სხვების საკეთილდღეოდ საკუთარი საქმე გვერდზე გადადეთ, ამით არაფერი დაშავდება და ახლობელ ადამიანსაც დაეხმარებით.

თევზები — დილიდანვე მოირგეთ ვარდისფერი სათვალე და დატკბით ცხოვრებით. რასაც ვერ შეცვლით, იმაზე ზედმეტად ნუ ინერვიულებთ. უმჯობესია, დრო ოჯახის წევრებთან გაატაროთ — ეს სიამოვნებას მოგანიჭებთ.



ადვილი

5	6	9	3	4	1	8	2	7
2	4	1	7	8	9	6	5	3
3	8	7	6	2	5	1	9	4
7	5	8	4	9	2	3	6	1
1	3	6	5	7	8	9	4	2
9	2	4	1	6	3	7	8	5
8	1	5	2	3	6	4	7	9
4	9	3	8	5	7	2	1	6
6	7	2	9	1	4	5	3	8

საშუალო

5	4	3	6	2	1	8	9	7
7	9	8	5	3	4	2	1	6
2	1	6	9	8	7	3	5	4
6	2	7	1	4	9	5	3	8
1	8	5	3	7	2	6	4	9
4	3	9	8	5	6	7	2	1
3	6	4	2	1	8	9	7	5
9	7	2	4	6	5	1	8	3
8	5	1	7	9	3	4	6	2

რთული

6	5	4	9	8	3	1	2	7
2	9	3	1	7	6	5	4	8
1	8	7	5	2	4	3	9	6
7	1	2	3	6	5	9	8	4
9	6	5	8	4	1	7	3	2
4	3	8	2	9	7	6	5	1
8	2	1	6	5	9	4	7	3
5	4	6	7	3	2	8	1	9
3	7	9	4	1	8	2	6	5

ექსპერტული

1	9	8	7	3	2	6	5	4
6	7	4	5	1	9	3	2	8
2	3	5	6	8	4	1	9	7
3	1	2	4	6	8	9	7	5
9	8	7	3	5	1	4	6	2
5	4	6	2	9	7	8	3	1
8	2	1	9	7	6	5	4	3
7	6	3	8	4	5	2	1	9
4	5	9	1	2	3	7	8	6


ლაკე ღესარო სპორტი
სპორტის სპეციალი
ოთარ ნინაძე
ფეხბურთელი ალბერ
ბეჭედი
ბერძენი ფილოსოფოსი
ბეთოვენის ბეჭედი
ბეთოვენის ბეჭედი
ბეთოვენის ბეჭედ

ჰოროსკოპი
28 აპრილი

ვერძი — დღე, შესაძლოა, სავსე იყოს სხვადასხვა მოულოდნელობით, მაგრამ თქვენი ოპტიმიზმი და სიმტკიცე წარმატებისთვის სასიკეთო პირობებს შექმნის.

კური — საკმაოდ დაძაბული დღეა, მაგრამ ყველაფერს თავს გაართმევთ. საღამოს შესაძლოა, უამრავი ახალი ამბავი გაიგოთ, ამიტომ აუცილებლად დაგჭირდებათ განმარტოება.

ტყუპები — ეს დღე არ არის კარგი აჩქარებისთვის. ვიდრე საჭირო გადაწყვეტილებას მიიღებდეთ, კარგად დაფიქრდით ან სხვებს ჰკითხეთ რჩევა.

კირჩხიბი — შეეცადეთ, დღეს კონკრეტული შედეგი მიიღოთ, საკუთარ სიმართლეში გარშემომყოფთა დარწმუნების უნარი დიდ წარმატებას მოგიტანთ.

ლომი — თუ ახალი საქმე გაქვთ ჩაფიქრებული, დღეს თამამად დაიწყეთ მისი კეთება. მართალია, ახალი ჰორიზონტის დალაშქვრა იოლი არ იქნება, მაგრამ წარმატებას მაინც მიაღწევთ.

ქალწული — დღეს მიღებული ინფორმაცია არსებულ რეალობას სხვა კუთხით დაგანახებთ, გაოცდებით საკუთარი შესაძლებლობებით, კარგი იქნება, ამ პერიოდს მიზნის მიღწევისთვის თუ გამოიყენებთ.

სასწორი — ვიდრე დაგეგმილ სამუშაოს შეუდგებოდეთ, გაითვალისწინეთ წარსულის შეცდომები და მხოლოდ ასე გადადგით მნიშვნელოვანი ნაბიჯები.

ღრიანკალი — ხასიათის სიმტკიცე დღეს ნამდვილად დაგჭირდებათ, თუმცა თქვენი სწრაფვა პირველობისკენ ბევრს აღიზიანებს, ამიტომ ნაკლებად ისაუბრეთ სამომავლო გეგმებზე.

მშვილდოსანი — ოპტიმისტური განწყობა დღეს ისეთი პრობლემების მოგვარებაში დაგეხმარებათ, რომელთა გადალახვაც ადრე წარმოუდგენელი იყო.

თხის რქა — დღეს ნაკლებად მიაქციეთ ყურადღება ჭორებს და მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ იმოქმედეთ. არსებული პრობლემების მიუხედავად, გახსოვდეთ, რომ ცხოვრება გრძელდება.

მერწყული — შეეცადეთ თქვენ მიმართ გამოთქმული კრიტიკა მეგობრულ რჩევად აღიქვათ და ისე იმოქმედოთ, კარგი იქნება, თუ პირად ურთიერთობასაც დაალაგებთ.

თევზები — ვიდრე წარმატებას საფუძველს ჩაუყრით, გაარკვიეთ, რეალურად რა გსურთ, კარიერას კი პირად ურთიერთობას ნუ გადააყოლებთ.

წლის ყველაზე ლამაზი ქალი გამოავლინეს

ცოტა ხნის წინ, პოპულარულმა ამერიკულმა გამოცემამ Star ჰოლივუდის ვარსკვლავი გვინეტ პელტროუ ცნობილ ადამიანებს შორის ყველაზე აუტანლად დაასახელა. პარადოქსულია, მაგრამ ორიოდე დღის წინ, მეორე პოპულარულმა ჟურნალმა People მსახიობს, წლის ყველაზე ლამაზი ქალების რეიტინგში, პირველ პოზიციაზე მიუჩინა ადგილი. გამოცემის სპეციალურმა გამოშვებამ, რომელიც სილამაზეს მიეძღვნა, 40 წლის პელტროუსთან ინტერვიუც დაბეჭდა. მსახიობი აღნიშნავს, რომ ჩვეულებრივ ცხოვრებაში ის ჯინსსა და მაისურსაა მიჩვეული და არა კაბებს ან კოსტიუმებს. გარდა ამისა, გვინეტი აცხადებს, რომ თითქმის არ ხმარობს დეკორატიულ კოსმეტიკას. სილამაზისა და ახალგაზრდობის შენარჩუნებაში კი მას ფიზიკური ვარჯიშების სპეციალური სისტემა ეხმარება. პელტროუს გარდა, გამოცემამ სხვა ცნობილი ადამიანების სილამაზეც დააფასა. ჟურნალი ყველაზე ლამაზი ქალების ჩამონათვალს, ტრადიციულად, ჰიტ-პარადის სტილში არ აქვეყნებს, მხოლოდ პირველადგილოსანს ასახელებს. 2013 წლის People-ის რეიტინგში მოხვდნენ ტარანტინოს ახალი ფილმის ვარსკვლავი კერი ვაშინგტონი, წლევანდელი „ოსკაროსანი“ ჯენიფერ ლოურენსი, მომღერლები პინკი და კელი როულენდი, მსახიობები ამანდა სეიფრიდი, ზოი დეშანელი, დრიუ ბერიმორი და სხვები, აღსანიშნავია, რომ გამოცემამ 75 წლის მსახიობის, მოდელისა და პროდიუსერის, ჯეინ ფონდას სილამაზეც დააფასა. 2012 წელს კი, ამავე რეიტინგის მიხედვით, ყველაზე ლამაზი მანდილოსანი მომღერალი ბიონსე იყო.



სუდოკუმანია

ადვილი

	4							
7	2		9					3
6		8			5		1	7
		5		6				4
	7		8		3		2	
9				5		3		
4	5		3			7		1
8					9		5	2
							3	

სტანდარტი

1							3	2
		5		3		7	1	
				1		8		
		9	3		8		4	
				5				
	1		2		7	6		
		4		2				
	7	1		9		2		
2	6							4

რთული

				5	2			1
2			9		8	5	7	
						3		
8		1	6					
	7						3	
					5	8		4
		8						
	3	2	4		6			7
4			2	8				

ექსპერტი

		5	2				8	
	4					6		
	7			3			2	
6			7		3	2		4
5								3
7		4	8		9			5
	6			4			1	
		2					5	
	5				6	3		

ორ წელიწადში 31 პროფესია მოირგო

პარიზის მკვიდრმა, პროფესიით ინჟინერმა, 25 წლის იან ლეჩნერმა, ორი წლის განმავლობაში 31 სხვადასხვა ხელობას მოკიდა ხელი. ახალგაზრდა მამაკაცმა გადაწყვიტა, სხვადასხვა ქვეყანაში ემოგზაურა და საინტერესო პროფესიები აეთვისებინა, ხშირად იანი რთულ სამუშაოს ენთუზიაზმით ასრულებდა და ანაზღაურებაზე უარს ამბობდა. საერთო ჯამში, ორი წლის განმავლობაში მოგზაურობა იანს 10 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა, მაგრამ მისი თქმით, სხვადასხვა სამუშაოზე მიღებული შთაბეჭდილებები და გამოცდილება ამად ნამდვილად ღირდა. ყოველთვის მიკვირდა, როგორ შეეძლოთ ადამიანებს წლობით მხოლოდ ერთ კომპანიაში მუშაობა ან ყოველდღე ერთი და იგივე, მოსაწყენი საქმის კეთება, ამიტომ გადავწყვიტე, სრულიად უცხო საზოგადოებაში, ჩემთვის უცნობ პროფესიებს დავუფლებოდი, — ამბობს ლეჩნერი. თვალს თუ გადავავლებთ ათვისებული ხელობების ჩამონათვალს, უპირველესად, მათი მრავალფეროვნება გაგაოცებთ. მაგალითად, კვიპროსზე იანი ტურისტული სააგენტოს მოხელე იყო, ესპანეთში — ქორეოგრაფი, შვეიცარიაში — მუსიკალური ინსტრუმენტების ხელოსანი, ლიხტენშტაინში — ხაბაზი და კონდიტერი, საბერძნეთში — არქეოლოგი, ბრიტანეთში — ზღვის ბინადართა ცენტრის მუშა, ჩეხეთში — ლუდის ჩამომსხმელი, რუმინეთში — ფერმერი, ლიტვაში — იუველირი, ესტონეთში — ზოოპარკის დარაჯი, დანიაში — ქარის ტურბინის შემმოწმებელი...

კაცები ქალებზე რომანტიკულები არიან

მშვენიერი სქესის წარმომადგენლები ხშირად ჩივიან ხოლმე, რომ თანამედროვე მამაკაცებს რომანტიკა აკლიათ, თუმცა სტატისტიკა საპირისპიროს ამტკიცებს. ამერიკელმა მკვლევარებმა 10 ათასამდე ადამიანი გამოკითხეს და შედეგები წიგნში The Normal არ შეიტანეს. გამოცემის ავტორთა მიზანი, 21-ე საუკუნის სასიყვარულო ურთიერთობების გამოკვლევა იყო. რესპოდენტი მამაკაცების 48%-მა განაცხადა, რომ პარტნიორი ერთი ნახვით შეუყვარდა, ქალებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 28%-ია, საბოლოოდ კი დადგინდა, რომ ძლიერი სქესის შეყვარებული წარმომადგენლები უფრო რომანტიკულები არიან, ვიდრე ქალები და ბევრი მათგანი ისეთ „სიგიჟესაც“ სჩადის, ჰოლივუდის სცენარისტებსაც კი შეშურდებოდათ. გამოკითხვის მიხედვით გაირკვა, რომ მამაკაცების 74% ურთიერთობაში ბედნიერია და ქალები უფრო ხშირად ღალატობენ, ვიდრე კაცები.

რესტორანი კომპიუტერული თამაშების მოყვარულთათვის

ლოს-ანჯელესში გაიხსნა უჩვეულო რესტორანი, სადაც ადამიანები სადილობენ და თან საყვარელ კომპიუტერულ თამაშს თამაშობენ. დაწესებულებაში, რომელსაც uWink ჰქვია, სტუმრები მხოლოდ სენსორულ ეკრანთან ურთიერთობენ და კომპიუტერის მეშვეობით ირჩევენ სასურველ კერძს. „სადილობის ინტერაქტიური მეთოდი“ ნოლან ბუშნელმა მოიფიქრა, რომელიც კომპანია Atari-ს დამფუძნებელია და რომელიც თანამედროვე ვიდეოთამაშების საწყისებთან იდგა. ახალი რესტორანი, ბუშნელის ჩანაფიქრით, მარტოხელა ადამიანებზეა გათვლილი, რომლებიც იქ არა მხოლოდ საჭმელად, არამედ გასართობადაც მივლენ. სადილობისას ნებისმიერს შეეძლება სასურველი ფილმის ნახვაც.

პრესის ჟურნალისტი – ყველაზე საშინელი პროფესია

ერთ-ერთმა ინტერნეტ-პორტალმა, CareerCast.com აშშ-ში 2013 წლის პროფესიების რეიტინგი შეადგინა, სადაც ბოლო ადგილზე აღმოჩნდა პრესის რეპორტიორის პროფესია სტრესისა და დაბალი ანაზღაურების გამო. რეიტინგზე გავლენა საგაზეთო კრიზისმაც მოახდინა: ბოლო დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში შემცირდა გამოცემების რაოდენობა და ბეჭდვური მედიის ინდუსტრიაში შემოსავლებიც დაეცა. ანალიტიკოსების შეფასებით, შარშან ბეჭდვურმა ამერიკულმა მედიამ 23,9 მილიარდი დოლარი გამოიმუშავა მაშინ, როცა 2006 წელს, თანხა 49,2 მილიარდ დოლარს შეადგენდა. ინტერნეტ-პორტალის რეიტინგში სულ 200 პროფესია შევიდა. ლიდერთა სამეულში მოხვდნენ სადაზღვევო ანგარიშების სპეციალისტები, ინჟინრები ბიომედიცინისა და პროგრამული უზრუნველყოფის სფეროში დასაქმებული.

ჰამბურგერი არ ფუჭდება?

აშშ-ში, იუტას შტატში მცხოვრებმა დევიდ უიპლმა, პალტოს ჯიბეში შემთხვევით ჩარჩენილი, წლების წინ ნაყიდი ჰამბურგერი აღმოაჩინა, რომელიც „მაკდონალდსის“ ერთ-ერთ რესტორანში, 1999 წელს იყო ნაყიდი. წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ 14 წლის შემდეგაც ხორციანი ბუტერბროდი გარეგნულად ისეთივე იყო, როგორც ახლად დამზადებული. მას არც ობი გაუჩნდა და არც გაფუჭებული საკვებისთვის დამახასიათებელი უსიამოვნო სუნი. დევიდს დღემდე აქვს შენახული ქვითრის ორიგინალიც, რომელიც მაკდონალდსის სალაროში ამობეჭდეს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.